

თეიმურაზ კუნჭულია

შრომის შესაფრთხილებასა
და სამთო საწარმოთა აპროლოგიაში
ბამოყენებულ ცნებათა და ტერმინთა
ბანმატეხიტი ლექსიკონი



საგამომცემლო სახლი
„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თეიმურაზ კუნჭულია

შრომის უსაფრთხოებასა
და სამთო საწარმოთა აპროლოგიაში
ბამოყენებულ ცნებათა და ტერმინთა
ბანმარტეპითი ლექსიკონი



რეკომენდებულია საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 07.07.2021, ოქმი №1

თბილისი
2022

შპს 622(03)

ლექსიკონში თავმოყრილია შრომის უსაფრთხოებასა და სამთო საწარმოთა აეროლოგიაში გამოყენებული, ასევე ამ სფეროში ფართოდ გავრცელებული ზოგიერთი ზოგადი ტექნიკური ცნება და ტერმინი, რომელიც ანბანის მიხედვითაა დალაგებული.

ლექსიკონი გათვლილია სამთო-მომპოვებელი და სამრეწველო საწარმოების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სპეციალისტებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისა და კოლეჯების სტუდენტებისათვის.

რეცენზენტები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი
ალექსანდრე ბეჟანიშვილი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის
პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი ომარ ლანჩავა

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2022

ISBN 978-9941-28-796-1

<http://www.gtu.ge>



Verba volant,
scripta manent

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილის (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) გამოყენება არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური) არ შეიძლება გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

წიგნში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები.

ავტორის/ავტორთა პოზიციას შეიძლება არ ემთხვეოდეს საგამომცემლო სახლის პოზიცია.

აალება - წვადი მასალის აირებისა და ორთქლის შედარებით მშვიდი ანთება ამა თუ იმ თბური იმპულსის ზემოქმედებით. ა-ის დროს გამოიყოფა სითბოს საკმარისი რაოდენობა იმისათვის, რომ წარმოიქმნას წვადი მასალის აირები და ორთქლი, რაც უზრუნველყოფს განუწყვეტელ წვას თბური იმპულსის ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგაც. ა. არ უნდა ავურიოთ ანთებაში, რომელიც მყარ წვად მასალებში უფრო დაბალ ტემპერატურაზე აღინიშნება.

აალების ტემპერატურა - ტემპერატურის უმცირესი მნიშვნელობა, რომლის დროსაც ხდება წვადი მასალის აალება.

აალების იმპულსი - ელექტრომაალებლის მახასიათებელი - მისი მუდმივი დენის იმპულსის მინიმალური მნიშვნელობა, რომლის დროსაც ხდება ელექტრომაალებლის თავაკის შედგენილობის აალება.

ადგილობრივი განაევების ვენტილატორი - მცირე სიმძლავრის ვენტილატორი, რომელიც გამოიყენება მოსამზადებელი სანგრეებისა და სხვა ჩიხური ადგილების გასანაევებლად.

ადგილობრივი წინაღობები - გვირაბების განსაზღვრულ ადგილებთან დაკავშირებული წინაღობები. ასეთ ადგილებს განეკუთვნება კროსინგები (საჰაერო ხიდები), სავენტილაციო ფანჯრები, გვირაბის მოსახვევები, გვირაბების უეცარი შევიწროებები და გაფართოებები და ა.შ. მათში ჰაერის ნაკადის გავლისას სწრაფად იცვლება ნაკადის კონფიგურაცია და სტრუქტურა, რის გამოც ხდება გვირაბის კედლებიდან ნაკადის სასაზღვრო შრის მოწყვეტა და მათ სიახლოვეს გრიგალური ზონების წარმოქმნა, რომლებშიც განთავსებული ჰაერი არ მონაწილეობს საერთო წინსვლით გადაადგილებაში. ამ დროს ჰაერის წნევის დანაკარგების წყაროა ცოცხალი ძალის აღუდგენელი დანაკარგები, რომლებიც გამოწვეულია ძირითადი ნაკადისა და გრიგალური ზონების ნაწილაკების მოძრაობის რაოდენობებს შორის ურთიერთცვლით. ადგილობრივი წინაღობის გავლისას წნევის დანაკარგები პირდაპირპროპორციულია ადგილობრივი წინაღობის კოეფიციენტისა და ჰაერის სიჩქარითი დაწნევისა.

ადგილობრივი წინაღობის კოეფიციენტი - უგანზომილებო სიდიდე. ჩვეულებრივ, ის განსაზღვრება ექსპერიმენტული გზით ადგილობრივი დანაკარგების თითოეული სახისათვის. ადგილობრივ დანაკარგებს მიაკუთვნებენ ან ჰაერის ნაკადის სიჩქარეს ადგილობრივ წინაღობამდე, ან ჰაერის ნაკადის სიჩქარეს ადგილობრივი წინაღობის შემდეგ.

ავარიის კერა - მიწისქვეშა ავარიის წარმოქმნის ან განვითარების ადგილი.

ავარიის ლიკვიდაციის გეგმა - შახტში ავარიაში მოყოლილი ხალხის, შახტის ადმინისტრაციის, სამთომამშველი ნაწილების, დამხმარე და ნებაყოფლობითი ჯგუფების შეთანხმებული მოქმედების გეგმა. **ა.ლ.გ.** შეთანხმებული უნდა იყოს სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ინსპექციისა და სამთომამშველი ნაწილების წარმომადგენლებთან. მას ამტკიცებს შახტის ან მაღაროს მთავარი ინჟინერი.

ავარიული განათება - სამუშაო ადგილებზე მუშა (ნორმალური) განათების გამორთვის შემთხვევაში განათების სარეზერვო წყაროს საშუალებით განათებულობის გარკვეული დონის შექმნა. არსებობს **ა.გ.**-ის ორი სახე: 1. სამუშაოს გასაგრძელებლად და სამუშაოს ბოლომდე მისაყვანად განათებულობის შექმნა - ნორმალური (მუშა) განათების არანაკლებ 10%-სა; 2. **ა.გ.** სამუშაო ადგილებიდან ხალხის სივსკუაციოდ, განათებულობის დონით 0,5 ლქ.

ავარიული საინფორმაციო მოწყობილობა - საშუალებების კომპლექსი, რომელიც განკუთვნილია ავტომატურად, ოპტიკური სიგნალების სახით, მორიგე პერსონალისათვის ავარიულ უბანზე და მთლიანად სამთო საწარმოში, კონკრეტული მდგომარეობის გათვალისწინებით ავარიის სალიკვიდაციო ღონისძიებების შემუშავება და გაცემა.

ავარიული სიგნალიზაცია - 1. ავარიის შესახებ აკუსტიკური (მათ შორის აფეთქების საშუალებით), ოპტიკური ან არომატული სიგნალების მეშვეობით შეტყობინების გადაცემა. 2. ადგილობრივი ავარიული სიგნალიზაცია - საფრთხის წარმოქმნის შესახებ სანგრევის, უბნისა და ა.შ. მომსახურე პერსონალის სიგნალების საშუალებით ავტომატური ინფორმირება. 3. ამწევი მანქანის ექსტრემალური აუცილებელი გაჩერების შესახებ ამწევი დანადგარის ნებისმიერი სამუშაო ადგილიდან ამწევი დანადგარის მანქანის მიერ სპეციალური სიგნალების საშუალებით პირდაპირი, უშუალო ინფორმირება. ავარიული სიგნალის გადაცემას შესაძლოა, თან სდევდეს ამწევი მანქანის ავტომატური გაჩერება, ხოლო ავარიული სიგნალი აღიქმება ყველა სამუშაო ადგილზე.

ავარიული შეტყობინება - იხ. ავარიული სიგნალიზაცია.

ავტომატური კონტროლი - პროცესის, აგრეგატის ან ცალკეული პარამეტრის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ავტომატური მიღება და წინასწარ მოცემული პირობებისადმი მათი შესაბამისობის შეფასება. **ა.კ.**-ს თანამედროვე რთული სისტემების შედგენილობაში შედის: სხვადასხვანაირი გადამწოდები, ავტომატური გამზომი მოწყობილობები, ლოგიკური გამომთვლელი ელემენტები, სხვადასხვა სიგნალიზატორები და საბეჭდი მოწყობილობები.

ავტომატური მტვერგამზომი ხელსაწყოები - ჰაერის დამტვრიანების მაკონტროლებელი ავტომატური ხელსაწყოები. მათში შედის: ხელსაწყოები, რომლებიც ავტომატურად ზომავენ ჰაერის მტვრიანობას ამ ხელსაწყოების დაყენების ადგილებში; ხელსაწყოები, რომლებიც ავტომატურად იღებენ ჰაერის სინჯებს ლაბორატორიულ პირობებში ანალიზისათვის.

აზოტი (N₂) - უფრო აირი სუნისა და გემოს გარეშე, არ იწვის და წვას ხელს არ უწყობს, ძალზედ სუსტად იხსნება წყალში. როგორც წესი, ა. გვხვდება მადაროს ყველა ბუნებრივ აირში. მისი შემცველობა იცვლება პროცენტის ნაწილებიდან პრაქტიკულად მთლიანი აზოტის ნაკადამდე.

აზოტის ოქსიდები (N₂O_s) - აირები, რომლებიც წარმოიქმნებიან ფეთქებადი ნივთიერებების წვისას; დასაწყისში გამოიყოფა აზოტის ოქსიდი, რომელიც ჰაერის ჟანგბადით იჟანგება აზოტის დიოქსიდად. ეს უკანასკნელი იხსნება წყლის ორთქლში და წარმოქმნის აზოტოვანი მჟავას რუხ-წითელ ორთქლს, რომელიც ძლიერ მომწამლავია.

აირადი აგეგმა - აირების გავრცელების დადგენის მეთოდი. 1. სამთო საქმეში ა.ა. გამოიყენება გვირაბებში აირის გამომყოფი წყაროების დადგენის, სივრცესა და დროში ამ წყაროების განაწილების განსაზღვრის მიზნით; 2. გეოლოგიაში ა.ა. ნიშნავს ნავთობის, აირადი და მადნეული წიაღისეული საბადოების გეოქიმიური ძებნის მეთოდს, რომელიც ეფუძნება წიაღისეულის საბადოების რაიონში, სამთო გვირაბებსა და ნიადაგისქვედა შრეებში ნახშირწყალბადებისა და სხვა მახასიათებელი აირების შემცველობის მომატებას.

აირანალიზატორი - აირის ნარევის რაოდენობრივი შედგენილობის განმსაზღვრავი ხელსაწყო. არსებობს ქიმიური და აბორატორიული ა. და სპეციალური გადასატანი ხელსაწყოები - აირგანმსაზღვრელები.

აირგამომყოფი წყაროები გვირაბებში - სამთო ქანები (ქვანახშირი), რომლებიც აირებს გამოყოფენ სამთო გვირაბებში (ჭაბურღილებში). ნახშირის შახტებში აირების გამომყოფი წყაროები შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად: 1. დამუშავებაში მყოფი ნახშირის ფენა; 2. მომიჯნავე აირშემცველი ფენები და ჩანართები, რომლებიც არ მუშავდებიან ან მუშავდება ჩამორჩენით; 3. შემცველი ქანები. სამთო სამუშაოების წარმოების სიღრმის ზრდასთან ერთად სამთო ქანების, როგორც აირგამომყოფი წყაროების როლი იზრდება. მადნის მომპოვებელი მადაროების პირობებში გვირაბებში აირგამომყოფი წყაროები ძირითადად დანაპარალებული შემცველი ქანებია, იშვიათად სასარგებლო წიაღისეული (მარილების, ოზოკერიტული, ურანის შემცველი და სხვ. მომპოვებელი მადაროები).

აირგამოყოფის ინტენსივობა - დროის ერთეულში ქანის (ნახშირის) ნატეხიდან ან მასივიდან გამოყოფილი აირის რაოდენობა.

აირგამოყოფის მართვა - სამთო გვირაბების საზღვრებში ან სამუშაო პროცესების მიმდინარეობის პერიოდში აირების გამოყოფის თავიდან აცილების, შემცირების ან გადანაწილებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობა. **ა.მ.** შესაძლებელია განხორციელდეს სამთო წნევის შეცვლით, განიავეების სქემის შეცვლით, დამუშავების სისტემების ელემენტების შეცვლით, დაახლოებული ნახშირის ფენების გამოღების რეგითობის შეცვლით, ნახშირის გამოღების ხერხის შეცვლით, მეთანის ბიოქიმიური დაჟანგვით, ქვანახშირში მეთანის კონსერვაციით, ნახშირის ფენების, შემცველი ქანებისა და გვირაბების დეგაზაციით.

აირგამოყოფის უთანაბრობის კოეფიციენტი - მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს შახტის ან მაღაროს გვირაბებში აირის (მეთანის, ნახშირმჟავა აირისა და სხვ.) დებიტის ცვალებადობას. გამოიყენება სამთო გვირაბებში აირგამოყოფის მიხედვით გასანიაველად საჭირო აუცილებელი ჰაერის რაოდენობის გაანგარიშებისას.

აირებისა და მტერის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია - აირებისა და მტერის კონცენტრაცია, რომელიც ჩასუნთქვისას არ იწვევს ადამიანის ორგანიზმში პათოლოგიურ ცვლილებებს და სამთო გვირაბების ატმოსფეროში არ წარმოქმნის ფეთქებასაშიშპირობებს. გვირაბების ჰაერში მავნე აირების შემცველობა იმ ადგილებში, სადაც იმყოფება ან შეიძლება იმყოფებოდეს ხალხი, არ უნდა აღემატებოდეს უსაფრთხოების წესებით დადგენილ ნორმებს.

აირებისა და ორთქლის სორბცია - მყარი სხეულის (ს ო რ ბ ე ტ ი ს) საშუალებით აირის ან ორთქლის შთანთქმა.

აირის ბალანსი - აირგამოყოფის განაწილება გამოყოფის წყაროებს ან სამთო გვირაბების სისტემას შორის. განასხვავებენ ცალკეული გვირაბის, ამოსაღები უზნისა და მთლიანად შახტის ან მაღაროს **ა.ბ.**-ს მაგ.: მეთანის გამოყოფი წყაროების მიხედვით ნახშირის შახტის **ა.ბ.** შედგება დამუშავებაში მყოფი ფენიდან (ფენებიდან), ახლომდებარე აირშემცველი ნახშირის ფენებიდან და შემცველი ქანებიდან გამოყოფილი აირისაგან.

აირის გამოხეთქა - აირის წნევის ზემოქმედებით სამთო ქანის უეცარი გარღვევა (ჩვეულებრივ, დამუშავებაში მყოფი ნახშირის ფენის საგებ გვერდში) და ღრმა ნაპრალის გაჩენა.

აირის გატყორცნის ზონის სიგრძე - მანძილი სანგრევიდან აირების გავრცელების ადგილამდე. ამ ზონის სიგრძე დამოკიდებულია ფეთქებადი ნივთიერების ხარჯზე, გვირაბის განივკვეთსა და შპურების საშუალო სიღრმეზე.

აირის გაწოვა - ნახშირის ფენებიდან, სამთო ქანებიდან და გამომუშავებული სივრცეებიდან აირის გამოტანა ექსპლუსტერების, ვენტილატორებისა და ვაკუუმ-ტუმბოების მეშვეობით გაიშვიათების შექმნით.

აირის დებიტი - გვირაბებსა ან სადეგაზაციო სისტემაში დროის ერთეულში გამოშვებული აირის მოცულობა. **ა.დ.** დამოკიდებულია აირის კოლექტორის ზომებზე, სამთო ქანების აირგამტარობაზე, აირის მარაგზე და სხვ.

აირის დებიტომეტრი - სადრენაჟო გვირაბებიდან ან ჭაბურღილებიდან გამომავალი, აგრეთვე აირსადენში გამავალი აირის მოცულობის მარეგისტრირებელი ხელსაწყო. აირჰაერის ნარევის დებიტის გაზომვა დამყარებულია U-სმაგვარი მანომეტრით აირსადენში დიაფრაგამამდე და დიაფრაგმის შემდეგ წნევათა სხვაობის გაზომვაზე.

აირის კონცენტრაცია - მდაროს ჰაერის ან კაპტაჟირებადი აირის შედგენილობაში ამა თუ იმ აირის შემცველობა, გამოსახული მოცულობით პროცენტებში ან უფრო იშვიათად - გრამებში (მილიგრამებში) კუბურ მეტრ (ლიტრ) ჰაერში.

აირის მიგრაცია - მიწის ქერქში აირის გადაადგილება, რომელიც იწვევს მის გაბნევას ან კონცენტრაციას. ნახშირის საბადოებში ატმოსფერული და მეტამორფული აირების შემხვედრ მიგრაციას მივყავართ *აირად ზონურობასთან*.

აირის პარციალური (წილადური) წნევა - აირების ნარევი ჯამური წნევის ნაწილი, რომელიც გამოსახავს ნარევი ადინიშული აირის წილობრივ წნევას.

აირის რეჟიმი - წაყენებული მოთხოვნების ერთობლიობა ნახშირის შახტებისადმი, რომლებიც ამუშავებენ აირის უეცარი გამოტყორცნისა და სუფლიარული გამოყოფის მხრივ საშიშ ფენებს, აგრეთვე მდაროებისადმი, რომლებშიც აღინიშნება ფეთქება-საშიში ან ტოქსიკური აირების გამოყოფა.

აირის საკონტროლო სანთურა სადეგაზაციო სისტემებში - აირის სპეციალური სანთურა, რომელიც არის სადეგაზაციო სისტემებში სწრაფმოქმედი მცირედ ინერციული დამცავი აირანალიზატორი, რომელიც კომპლექსში გაერთიანებულია დამცავ აპარატურასთან.

აირის წნევა ნახშირის ფენებში - ნახშირის ფენებში თავისუფალ ფაზაში არსებული აირის წნევა.

აირის წნევის საფეხური - სიღრმის ზრდასთან ერთად *სამთო გვირაბებში* აირის წნევის ზრდის ტემპი; განისაზღვრება მანძილის მიხედვით და შეესაბამება აირის წნევის მომატებას 1 კგ/სმ^2 -ით. მისი განზომილებაა მ/კგ/სმ^2 .

აირსითბოდამცავი აპარატი (გამაცივებელი კომბინიზონი) - სითბოდამცავი კოსტიუმისა და მაღაროს მაიზოლირებელი რესპირატორის კომბინაცია; ის შედგება ადამიანის ტანის ზედა ნაწილზე ჩამოსაცმელი სკაფანდრის, მშრალციხულიანი გამაცივებელი მოწყობილობის, სითბოსაგან მაიზოლირებელი შუასადებიანი აირგაუმტარი ქსოვილის კომბინიზონის, ჟანგბადის მისაწოდებელი მოწყობილობით აღჭურვილი ჟანგბადის ბალონებისა და ჰაერის იძულებითი ცირკულაციის მოწყობილობისაგან. ა.ა. საშუალებას იძლევა, შესრულდეს *სამთომშველი სამუშაოები სუნთქვისათვის უვარგის ატმოსფეროში*, გარშემო არსებული ჰაერის 125°C ტემპერატურის დროს.

აირტევადობა (ზოგადი) - აირის რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულ პირობებში შეიძლება შთანთქას მოცემული ნივთიერების მოცულობის ან წონის ერთეულმა. შთანთქმული აირის რაოდენობა შესაძლებელია გამოისახოს მოცულობით (მლ, მ³) ან წონით (გ, ტ) ერთეულებში, აგრეთვე გრამ-მოლეკულებში (მოლი).

აირშემკვრები გვირაბი - სპეციალური დანიშნულების გვირაბი, რომელიც გამოიყენება ნახშირის ფენებიდან და შემცველი *სამთო ქანებიდან* გამოყოფილი აირის შესაგროვებლად. ა.გ. შეიძლება გაყვანილი იყოს ფუჭ ქანში ან ნახშირის ფენაში დასამუშავებელი ფენიდან რაიმე (ჩვეულებრივ 35 მ-მდე) მანძილზე.

აკროლენი (C₃H₄O) - უფერო, ადვილად აქროლადი სითხე, დამწვარი ცხიმის მძაფრი არასასიამოვნო სუნით. ის უჯერი ალდეჰიდი; ჰაერში ძირითადად არის ორთქლის სახით, რომელიც ჰაერზე 1,9-ჯერ მძიმეა, წყალში კარგად იხსნება; ძლიერ მომწამლავია, იწვევს ყველა ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას, თავბრუსხვევას, ტკივილს მუცლის არეში, გულისრევასა და პირღებინებას. *მაღაროსა და კარიერის ჰაერში* ა. გამოიყოფა დიზელის ძრავების მუშაობისას გამონაბოლქვის საშუალებით.

აკუსტიკური (ბგერული და ულტრაბგერული) მტვერდამჭერები - დანადგარები, რომლებშიც წვრილდისპერსიული მტვრის დალექვას წინ უსწრებს ბგერულ ან ულტრაბგერულ ველში მტვრის ნაწილაკების კოაგულაცია (გამსხვილება).

აკუსტიკური მტვერმზომები - ხელსაწყოები, რომელთა მოქმედების პრინციპი დამყარებულია მტვრის ნაწილაკების მიერ ბგერული რხევების ენერჯის გაბნევის ან ჩახშობის ხარისხის ცვლილებაზე.

ალონჯი - ასპირაციული ხელსაწყო მტვერმიმღები ჰაერიდან მტვერის სინჯის ასაღებად. ის არის მილაკი, რომელშიც თავსდება მვილტრავი მასალა ან ძაბრი, რომლის ფართო ნაწილში ქანჩის საშუალებით ჰერმეტიკულად მაგრდება ფილტრი.

ალჩამქრობი - სპეციალური დამცავი მოწყობილობა, რომელიც დგება სადეგაზაციო სისტემაში.

ამიაკი (NH₃) - უფერო აირი ძალიან მკვეთრი სუნით; ის ძლიერ მომწამლავი და წვადი აირია, წყალში კარგად იხსნება. სამთო გვირაბებში ა-ს გამოყოფა ბუნებრივ აირებთან ერთად ძალიან იშვიათია და ძირითადად დაკავშირებულია ვულკანურ აირებთან. მისი წარმოშობა ყველაზე ხშირად ტექნოლოგიური ხასიათისაა, აგრეთვე წარმოიშობა მადაროს ხანძრის წყლით ქრობის დროს. ა-ს ჩასუნთქვა ჰაერში მისი მაღალი შემცველობისას იწვევს ძლიერ ხველას, ხორხის შემუპებასა და სპაზმებს, ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას. ა. იწვის ჰაერში და ფეთქდება ჰაერში 16 – 26 %-ის შემცველობისას. ნორმალური განიავების შემთხვევაში გვირაბებში ფეთქებადი ნარევი არ წარმოიქმნება.

ამომავალი ჰაერის ჭავლი - ამოსაღები უბნის (ბლოკის),საშახტო ფრთის (მადნის ველის), ცალკეული გვირაბისა და სხვ. შემომრეცხი და მიწის ზედაპირზე ამოსასვლელის მიმართულებით მოძრავი ჰაერის ჭავლი.

ამოსაღები უბნის პირდაპირი დინებით განიავების სქემა - ამოსაღები უბნის განიავების სქემა, რომლის დროსაც ჰაერის ჭავლი მიეწოდება საზიდი შტრეკით, წმენდით სანგრევს მორეცხავს და გადის სავენტილაციო შტრეკზე.

ამოქმედების დრო - დრო დენის ჩართვიდან ელექტროდეტონატორის აფეთქების მომენტამდე.

ამფეთქი - მაინიცირებელი მოწყობილობა, რომელშიც პირველადი ინიცირების გამო-მწვევის აღზნება ხორციელდება დამრტყმელი ან მჩხვლეტავი მოქმედების კაფსულა-მაალებლის საშუალებით.

ანემომეტრი - ჰაერის მოძრაობის სიჩქარის საზომი ხელსაწყო. კონსტრუქციისა და გამოყენების არის მიხედვით ანემომეტრი არის: 1. ფ რ თ ე ბ ი ა ნ ი, რომლებშიც ჰაერის ნაკადის ზემოქმედებით მსუბუქი ალუმინის ფრთების ბრუნვა გადაეცემა მთვლელი მექანიზმის რედუქტორს. მისი გამოყენების არეა 0,1 – 5 მ/წმ; 2. ჯ ა მ ე ბ ი ა ნ ი, მასში ჰაერის ნაკადის მოძრაობის აღმქმელი ნაწილია ორ ურთიერთმართობულ ღერძზე წამოცმული და საერთო ღერძზე მბრუნავი ოთხი პატარა ჯამი. მისი გამოყენების არეა 1,0 – 20 მ/წმ.

ანთება - ქიმიური სისტემის დაბალტემპერატურული ჟანგვიდან წვის მდგომარეობაში გადასვლის პროცესი. მაღაროს ხანძრის შემთხვევაში არსებობს ა-ის ორი ფორმა - **თვითანთება** და **ანთება** გარე წყაროს საშუალებით, რომელიც იმით ხასიათდება, რომ სისტემა დაბალი ტემპერატურების დროს ქიმიურად ინერტულია (მასში არ შეიძლება ხდებოდეს თვითგახურება).

ანთების ტემპერატურა - ტემპერატურა, რომლის დროსაც ნახშირის, სულფიდური მადნისა და სხვა წვადი მასალების ჟანგვის სიჩქარე ისე იმატებს, რომ ხდება მათი თვითანთება.

ანტიგრიზუტულობა - პირობების ერთობლიობა, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ ან შეამცირებენ შახტებში აირჰაერის (მეთანი, წყალბადი, ნახშირმჟავა აირი და სხვ.) ან მტვერჰაერის (ნახშირი, გოგირდი და სხვ.) ნარეკების აალების შესაძლებლობას.

ანტიპირენები - ნივთიერებები, რომლებიც ახდენენ ცეცხლის ალის ჩაქრობას. მათი მოქმედების მექანიზმი ასეთია: 1. ისინი ამცირებენ ალის ტემპერატურას შესაძლო მნიშვნელობამდე და ვინაიდან ალის თბოტევადობა ძალიან მცირეა, ამ მიზნისათვის საკმარისია მასში მცირე რაოდენობით მყარი ან თხევადი ნივთიერების გაფრქვევა; 2. ისინი ზემოდან გადაეკვრებიან წვადი მასალების ზედაპირებს და ხელს უშლიან მათთან ჟანგბადის კონტაქტს.

ანტიპიროგენები - ნივთიერებები, რომლებიც ხელს უშლიან ნახშირის ანთებას. მათი მოქმედება დამყარებულია იმაზე, რომ ამუხრუჭებენ ჟანგვის პროცესს ან ხელს უშლიან ჟანგვის პროცესის გადასვლას წვის პროცესში.

არაგაბარიტების აფეთქება აფეთქების პროდუქტების გაზნვის გარეშე - დაბალი ენერჯის *იგდანიტის* მუხტებით ან წყლით შევსებული მცირე მუხტებით დატენილი შპურებით მეორეული აფეთქების ხერხები.

არომატული სიგნალიზაცია - ჰაერის სუფთა სავენტილაციო ნაკადში ან კუმშული ჰაერის ქსელში სუნიანი ნივთიერებების (ოდორანტების) შეყვანით *შეტყობინება ავარიის შესახებ*.

ასაფეთქებელი სამუშაოები - ფეთქებადი ნივთიერებების გამოყენებით შესრულებული სასარგებლო წიაღისეულისა და ფუჭი ქანის მოსანგრევი და სამსხვრევი სამუშაოები.

ასპირაციული ხელსაწყოები - ხელსაწყოები, რომელთა გამოყენებით ხდება ჰაერის სინჯების აღება ჰაერის აირადი შედგენილობისა და ჰაერის დამტვერიანების

ანალიზისათვის. ჰაერის მტვრიანობის განსაზღვრის დროს ხორციელდება მტვრიანი ჰაერის ფილტრში გატარება.

აფეთქება - მოცემული თანმიმდევრობითა და დროის მოცემულ მომენტში ფეთქებადი ნივთიერების მუხტების დეტონაციის ალგორითმის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ამ სამუშაოს უსაფრთხოებას.

აფეთქება ამოყრით - აფეთქების ხერხი, რომლის გამოყენებისას ასაფეთქებელი მასა არამარტო ინგრევა, არამედ იფანტება სხვადასხვა მხარეს და აფეთქების ადგილიდან იშლება თხელ შრედ გარკვეულ მანძილზე, ამავე დროს ამფეთქი მუხტების განლაგების ხაზის გასწვრივ წარმოიქმნება ღრმული (ტრანშეა, ქვაბული, არხი და ა.შ.). ამოყრის ხარისხი დამოკიდებულია *აფეთქების ქმედების მაჩვენებელსა* და მუხტის კონსტრუქციაზე. **ა.ა.** გამოიყენება მშენებლობაში და წიაღისეულის ღია წესით დამუშავების დროს.

აფეთქებადი წვა - აფეთქებადი გარდაქმნა, რომელიც მიმდინარეობს რამდენიმე ასეული მეტრი წამში სიჩქარით (მაგ.: კვამლიანი ან უკვამლო დენტის აფეთქება, გამოწვეული ნაპერწკლით ან ცეცხლის ალით).

აფეთქებადობა - სამთო ქანების აფეთქების ზემოქმედებით გამოწვეული ნგრევისადმი გაწეული წინაღობის მახასიათებელი, განისაზღვრება ეტალონური ფეთქებადი მასალის რაოდენობით ($კგ/მ^3$) ან ფეთქებადი მასალის ენერჯის რაოდენობით ($კვალ/მ^3$), რომელიც აუცილებელია 1 მ სიღრმეში მოთავსებული მუხტის, 40 მმ დიამეტრის მქონე და ჰორიზონტალურ თავისუფალ ზედაპირთან 45⁰-ით დახრილი შპურის აფეთქებისას მართკუთხა ძაბრის წარმოქმნისათვის.

აფეთქება (პროცესი) - ნივთიერების მყისიერი დაწვა, რომელსაც თან სდევს სითბოს დიდი რაოდენობით გამოყოფა; სითხის ან მყარი სხეულის დაწვას თან სდევს აირების გამოყოფა. სამთო საქმეში **ა.** გამოიყენება *სამთო ქანების* მონგრევისათვის. მადაროს აირებისა და მტვრის **ა.** იწვევს ავარიებს.

აფეთქება ჩამოყრით - ჩამოყრით აფეთქებისას ამფეთქი მუხტების განლაგება ხდება კარიერის საფეხურის ზედა კიდის გასწვრივ, სანგრევიდან უმცირესი წინაღობის ხაზის 1,1 – 1,2-ჯერად მანძილზე მოწყობილ კამერებში. ასეთი აფეთქება გამოიყენება მაშინ, როდესაც სამუშაო ფრონტის გაშლის ხელშემშლელი გადასახსნელი ქანების ნაწილი აუცილებელია მოსცილდეს და გადაიყაროს *გამომუშავებული სივრცის* მხარეს.

აფეთქების პროდუქტები - აფეთქების პროცესში და ამ პროცესთან დაკავშირებული მეორეული ქიმიური რეაქციების შედეგად წარმოქმნილი ფეთქებადი მასალების

ქიმიური გარდაქმნის პროდუქტები. მათ ეკუთვნის: ნახშირმჟავა აირი, ნახშირბადის ოქსიდი, აზოტის ოქსიდები, წყლის ორთქლი, წყალი, ნახშირბადი ჰვარტლის სახით, ალუმინის ოქსიდები.

აფეთქების რადიუსი - უდიდესი მანძილი *მუხტის* ცენტრიდან იმ ღია ზედაპირამდე, რომელზეც შეინიშნება ფეთქებადი მასალების მუხტის გარშემომყოფ მყარ გარემოზე აფეთქების დამანგრეველი მოქმედება.

აფეთქების ტალღა - ფეთქებადი ნივთიერების მუხტის, მტვრისა და აირის აფეთქებისას გარემოში წარმოქმნილი განსაკუთრებული სახის შეშფოთება, რომელიც იწვევს წნევის მკვეთრ, ნახტომისებრ გაზრდას, რასაც თან სდევს ნივთიერების შეკუმშვა, გახურება და გადაადგილების სიჩქარის ცვლილება.

აფეთქების ძაბრის რადიუსი - აფეთქებით წარმოქმნილი ძაბრის ძირის რადიუსი, რომელიც იზომება ღია ზედაპირის სიბრტყეში. მის ფარდობას მუხტის უმცირესი წინაღობის ხაზთან ეწოდება *აფეთქების მოქმედების მაჩვენებელი*, რომელიც ფეთქებადი ნივთიერების მუხტების ძირითადი მაჩვენებელია.

აქროლადი ნივთიერებები - ნივთიერებები, რომლებიც გამოიყოფიან *წიაღისეული ნახშირებიდან* მათი გახურებისას. ან - ის შემადგენლობაში შედის ტენი, ნახშირის აქროლადი ორგანული ნაწილები, ნაწილობრივ - ზოგიერთი *მინერალის* დაშლის პროდუქტები. მათი გამოსავალი მურა ნახშირებიდან ქვანახშირებამდე და შემდეგ ანთრაციტებამდე 50%-დან 4%-მდე მცირდება.

აღმავალი სადრენაჟო ჰაბურღილი - 50 – 127 მმ დიამეტრის მქონე ჰაბურღილი, რომელიც გაყვანილია სამთო გვირაბიდან ზევით ვერტიკალურად ან დახრილად, რომლის ზედა მხარეზე დამონტაჟებულია ფილტრი. **ა.ს.ჰ.** გამოიყენება მოსამზადებელი და წმენდითი სანგრევების ჰერიდან 10 მ-ზე მეტი მანძილით დაშორებული ჩაწოლოლი *წყალშემცველი ჰორიზონტების დრენაჟისათვის* (გასაშრობად).

აღმავალი სავენტილაციო ნაკადი (ჰავლი) - სამთო გვირაბების ქსელში ქვევიდან ზევით გადაადგილებული ჰაერის ნაკადი (ჰავლი).

აცეტილენი (C₂H₂) - ნახშირწყალბადოვანი აირების რიგის წარმომადგენელი. ბუნებრივ აირებში გვხვდება ძალიან იშვიათად და მცირე რაოდენობით. ნახშირის შახტებში შეიძლება წარმოიქმნას ხანძრის დროს ქვანახშირის თერმული გახრწნისას.

ბარიკადული კამერა - თავშესაფარი - იზოლირებული მიწისქვეშა კამერა ხალხის თავშესაფარებლად ჩიხური ან ადვილად იზოლირებადი გვირაბის უბნებზე ავარიის შემთხვევაში.

ბარიკადული ტიხრის წარმოქმნა აფეთქებით - ფეთქებადი მასალების კამერული მუხტებით გვირაბის გვერდითი კედლებისა და იატაკის ქანების გაფხვიერების საშუალებით გვირაბის ამოვსება 15 – 20 მ სიგრძეზე ხანძრის უბნის იზოლაციის მიზნით.

ბარომეტრი - ბარომეტრული (ატმოსფერული) წნევის გასაზომი ხელსაწყო.

ბენზინის ორთქლი - მომწამლავი და ფეთქებადი ორთქლი, რომელიც გამოიყოფა ნავთობისა და ოზოკერიტულ შახტებში, აგრეთვე მადანში ან შემცველ ქანებში ნავთობისა და ოზოკერიტის (ქანცვილის) არსებობისას.

ბერნულის განტოლება - სამთო გვირაბებში ჰაერის მოძრაობის ძირითადი განტოლება, რომელიც ასახავს აირის (სითხის) მოძრავი ნაკადის შემთხვევაში ენერჯის შენახვის კანონს.

ბლოკირება (დაბლოკვა) - ელემენტის, აპარატის ან სქემის მუშა ნაწილების ფიქსაცია განსაზღვრულ (მუშა ან არამუშა) მდგომარეობაში იმ მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, რომლებმაც განაპირობა მოცემული მდგომარეობა. აპარატის **ბ.**, მისი მოქმედების პრინციპის მიხედვით ხდება მექანიკური, ოპტიკური, მაგნიტური ან ელექტრული (სქემური) კავშირით, რომლის საშუალებითაც მუშა ნაწილები ჩერდება საჭირო მდგომარეობაში.

ბუნებრივი სავენტილაციო ძალები - ძალები, რომლებიც ახდენენ კარიერში ჰაერცვლას. ჰაერცვლა შეიძლება იყოს: თერმული - ჰაერის მასების ცალკეული ნაწილების ტემპერატურებს შორის სხვაობის ხარჯზე, და დინამიკური - ქარის ქროლვის ხარჯზე.

ბუნებრივი წევა (თბური დეპრესია, თბური დაწნევა) - წნევათა სხვაობა, რომელიც განპირობებულია სამთო გვირაბებში ჰაერის წნევებს შორის ბუნებრივად შექმნილი სხვაობით; შახტებში **ბ.წ.** იქმნება ორი ან მეტი ვერტიკალური ან დახრილი გვირაბის არსებობისას, რომლებშიც მოძრავ ჰაერს აქვს სხვადასხვა კუთრი წონა.

ბუნებრივი წვეის დეპრესია - დეპრესია (წნევათა სხვაობა), რომელიც წარმოიქმნება ჰაერის ბუნებრივი (მექანიკური მოწყობილობების გამოყენების გარეშე) გადაადგილების შედეგად.

ბუნებრივი წვეის მახასიათებელი - მრუდი, რომელიც ასახავს დამოკიდებულებას ბუნებრივი წვეის დეპრესიასა და *სამთო გვირაბებში* ცირკულირებადი ჰაერის რაოდენობას შორის.

ბუტანი (C_4H_{10}) - მძიმე ნახშირწყალბადის აირი - *მეთანის* ჰომოლოგი. ნავთობის საბადოების თანამგზავრი აირი, გვხვდება ნახშირის ფენების აირებში.

ბუტილენი (C_4H_8) - იშვიათი აირი, რომელიც ბუნებაში გვხვდება უმნიშვნელო რაოდენობით. ნახშირის შახტებში შესაძლებელია წარმოიქმნას ხანძრის დროს ქვანახშირის თერმული გახრწნისას.

ბ

გადაცემის დრო - დრო აალების მომენტიდან ელექტრომაგნიტური სიხშირის თავაკიდან ცეცხლის სხივის გამოსვლის მომენტამდე.

გამაუმტვერულებელი განიავება - იხ. *მტვერსაწინალო სავენტრაციო რეჟიმი*.

გამაფრთხილებელი სიგნალიზაცია - მიწის ქვეშ და მიწის ზედაპირზე მომუშავეთა გაფრთხილება, აუცილებლად დაიცვან უსაფრთხოების ღონისძიებანი ვინაიდან შესაძლოა, შეიცვალოს მექანიზმების მდგომარეობა ან ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობა, აგრეთვე გვირაბის ან საწარმოო სათავსის მოცემულ ადგილზე არსებული საშიშროებების თაობაზე.

გამაცოცხლებელი აპარატურა - აფეთქების პროდუქტებით მოწამვლის გამო სუნთქვითი პროცესის ღრმა დარღვევისას, დაზარალებულისთვის ხელოვნური სუნთქვის ჩასატარებლად დოზირებული რაოდენობით ჟანგბადის ან მისი ჰაერთან ნარევის მისაწოდებელი აპარატი.

გამომუშავებული სივრცეების დეგაზაცია - *გამომუშავებული სივრცეებიდან* მეთან-ჰაერის ნარევის მოცილების პროცესი.

გამომუშავებული სივრცის კუთრი აეროდინამიკური წინაღობა - *გამომუშავებული სივრცის*, მასში გამავალი ჰაერისადმი გაწეული წინაღობის ერთეული.

გამომუშავებული სივრცის შევსების ხარისხი - *გამომუშავებული სივრცის ყველა შემავსებლის მოცულობის ფარდობა გამოღებული ნახშირის მოცულობასთან (გამონახება პროცენტებში).*

გამორეცხვა ჭაბურღილებისა და შპურების ბურღვის დროს - ბურღვის პროცესში წარმოქმნილი ღერდილის (ნაბურღის) მოცილებისა და დასველების ხერხი ჭაბურღილში (შპურში) მიწოდებული წყლის საშუალებით. გამორეცხვა საშუალებას იძლევა, ჰაერის მტვრიანობა შემცირდეს დასაშვებ სანიტარიულ ნორმებამდე, 2 – 2,5-ჯერ შემცირდეს საჭრისებისა და საბურღი ფოლადის ხარჯი და 1,2 – 2,5-ჯერ გაიზარდოს ბურღვის სიჩქარე.

გამორეცხვით ბურღვის ნორმალური რეჟიმი - ბურღვის პროცესის წარმართვის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამორეცხვის სანიტარიულ-ჰიგიენური ეფექტურობისა და *ბურღვის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების* გაზრდას.

გამოტყორცნასაშიში ზონა - ნახშირის ფენის ნაწილი, რომელიც *საშიშია ნახშირისა და აირის უეცარი გამოტყორცნების მხრივ.* მისი დადგენა ხდება *გამოტყორცნასაშიშროების პროგნოზის* საფუძველზე.

გამოტყორცნასაშიშროება - *ნახშირის ფენის* (ზონის, უზნის), შემცველი სამთო ქანების, მთლიანად საბადოს *ნახშირისა და აირის უეცარი გამოტყორცნის* საშიშროება, რომელიც დგინდება მოქმედ შახტებში უეცარი გამოტყორცნების სიმძიმისა და სიხშირის სტატისტიკურ გამოკვლევათა შედეგების ან *გამოტყორცნასაშიშროების პროგნოზის* საფუძველზე.

გამოტყორცნასაწინააღმდეგე ტიხარი - *მოსაშადებელი გვირაბის* სანგრევში მოწყობილი დროებითი ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია ნახშირის, *სამთო ქანებისა და აირების* გამოტყორცნის ინტენსიურობის შემცირებისათვის.

გამოყრა - სამთო გვირაბში *მასივიდან* გამოყოფილი ქანების ან *სასარგებლო წიაღისეულის* ნაწილის გამოვარდნა.

გამყინავი ჭაბურღილი - გამყინავი სვეტით აღჭურვილი ჭაბურღილი, რომელიც განკუთვნილია *სამთო ქანების* გასაყინავად.

განიავების კომბინირებული სქემა - **იხ. განიავების სქემები.**

განიავების სქემები - 1. სქემატური ნახაზები, რომლებზეც ნაჩვენებია ვენტილატორების განლაგება და უმნიშვნელოვანეს გვირაბებში ჰაერის მოძრაობის მიმართულე-

ბა; 2. შახტში სუფთა ჰაერის მიმწოდებელი და შახტიდან გადამუშავებული (ჭუჭყიანი) ჰაერის მომცილებელი სამთო გვირაბების ურთიერთგანლაგება. შახტში სუფთა ჰაერის მიმწოდებელი და შახტიდან გადამუშავებული (ჭუჭყიანი) ჰაერის მომცილებელი სამთო გვირაბების რაოდენობისა და მათი ურთიერთგანლაგების მიხედვით **გ.ს.** შეიძლება იყოს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი, ფ ლ ა ნ გ უ რ ი და კ ო მ ბ ი ნ ი რ ე ბ უ ლ ი.

განიავების ხერხი - ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან წნევათა აუცილებელ სხვაობას, რათა *სამთო გვირაბებში* უზრუნველყოფილ იქნეს ჰაერის მოძრაობა აუცილებელი მიმართულებითა და მოთხოვნილი ინტენსიურობით. **გ.ხ.** შეიძლება იყოს ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი - ბუნებრივი წევის ხარჯზე ან ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი - მექანიკური (ვენტილატორების ან სხვა საშუალებების გამოყენებით).

განივი კალიბრი (*მადაროს აეროლოგიაში*) - უგანზომილებო სიდიდე, რომელიც ახასიათებს სიმქისის შვერილის ზომას. გამაგრებული გვირაბებისათვის **გ.კ.** განისაზღვრება ბიგის დიამეტრის ფარდობით გვირაბის *დაყვანილ დიამეტრთან*, გაუმაგრებელი გვირაბისათვის კი - სიმქისის შვერილების საშუალო მნიშვნელობის ფარდობით გვირაბის დაყვანილ დიამეტრთან.

განმტვირთავი სარქველი - სარქველი, რომლითაც ხდება სამაგრი *ჰიდრაულიკური ბიგების* განტვირთვა სამთო წნევისაგან.

გაჟონვის რელე - იზოლირებულნეიტრალიან ელექტრულ ქსელებში მიწაში დენის გაჟონვისაგან დამცავი მოწყობილობა.

გარანტირებული დენი - დენის მინიმალური სიდიდე, რომელიც გადის მიმდევრობით მიერთებულ *ელექტროდეტონატორებში* და იწვევს მათ აალებას.

გარდამავალი (შუალედური) რეჟიმი - აირის (სითხის) მოძრაობის რეჟიმი, როდესაც ლამინარული მოძრაობა გადადის ტურბულენტურში. სამთო პრაქტიკაში **გ.რ.** გვხვდება ჰაერის გაპარვისას ფიცრის, საყორე, ბეტონისა და სხვა ტიპის ტიხრებსა და *სავენტილაციო კარებში*, აგრეთვე შეუმჭიდროებელ ვსებასა და სავენტილაციო მილსადენების შეერთებებში.

გასაბერი ტიხარი - დარეზინებული ქსოვილისაგან დამზადებული მოწყობილობა, რომელსაც კონტურის გასწვრივ აქვს გასაბერი ბალონები. გვირაბებში დაყენებისას შეკუმშული ჰაერით საშახტო ქსელიდან, აზოტითა ან ნახშირმჟავა აირით ფოლადის ბალონიდან 150 – 200 მმ წყ. სვ. აირის წნევამდე. ბალონები **გ.ტ.**-ს აძლევს სიხისტეს,

ამასთან ერთდროულად შემზღვევებიცაა. გასაბერ ტიხრებს იყენებენ *სამთომა-შველი ნაწილები* გვირაბების დროებითი იზოლირებისათვის, *მიწისქვეშა ავარიის* შემთხვევაში - სავენტილაციო ჭავლის სიჩქარის შემცირებისათვის.

გაუმტვრიანება - წიაღისეული ნედლეულის ან გამდიდრების პროდუქტების პნევმატური დამუშავება მათში მტვრის შემცველობის შესამცირებლად.

გაუმტვრიანების პროცესების ნორმალიზაცია - გაუმტვრიანების პროცესების რაციონალური (ოპტიმალური) რეჟიმების შექმნა და შენარჩუნება.

გაუმტვრიანების ღონისძიებათა კომპლექსი - *მალაროს მტვერთან* ბრძოლის ხერხებისა და მტვერწარმოქმნის თავიდან აცილების ღონისძიებების ერთობლიობა. ის შედგება ჰიდროგაუმტვრიანების, მშრალი მტვერდამჭერების, ნორმალური განიავებისაგან, აგრეთვე ტექნოლოგიური და საორგანიზაციო ღონისძიებებისაგან, რომლებიც მიმართულია მტვერწარმოქმნის შემცირებისა და მტვრიან ნაკადებთან ადამიანების კონტაქტის შეზღუდვისაკენ.

გაწოვის ჯერადობა - დროის ერთეულში გვირაბიდან გაწოვილი ჰაერის რაოდენობის ფარდობა გვირაბის გასანიავებლად მიწოდებული ჰაერის რაოდენობასთან. გვირაბგამყვან კომბაინებზე *მტვერდამჭერების*ს ჰაერის **გ.ჯ.** მერყეობს 1,0-დან 1,3-მდე, ხოლო მომპოვებელ კომბაინებზე - 0,6-დან 0,8-მდე.

გეოფონი - *სამთო ქანებში* გავრცელებული ბგერითი ტალღების მიმღები ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება ქანების აკუსტიკური დაზვერვისათვის, *სამთომაშველი სამუშაოების* წარმოების დროს, *სამთო წნევების* გამოვლინებათა კვლევისას და სხვ.

გვირაბების აირსიუხვე - გვირაბებში გამოყოფილი აირის რაოდენობა. განასხვავებენ **გვირაბების აბსოლუტურ აირსიუხვეს** - აირის დებიტს (გამოყოფას) დროის ერთეულში ($\text{მ}^3/\text{წთ}$ ან $\text{მ}^3/\text{დღე-ღამეში}$), და **გვირაბების ფარდობით აირსიუხვეს** - გამოყოფილი აირის რაოდენობას დროის გარკვეულ მონაკვეთში, რომელიც მოდის დროის იმავე პერიოდში მონგრეული წიაღისეულის ან ფუჭი ქანის წონის ან მოცულობის ერთეულზე ($\text{მ}^3/\text{ტ}$ ან $\text{მ}^3/\text{მ}^3$). ნახშირის შახტებში ყველაზე ინტენსიურად გამოიყოფა მეთანი და ნახშირმჟავა აირი, ამიტომ აირსიუხვეში იგულისხმება გვირაბების **მეთანსიუხვე ან ნახშირმჟავასიუხვე**.

გვირაბების აფეთქებასაშიში მტვრიანობის ქვედა ზღვარი - გვირაბში დალექილი მტვრის მინიმალური რაოდენობა, რომელიც ჰაერში შექონილ მდგომარეობაში გადასვლის დროს ამ გვირაბის მოცულობაში წარმოქმნის ფეთქებასაშიშ კონცენტრაციას; მისი განზომილებაა $\text{გ}/\text{მ}^3$ და დამოკიდებულია მტვრის წარმომქმნელ ნახშირში

აქროლადი ნივთიერებების შემცველობაზე, ნაწილაკების სისხოზე, ჰაერში *მეთანის* შემცველობაზე და სხვ. ის განსაზღვრავს გვირაბში მტვრის ფეთქებასაშიში რაოდენობით დაგროვების დროსა და *მტვრის* ნეიტრალიზაციის *პერიოდულობას*, მათ შორის *გვირაბის მოფიქალების პერიოდულობას*.

გვირაბების განცალკევებული განიავება - განიავება, რომლის დროსაც სავენტილაციო ჭავლი მორეცხავს ან ერთ *ამოსაღებ უბანს (ბლოკს)* მასთან მირთულ *მოსამზადებელ გვირაბებთან* ერთად ან ერთ წმენდით სანგრევს, ან მოსამზადებელი გვირაბის სანგრევს.

გვირაბების დაღმავალი განიავება - განიავება, რომლის დროსაც სავენტილაციო ჭავლი სამთო გვირაბების ქსელში მოძრაობს ზევიდან ქვევით. **გ.დ.გ.** საშუალებას იძლევა, შევამციროთ წმენდით სანგრევში მისაწოდებელი ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, ზედა ჰორიზონტის გვირაბებისა და წმენდით სანგრევებში ატმოსფეროს მტვრიანობა, აგრეთვე სავენტილაციო ნაკადისადმი აეროდინამიკური წინაღობა. ამასთან ერთად **გ.დ.გ.-ის** გამოყენების არე *უსაფრთხოების მოთხოვნებით* მკვეთრად შეზღუდულია. ეს იმით აიხსნება, რომ ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალებები მუშაობს ჰაერის ამომავალი ჭავლის მქონე გვირაბებში, რის გამოც საზიდ შტრეკში იზრდება ჰაერის დამტვრიანება და გარდა ამისა, შესაძლებელია *გამომუშავებულ სივრცეში* ჰაერის გაპარვის გადაყირავება.

გვირაბების მოფიქალება - დალექილი ნახშირის მტვრის, *ინერტული მტვრის* საშუალებით ნაცრიანობის ხელოვნურად მომატება ისეთ მნიშვნელობამდე, რომლის დროსაც ნახშირის მტვერი კარგავს აალების უნარს.

გვირაბების მიმდევრობითი შეერთება (მაღაროს ვენტილაციაში) - შეერთება, რომლის დროსაც ერთი გვირაბი ეკვრის მეორეს და მისი გაგრძელებაა.

გვირაბების პარალელური შეერთება (მაღაროს ვენტილაციაში) - შეერთება, რომლის დროსაც გვირაბები ერთ წერტილში განშტოვდებიან, ხოლო მეორე წერტილში კვლავ ერთდებიან.

გვირაბების შრეებრივი დაგაზიანება - გვირაბების დამდგარი (მკვდარი) ზონები, რომლებიდანაც ჰაერის ტურბულენტური ნაკადებით ვერ გამოიდევენება აირები, მაგრამ მათი გადაადგილება ხდება *დიფუზიის* ხარჯზე. ყველაზე ხშირად ასეთი ზონები გვხვდება გვირაბის ჭერთან მეთანის თავმოყრილი გამოყოფის დროს.

გვირაბებში აირების გამოყოფა - *სამთო გვირაბში სასარგებლო წიაღისეულის ფენათა წყებიდან* და შემცველი ქანებიდან მეთანის ან სხვა ბუნებრივი აირის გამოყოფა. **გ.ა.გ.**

ის სახეები: **1. ჩვეულებრივი** - მთელი გაშიშვლებული ზედაპირიდან ნახშირის ფენასა და შემცველ ქანებში არსებული ნაპრალებიდან და ფორებიდან აირების მცირე რაოდენობით, მაგრამ განუწყვეტელი გამოყოფა; **2. სუფლიარული** - ნაპრალებიდან ან ჭაბურღილებიდან აირების ადგილობრივი გამოყოფა; აირის შადრევანი, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში; **3. უეცარი** - ადგილობრივად დიდი რაოდენობით აირის ინტენსიური გამოყოფა დროის მოკლე მონაკვეთში, რასაც თან სდევს ნახშირის ფენის ან შემცველი ქანის დაშლა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში ნახშირის დაშლა და გამოტყორცნაც.

გვირაბის აეროდინამიკური წინაღობის კოეფიციენტი - გვირაბის ზედაპირის სიმქისის ხარისხსა და ტიპზე დამოკიდებული კოეფიციენტი (კგ.წმ²/მ⁴). განისაზღვრება ანგარიშით ან აიღება საცნობარო ცხრილებიდან. **გ.ა.წ.კ** -ის („აღფა“ კოეფიციენტის) განსაზღვრის საანგარიშო ფორმულები სამთო გვირაბებისათვის გამოყვანილია გვირაბის სამაგრის ტიპისა და განივი კვეთის გათვალისწინებით, ხოლო საშახტო ჭაურებისათვის - მათი არმირებისაგან დამოკიდებულების დასადგენად ჩატარებული მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული სამეცნიერო კვლევების საფუძველზე.

გვირაბის (შახტის) ექვივალენტური ხერელი - წარმოსახვითი ხერელი თხელ კედელში, რომლის ორივე მხარეს არსებულ წნევებს შორის სხვაობა (დეპრესია) ტოლია გვირაბის (შახტის) დეპრესიისა ამ ხერელში და გვირაბში (შახტში) ერთი და იმავე რაოდენობის ჰაერის გატარებისას.

გვირაბის მტვრიანობის ხარისხი - გვირაბის ფეთქებასაშიშროების მახასიათებელი მაჩვენებელი.

გვირაბის სიმქისე - შვერილების ზომა და მათი განლაგება გვირაბის სიგრძეზე. **გ.ს.** შეიძლება იყოს თ ა ნ ა ბ ა რ ი (გამაგრებულ გვირაბებში) და ა რ ა თ ა ნ ა ბ ა რ ი (გაუმაგრებულ გვირაბებში), აგრეთვე ფ ა რ დ ო ბ ი თ ი.

გვირაბში ჰაერის მოძრაობის სიჩქარის განაწილების კანონი - სიჩქარის ვექტორსა და გვირაბის კედლიდან დაშორებას შორის დამოკიდებულება.

გოგირდოვანი აირი (SO₂) - აირი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც „თვალისაღამია აირი“; უფერო აირია, აქვს მკვეთრი (მომყავო) გემო, ძლიერ მომწამლავია; ბუნებრივ აირებში გვხვდება იშვიათად, გამოიყოფა გოგირდის მადნიდან, ნახშირის საბადოებში გვხვდება ლოკალური დაგროვებები აზოტოვანი აირების ზონიდან აზოტ-მეთანური აირების ზონაში გადასვლისას.

გოგირდწყალბადი (H₂S) - ლაყე კვერცხის ძლიერი სუნის მქონე აირი; ბუნებრივ აირებში არის იშვიათად, ნახშირის საბადოებში გვხვდება ლოკალური დაგროვებები აზოტოვანი აირების ზონიდან აზოტ-მეთანური აირების ზონაში გადასვლისას. სამთო გვირაბებში გამოიყოფა ფეთქებადი მასალების წვისას, ორგანული ნივთიერებების გახრწნისას, გამოიყოფა აგრეთვე კალიუმის მარილებიდან, მინერალური წყაროებიდან და გოგირდოვანი მადნებიდან.

გრძივი კალიბრი - უგანზომილებო სიდიდე, რომელიც ახასიათებს გვირაბის სიგრძეზე სიმქისის შვერილების (სამაგრი ჩარჩოების) სიმჭიდროვეს. გამაგრებული გვირაბებისათვის გ.კ. განისაზღვრება სამაგრი ბიგების ცენტრებს შორის მანძილის ფარდობით ბიგის დიამეტრთან.

დ

დაახლოებული ფენების (თანამგზავრების) დეგაზაცია - ნახშირის შახტების დეგაზაციის ხერხი, რომლის დროსაც ექსპლუატაციაში მყოფი ნახშირის ფენის გვირაბიდან მის ზევით ან ქვევით, სამთო წნევებისაგან განტვირთული ახლომდებარე ფენებიდან ჭაბურღილებით ან სპეციალური გვირაბებით *მეთანის* გამოტანა.

დაგაზიანებული (დააირიანებული) გვირაბი - სამთო გვირაბი, რომლის ჰაერში *მალაროს აირის (მეთანი, ნახშირმჟავა აირი, მკვდარი ჰაერი და სხვ.)* შემცველობა აღემატება *უსაფრთხოების წესებით* დადგენილ ნორმებს. დაგაზიანება აღინიშნება არასაკმარისი განიავების, მისი მოშლის, ან *სუფლიარის* გახსნის შემთხვევაში, *ნახშირის, ქანებისა და აირის უეცარი გამოტყორცნისას* და მალაროს აირის მომატებული გამოყოფისას.

დაზვერვის ათეული - სამთომშველი ათეული, რომელიც პირველი მიემართება *ავარიის კერასთან*, მისი მოვალეობაა ხალხის გადარჩენა, მდგომარეობის გარკვევა და უმნიშვნელო ავარიის დროს მისი ლიკვიდაცია.

დალამვა - ენდოგენური ხანძრის თავიდან აცილებისა და ქრობის ხერხი, გვირაბებში წინასწარ გაკეთებული ჭაბურღილების საშუალებით დასალამი პულპის მიწოდების გზით. დანიშნულების მიხედვით დალამვა შეიძლება იყოს **პროფილაქტიკური** ანუ წინასწარი და **ავარიული**.

დალექილი მტვრის შეკავშირება - გვირაბის კედლებზე, ჭერსა და იატაკზე, აგრეთვე სპეციალურად განთავსებულ ინერციული მოქმედების მტვერდამჭერებზე თავმოყრილი მტვრის ნაწილაკების გამსხვილება, რაც გვირაბებში ხორციელდება: დამასველებელ-შემაკავშირებელი სითხეებით მორწყვით; გვირაბების კედლების, ჭერისა და

იატაკის დაფარვით დამასველებელ-შემაკავშირებელი პასტებითა და ხსნარებით; გვირაბების ზედაპირებზე, განსაკუთრებით იატაკზე, ჰიგროსკოპიული მარილების დატანით.

დამასველებელი - წყლის საშუალებით მყარი ზედაპირების დასველების უნარის მონატება წყალზე მცირე კონცენტრაციით (0,05 – 0,5%) *ზედაპირულად-აქტიური ნივთიერებების* დამატებით.

დამცავი გარემო - აირისა და მტვრის მხრივ საშიში შახტების *სანგრევისპირა სივრცეში* ხელოვნურად შექმნილი ინერტული გარემო, რათა თავიდან იქნას აცილებული მეთანისა და მტვრის შესაძლო აალება *აფეთქებითი საშუალების* წარმოების დროს.

დამცავი ბაგირი (ჯაჭვი) - ბაგირი (ჯაჭვი), რომელიც დახრილი ან ციცაბო ფენების დამუშავებისას, გამწევი ჯაჭვის ან ბაგირის გაწევეტის შემთხვევაში თავიდან აგვაცილებს *სამთო მანქანის* ჩამოვარდნას.

დამცავი თარო - ხის, ლითონის ან ბეტონის თარო, რომელიც კეთდება საშახტე ჭაურში, ყველაზე ქვედა *ჭაურმიმდებარე ეზოს* გვირაბების იატაკიდან 10-20 მ-ით ქვევით გამოიყენება ჭაურის ჩაღრმავებაზე მომუშავე ხალხისა და მოწყობილობების დაცვის მიზნით.

დამცავი მოქმედების დრო - 1. დრო, რომლის განმავლობაშიც მფილტრავი *მაღაროს რესპირატორის* კოლოფში მშთანთქმელი შრე (სორბენტი) პრაქტიკულად მთლიანად შთანთქავს სასუნთქი ჰაერის მავნე მინარევებს; 2. დრო, რომლის განმავლობაშიც დამცავი ფენების წინასწარი დამუშავების შედეგად ხორციელდება ნახშირისა და აირის უეცარი გამოტყორცნების ან სამთო დარტყმების მხრივ შედარებით საშიში ფენის (დაცული ფენის) განტვირთვა და დეგაზაცია.

დამცავი სარქველი - მოწყობილობა, რომელიც ზღუდავს *ჰიდრავლიკური ბიგის* ჰიდროამპრავის სისტემაში წნევის ზღვრულად დასაშვებ სიდიდეს. არსებობს ბურთულიანი, კონუსური და მკვეთარიანი **დ.ს.**

დამცავი ფეთქებადი ნივთიერებები - ფეთქებადი ნივთიერებები, რომელთა შედგენილობაში შედის ალჩამქრობები ან რომლებიც ჩასმულია დამცავ გარსაცმებში და მათი გამოყენება დაშვებულია აირისა და მტვერის მხრივ საშიშ შახტებში.

დამცავი ქამარი - სპეციალური ქამარი ჯაჭვითა და მისაბმელი მოწყობილობით. ის ჩამოიცმევა სპეცტანსაცმლის ზემოდან, ხოლო მისაბმელი მოწყობილობით მიემაგრება მყარად დამაგრებულ საგანს, რომელიც თავის მხრივ უძრავ მდგომარეობაშია დასაცავი ადამიანის ადგილთან მიმართებაში. **დ.ქ.** აუცილებელია ისეთ ადგილებზე

მუშაობისას, სადაც შესაძლებელია ადამიანის ჩამოვარდნა მნიშვნელოვანი სიმაღლიდან - ვერტიკალურ და დახრილ ჭაურებში, ურნალებზე, ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენებზე, საკვამლე მილებზე და სხვ.

დამცავი ჯალამბარი - ჯალამბარი, რომელიც გამოიყენება *სამთო მანქანის დამცავი გვარლის* დაჭიმულ მდგომარეობაში გასაჩერებლად მისი მუშაობისას დახრილი ან ციცაბო ფენის საწმენდ სანგრევში.

დამჭირხნი მილსადენი - მილსადენი, რომლითაც ხდება ჰაერის დაჭირხნა ვენტორის მეშვეობით.

დარიშხანოვანი წყალბადი (AsH₃) - უფერო, ძლიერ მომწამლავი აირი. სუფთა სახით არის უსუნო, ბუნებაში გვხვდება მინარევებთან ერთად, რომლებიც აძლევენ მას ნივრის სუნს. **დ.წ**-ის შემცველობა ბუნებრივ აირებში უმნიშვნელოა.

დარსი - *სამთო ქანების* შეღწევადობის საზომი ერთეული, რომელიც განსაზღვრავს სითხის ფილტრაციის ხარისხს.

დასაკვირვებელი ჭაბურღილი (რეჟიმული, პიეზომეტრიული) - *ჭაბურღილი*, რომლის საშუალებითაც ხდება აირის წნევაზე დაკვირვება ნახშირის ფენში ან ქანებში, აგრეთვე დაკვირვება *მიწისქვეშა წყლების* ტემპერატურაზე, მისი ქიმიური შედგენილობის ცვლილებასა და დონის რყევაზე.

დასალამი პულპის გამოხეთქა - *დასალამი პულპის* დაწნევის გამო ქანის მთელანის ან ტიხრის გარღვევა და *სამთო გვირაბების* დატბორვა პულპით.

დასველება - მყარი სხეულის ზედაპირთან სითხის მოლეკულური ურთიერთქმედების პირველი სტადია.

დამჭრის მულდა - *სამთო ქანების* დამჭრის გამო მიწის ზედაპირზე წარმოქმნილი ღრმული. **დ.მ**-ის საზღვარია სამთო სამუშაოების მიწის ზედაპირზე გავლენის ზონის განმსაზღვრელი ხაზი.

დაჭირხნის ტემპი - *მასივის წინასწარი დატენიანებისას* ფენაში დროის ერთეულში წნევით მიწოდებული სითხის რაოდენობა (ლ/წთ). ზოგჯერ **დ.ტ**-ს უწოდებენ დაჭირხნის სიჩქარეს ან სითხის წუთობრივ ხარჯს მასივში მისი დაჭირხნის დროს.

დეგაზაციის ეფექტურობის კოეფიციენტი - დეგაზაციის განხორციელების შემდეგ გვირაბების ფარდობითი მეთანსიუხვის დაწვევის (შემცირების) ფარდობა დეგაზაციამდე გვირაბების მეთანსიუხვესთან; **დ.ე.კ.** ბუნებრივი და სამთო-ტექნიკური ფაქტორების შესაბამისად იცვლება 0,3 – 0,7 საზღვრებში და იშვიათად აღწევს 0,8 – 0,9-ს.

დეგაზაციის ხირშახის მეთოდი - მეთოდი, რომლის დროსაც დეგაზაცია ხორციელდება აირშემცველი ფენების მომიჯნავე (ახლომდებარე) ფენებში სპეციალურად გაყვანილი გვირაბების მეშვეობით.

დეპრესიული აგეგმვა - შახტის (მაღაროს) გამოკვლევა, რომლის ამოცანაა: 1. გვირაბებში საერთო-საშახტო დეპრესიის განაწილების განსაზღვრა; 2. სამთო გვირაბების წინაღობების ფაქტობრივი მნიშვნელობების დადგენა; 3. აუცილებლობის შემთხვევაში ჰაერის წნევის დიდი დანაკარგების მიზეზების დადგენა.

დეპრიმომეტრი - ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება სამთო გვირაბებში უშუალოდ დეპრესიის მნიშვნელობის დასადგენად.

დესორბცია - ფაზათა გაყრის ზედაპირიდან რომელიმე ნივთიერების ადსორბირებული მოლეკულების მოშორება (მოხსნა).

დეტონატორი - ნივთიერება, რომელიც საწყისი იმპულსის დახმარებით უზრუნველყოფს ფეთქითი ნივთიერების ფეთქებად გარდაქმნას (დეტონაციას); სამრეწველო და სხვანაირად *კაფსულ-დეტონატორებს* უწოდებენ.

დინამიკური დატვირთვა - ჭერის ქანების მხრიდან, *გვირაბის* სიახლოვეს *ნახშირის ფენასა ან სამთო ქანებზე* განვითარებული უეცარი დამატებითი დატვირთვა, რომელიც განპირობებულია *გამომუშავებული სივრცის* ზემოთ ჭერის ქანების დაწვევით. **დ. დ.** შესაძლებელია გახდეს დინამიკური მოვლენის - *სამთო დარტყმის* ან *ნახშირისა და აირის უეცარი გამოტყორცნის* მიზეზი.

დინამიკური მილაკი - *მაღაროს რესპირატორებში* გამოყენებული *მშთანთქმელების დინამიკური აქტივობის* განმსაზღვრელი მიწის ან ლითონის მილაკი.

დინამიკური მოვლენა - გვირაბების სიახლოვეს ნახშირის, აირების, ქანების ან სითხეების უეცრად წარმოქმნილი და დიდი სიჩქარით მიმდინარე მოძრაობა, რომელსაც თან სდევს ძლიერი ძალოვანი (დინამიკური) ეფექტი. **დ.მ.** *სამთო წნევისა* და ქანებში მოქცეული აირებისა და სითხეების წნევის გამოვლენის შედეგია.

დრენაჟი - მასივის ან სასარგებლო წიაღისეულის საბადოების სხვადასხვა სადრენაჟო გვირაბით (ჰორიზონტალური და ვერტიკალური) ამოშრობის მეთოდი, რომელიც უზრუნველყოფს მიწისქვეშა წყლების დონეების დაწვევას.

დრენაჟის სქემა (ამოშრობის სქემა) - სადრენაჟო კომპლექსის გვირაბების განლაგება გეგმაში. დ.ს. ორგანულად უკავშირდება სამთო სამუშაოების განვითარების პროექტის სხვადასხვა სტადიას.

9

ეგზოგენური (ტექტონიკური, ეგზოკინეტიკური, კლივაჟური) **ნაპრალები** - ნაპრალები სამთო ქანებში, რომლებიც წარმოიქმნენ ტექტონიკური პროცესების შედეგად. ე.წ. ხშირად გადის უფრო ადრინდელ ენდოგენურ ნაპრალებზე.

ეთანი (C₂H₆) - ფეთქებადი აირი. ყოველთვის გვხვდება ნავთობისა და ოზოკერიტული საბადოების აირებში, აგრეთვე ნახშირის ზოგიერთი ფენის მეთანის აირებში.

ეთილენი (C₂H₄) - ფეთქებადი აირი. ბუნებრივ პირობებში გვხვდება იშვიათად და მცირე რაოდენობით. ნახშირის შახტებში შესაძლებელია წარმოიქმნას ხანძრის შემთხვევაში ქვანახშირის თერმული გახრწნისას.

ელექტროამძრავების დამცავი მოწყობილობები - ელექტროძრავების ავტომატური გამომრთველი ელექტრონული მოწყობილობები, რომელთა ამოქმედება ხდება ელექტროძრავების გადატვირთვებისას, მოკლედ შერთვების დროს და მომჭერებზე ელექტრული ძაბვის ძლიერ შემცირებისას.

ელექტროგაუმტვრიანება - ელექტრულ ველში სამრეწველო აირებიდან და მშრალი ფხვიერი მასალებიდან წვრილი ფრაქციების (ზომით 0,15 მმ და უფრო ნაკლები) გამოყოფისა და დალექვის ხერხი.

ელექტროგამაუმტვრიანებელი - ელექტრულ ველში ცალკეული ფხვიერი მასალიდან წვრილი ფრაქციების გამომყოფი აპარატები.

ელექტროდეტონატორების უსაფრთხო დენი - მუდმივი დენის მაქსიმალური სიდიდე, რომელიც ელექტროდეტონატორში გავლისას, დროის შეუზღუდავად, არ იწვევს მის აალებას.

ელექტროთერმონემომეტრი - მადაროს პირობებში ჰაერის ნაკადის სიჩქარის დისტანციური განუწყვეტელი გაზომვისათვის განკუთვნილი აპარატურის კომპლექტი.

ელექტრომაალბელი - ცალკეული ან ჯგუფში გაერთიანებული *კაფსულ-დეტონატორების ან კვამლიანი დენტის* მუხტების ელექტრული დენტით დისტანცირად აფეთქებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა.

ელექტროსტატიკური მტვერდამჭერი - მტვერდამჭერი დანადგარები ან მტვერდამლექი ხელსაწყოები, რომელთა მოქმედების პრინციპი დამყარებულია *ელექტროფორეზის მოვლენაზე* ანუ ელექტრული ველის ზემოქმედებით მტვრის ნაწილაკების გადაადგილებაზე პოტენციალის გრადიენტის მიმართულებით და ამ ნაწილაკების დალექვაზე ანოდსა ან კათოდზე, რომლებიც დამლექი ელექტროდებია.

ენდოგენური (ენდოკინეტიკური, ნორმალურმკვეთი, კლივასური) **ნაპრალები** - ფიზიკურ-ქიმიური პროცესების (დიაგენეზი, ზეკრისტალიზაცია, მეტამორფიზმი) შედეგად ქანებში წარმოქმნილი ნაპრალები.

ეექტორი - 1. ჰაერის (აირების, ორთქლის, ხსნარების) გადამადგილებელი მოწყობილობა, რომელშიც ხდება ენერჯის გადაცემა დიდი სიჩქარით მოძრავი (მუშა) ერთი გარემოდან მეორისაკენ (შემწოვი). სამთო პრაქტიკაში ე. გამოიყენება, როგორც ა) სავენტრიაციო მოწყობილობა; ბ) წვევის აღმძვრელი; გ) სითხის პულვერიზატორი მტვერდამჭერებში; დ) ასპირატორი მტვრის საკონტროლო ხელსაწყოებში; 2. ჰაერიდან მტვრის სინჯის ასაღები ხელსაწყო.

ექსპრეს-მტვერმზომები - ხელსაწყოები, რომელთა საშუალებით სწრაფად (ადგილზევე) ხორციელდება ჰაერის მტვრიანობის დადგენა. ე.მ-ს მიეკუთვნება ოპტიკური მტვერმზომი, აგრეთვე რადიოიზოტოპური, ელექტრონული და სხვა ხელსაწყოები, რომლებითაც ირიბად იზომება *მტვრის კონცენტრაცია*.

ექსპლუსტიერი - მანქანა, რომელიც უზრუნველყოფს აირის გაწოვას და სადეგაზაციო სისტემაში (*ჭაბურღილებში, აირშემკრებ გვირაბებში, აირსადენში*) გაუხშობის შენარჩუნებას. ე. შეიძლება იყოს დგუშიანი და როტაციული

3

ვაკუუმსტუმბი სადგური - სათავსები, რომლებშიც განთავსებულია შახტების სადეგაზაციო დანადგარები. ვ.-ს. ს. შეიძლება იყოს ს ტ ა ც ი ო ნ ა რ უ ლ ი (მიწისზედა ან მიწისქვეშა) და გ ა დ ა ს ა ა დ გ ი ლ ე ბ ე ლ ი (დროებითი). სტაციონარულ სადგურებს აქვს სათავსები, სადაც მოთავსებულია ძრავები, ვაკუუმტუმბოები და საკონტროლო-გამზომი აპარატურა; გადასაადგილებელი - მონტაჟდება საშახტო ვაგონეტის ბაზაზე.

ვაკუუმ-ტუმბო - როტაციური ექსპანსიური, რომელიც ახორციელებს სადეგაზაციო აირსადენიდან აირის ან აირ-ჰაერის ნარევის ამოტუმბვას.

ვაკუუმ-ფილტრები - მასალების ფილტრაციის საშუალებით გაუწყლოების აპარატები. გაუწყლოება ხდება ფოროვანი ტიხრის (ბამბის ან სპეციალური მფილტრავი ქსოვილის) გავლით სითხის შეწოვის ხარჯზე. **ვ.ფ.** შეიძლება იყოს **პერიოდული** და **უწყვეტი** მოქმედების.

ვერცხლისწყლის ორთქლი - ძლიერ მომწამლავი ორთქლი, რომელიც გამოიყოფა ვერცხლისწყლის მომპოვებელი მადაროების ატმოსფეროში.

ვენტილატორი - მტვერჩამშობი - აპარატი, რომელშიც შერწყმულია ვენტილატორისა და აირგამომრეცხავის ფუნქცია. მათი დანიშნულებაა მტვრისაგან ჰაერის გაწმენდა.

ვენტილატორების ერთობლივი მუშაობა - ერთ სავენტილაციო ქსელზე რამდენიმე ვენტილატორის ერთდროული მუშაობა. გამოიყენება მაშინ, როდესაც ერთი ვენტილატორის მუშაობა ვერ უზრუნველყოფს ქსელში ჰაერის საჭირო რაოდენობის მიწოდებასა და ჰაერის საჭირო სიჩქარით დაწნევას.

ვენტილატორების მიმდევრობითი მუშაობა - ვენტილატორების ერთობლივი მუშაობა, რომლის დროსაც *შახტის (უბნის) განიავებისათვის* აუცილებელი ჰაერის მთლიანი რაოდენობა გადის ჯერ ერთ, ხოლო შემდეგ მეორე ვენტილატორში. **ვ.მ.მ.** გამოიყენება მაშინ, როდესაც საჭიროა დაწნევის გაზრდა.

ვენტილატორების პარალელური მუშაობა - ვენტილატორების ერთობლივი მუშაობა, რომლის დროსაც განიავებისათვის აუცილებელი ჰაერის ერთი ნაწილი გადის ერთ ვენტილატორში, ხოლო მეორე ნაწილი - მეორე ვენტილატორში.

ვენტილატორის არხი - სპეციალურ შენობაში დადგმულ მთავარ ვენტილატორთან საშახტო ჭაურის შემაერთებელი არხი (გვირაბი). არხი შეიძლება იყოს ჩადრმავებული ან მდებარეობდეს მიწის ზედაპირზე; მისი კონსტრუქცია განისაზღვრება: ვენტილატორის ტიპისა და ზომების, *განიავების ხერხის, სარევერსიო მოწყობილობის* კონსტრუქციისა და მინიმალური აეროდინამიკური წინაღობის უზრუნველყოფის აუცილებლობის მიხედვით.

ვენტილატორის თეორიული მახასიათებელი - იხ. ვენტილატორის მახასიათებელი.

ვენტილატორის მახასიათებელი - მრუდი, რომელიც ასახავს დამოკიდებულებას ვენტილატორის მიერ განვითარებულ h დეპრესიას (დაწნევას), N სიმძლავრეს,

ვენტილატორის *η* მარგი ქმედების კოეფიციენტსა და ვენტილატორში Q გამავალ ჰაერის რაოდენობას შორის უცვლელი ბრუნთა რიცხვის შემთხვევაში.

ვენტილატორის მდგრადი მუშაობა - ვენტილატორის მუშაობა ერთ რეჟიმზე ანუ ქსელისა და ვენტილატორის მახასიათებლები მხოლოდ ერთ წერტილში იკვეთება.

ვენტილატორის მუშაობით განვითარებული დეპრესია - **1. დ ე კ რ ე ს ი ა** - ატმოსფერულ წნევასა და შეწოვაზე მომუშავე ვენტილატორის მიერ განვითარებულ წნევათა შორის სხვაობა; **2. კ ო მ პ რ ე ს ი ა** - დაჭირხნაზე მომუშავე ვენტილატორის მიერ განვითარებულ წნევასა და ატმოსფერულ წნევას შორის სხვაობა.

ვენტილატორის მწარმოებლურობა - დროის ერთეულში ვენტილატორში გამავალი ჰაერის რაოდენობა (მ³/წმ, მ³/წთ).

ვიბრაცია - რთული პერიოდული რხევები, რომლებიც არყევენ ადამიანის მთელ სხეულს (საერთო ვიბრაცია) ან ადამიანის სხეულის ცალკეულ ნაწილებს (ადგილობრივი ანუ ლოკალური ვიბრაცია). სამთო მრეწველობაში **ვ**-ს ძირითადად განიცდიან ხელისა და პნევმატურ საბურღ მანქანებსა და მომწგრევე ჩაქუჩებზე მომუშავეები.

ვიბროგრაფი - ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება მექანიზმების მუშაობის დროს წარმოქმნილი რხევების (ვიბრაციის) სიხშირისა და ამპლიტუდის გაზომვისათვის.

ვიბროიზოლაცია - მომუშავე მექანიზმების ვიბრაციასა და ხმაურთან ბრძოლის ღონისძიებები. ეს ღონისძიებები მოიცავს: მანქანა-მექანიზმებში ნაკლებხმაურიანი და უხმაურო მასალების გამოყენებას; მანქანა-დანადგარების ვიბრირებული დეტალების შიგა ღრუებისა და გარე ზედაპირების ვიბრომშთანთქმელი მასალებით დაფარვას; ვიბრომაიზოლირებელი შუასადებების გამოყენებას; მოძრაობის გადასაცემად ელასტიკური ქუროების, აგრეთვე ზამზარებისა და დრეკადი შუასადებების გამოყენებას.

ვიბროშთანთქმა - ვიბრაციის გამომწვევი რხევების შთანთქმა შესაბამისი მასალებისა (სპეციალური პლასტმასები, ტყვია, მასტიკა და სხვ.) და მოწყობილობების გამოყენებით. ვიბრაციასთან მიმართებაში სამთო საქმეში ყველაზე მეტ საშიშროებას ქმნიან ხელის პნევმატური ინსტრუმენტები (მომწგრევე ჩაქუჩები, საბურღი მანქანები), რომლებშიც ვიბროშთანთქმის მიზნით გამოიყენება ვიბროჩამქრობი სახელურები და ურიკები.

ზ

ზედაპირის სახიფათო ძვრის ზონა - დაძვრის მულდის ნაწილი, რომელზეც წარმოიქმნება ნაგებობების, შენობებისა და ბუნებრივი ობიექტების სახიფათო დეფორმაციები. მისი სიდიდე განისაზღვრება *დაძვრის კუთხეების* საშუალო მნიშვნელობებით.

თ

თავისუფალი ჭავლი - აირის ან სითხის ჭავლი, რომელიც ვრცელდება იმავე ფიზიკური თვისებების მქონე სივრცეში, რა თვისებებიც თვითონ ჭავლს აქვს. მოძრაობის ხასიათის მიხედვით **თ.ჭ.** შეიძლება იყოს **ტ უ რ ბ უ ლ ე ნ ტ უ რ ი** და **ლ ა მ ი ნ ა რ უ ლ ი**.

თავისუფალი ჭავლის საწყისი უბანი - ჭავლის უბანი (აირის ან სითხის) შემავალ კვეთსა და იმ კვეთს შორის, რომელშიც ქრება *თავისუფალი ჭავლის მუდმივ სიჩქარეთა ბირთვი* და *სიჩქარეთა პროფილი* იღებს *თავისუფალი ჭავლის* დამახასიათებელ ფორმას.

თავისუფალი ჭავლის ძირითადი უბანი - ჭავლის უბანი (აირის ან სითხის), რომელიც მოსდევს *თავისუფალი ჭავლის საწყის უბანს*.

თავშესაფარი - აფეთქებითი სამუშაოების ჩატარებისას უსაფრთხოების მოთხოვნებით დადგენილი სახიფათო ზონის ფარგლებს გარეთ გამოყოფილი ადგილი, სადაც უნდა განთავსდეს აფეთქების ადგილიდან გამოყვანილი ის ხალხი, რომელიც არ მონაწილეობს აფეთქების პროცესში.

თავშესაფარი კამერა - იზოლირებული მიწისქვეშა კამერა, რომელიც გამოიყენება ადამიანთა თავშესაფრად მიწისქვეშა *ავარიის* შემთხვევაში. **თ.კ.** შეიძლება იყოს **ბ ა რ ი კ ა დ უ ლ ი**, **წ ი ნ ა ს წ ა რ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი** და **ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი**. **თ.კ.** შახტში განლაგებულია *ავარიის ლოკვიდაციის გეგმის* შესაბამისად.

თბოაიროვანი კამერა - შემინულფანჯრებიანი იზოლირებული სათავსი რესპირატორების გამოცდის მიზნით *სუნთქვისათვის უვარგის ატმოსფეროში*, მაღალი ტემპერატურისა და ტენიანობის პირობებში მერესპირატორების სავარჯიშოდ. **თ.კ.** აღჭურვილია საკონტროლო-გამზომი აპარატურით, სასიგნალო მოწყობილობებითა და ლუმელებით კამერის შიგნით კვამლიანი ატმოსფეროს შესაქმნელად.

თბური დაცვა - 1. მიწისქვეშა ავარიის ლიკვიდაციისას, კერძოდ, *მადაროს ხანძრებთან* ბრძოლისას ჰაერის მაღალი ტემპერატურის მავნე და სახიფათო ზემოქმედებისაგან მერესპირატორეთა დამცავი ღონისძიებები. **თ.დ.**-ის საშუალებები შეიძლება იყოს და ამ ხ მ ა რ ე (მაგ.: წყლის მფრქვევანები, თბური გამოსხივებისაგან დამცავი ფარები, ჰაერის ჭავლი) და *აირსითბოდამცავი აპარატები*; 2. ხელსაწყოებისა და მოწყობილობების კომპლექსი, რომლის საშუალებითაც ხდება დასაშვებზე მაღალ ტემპერატურაზე ობიექტის გადახურების თავიდან აცილება.

თბური სკაფანდრი - **იხ.** *აირსითბოდამცავი აპარატი*.

თერმოფსიხორი - მადაროს ხანძრის დროს, მადაროს ატმოსფეროს ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის გამზომი ხელსაწყო. მას აქვს სკალა ფარდობითი ტენიანობის უშუალოდ გასაზომად.

თერმული წყლები - *მიწისქვეშა წყლები*, რომლებსაც კონკრეტულ რეგიონში წყლების ჩვეულებრივ ტემპერატურასთან შედარებით უფრო მაღალი ტემპერატურა აქვს.

თვითანთება - წვადი მასალის (ნახშირი, სულფიდური მადნები და ა.შ.) აალება, რომლის მიზეზია თვით ნივთიერებაში განუწყვეტლივ განვითარებადი დამჟანგავი პროცესები. **თ** -ს ყოველთვის წინ უსწრებს დაბალტემპერატურული ჟანგვისა და თვითგახურების მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პროცესი.

თვითანთებისადმი მიდრეკილების ხარისხი - ნახშირის, სულფიდური მადნებისა და სხვა *სასარგებლო წიაღისეულის თვითანთებისადმი* მიდრეკილების ფარდობითი მახასიათებელი; **თ.მ.ხ.** განისაზღვრება ჟანგვისას მათი *ქიმიური აქტივობით*.

თვითანთების ბუნებრივი ფაქტორები - ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ *სამთო გვირაბებში ხანძარსაშიშროებას*. მათ მიეკუთვნება ნახშირების ქიმიური აქტივობა, ფენის სტრუქტურა (ფორიანობა, ნაპრალოვნება), პეტროგრაფიული შედგენილობა, ტექტონიკური აშლილობა, ჩაწოლის ელემენტები (დახრის კუთხე და ფენის სისქე), შემცველი ქანების ხასიათი (სიმაგრე, მდგრადობა, ნაპრალოვნება).

თვითანთების თეორია - *ენდოგენური ხანძრების* წარმოქმნის განმსაზღვრავი თეორია. ყველაზე პოპულარულია *პირიტული* და *ნახშირჟანგბადოვანი* კომპლექსის თეორიები.

თვითანთების ინკუბაციური პერიოდი - თვითანთების პროცესის ფარული სტადია, რომელიც წინ უძღვის პროცესის გადასვლას ანთების ფორმაში. **თ.ი.პ.**-ის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ჰაერის ჟანგბადით *სასარგებლო წიაღისეულის* (ნახშირის, კოლჩედანური მადნების) დაჟანგვისადმი მიდრეკილებასა და სხვა გარეგან პირობებზე.

თვითანთების კერა - წვადი მასალის (ნახშირი და სხვ.) შედარებით მცირე რაოდენობით თავმოყრა, რომელშიც სითბოს გენერაციასა (მასალის დაჟანგვის გამო) და გარემოში სითბოს გაცემას შორის ყველაზე კეთილსასურველი ფარდობის გამო *თვითგახურების* პროცესი გადადის *ანთების* პროცესში. ჩვეულებრივ, მიწისქვეშა სამთო სამუშაოების მიმდინარეობისას **თ.კ.** ჩნდება ადვილად ჟანგვად (ნახშირი, ნახშირის ფიქლები, სულფიდები) გაფხვიერებულ ქანებში ჰაერის გაპარვის გზებზე; ზედა ჰორიზონტებზე განსაკუთრებულ საფრთხეს ქმნის ჰაერის შემოპარვები მიწის ზედაპირიდან; შტაბელებსა და სანაყაროებზე **თ.კ.** -ები წარმოიქმნება უმეტესად ძირის სიახლოვეს და გვერდითი ზედაპირებიდან 1 მ სიღრმეში.

თვითგახურება - ნახშირის (სულფიდური მადნების) დაჟანგვის შედეგად მისი ტემპერატურის მომატების ბუნებრივი პროცესი. **თ** - ის სიჩქარე განისაზღვრება ნახშირის ქიმიური აქტივობით, ჰაერის მოდინების პირობებითა და გარემოში სითბოს გაცემის შესაძლებლობით.

თვითმაშველები - სუნთქვისათვის უვარგისი ატმოსფეროს მქონე გვირაბებიდან ხალხის გამოსვლისათვის განკუთვნილი ხანმოკლე დროის განმავლობაში მოქმედი პორტატიული (მალაროს) აირწინალები. მოქმედების პრინციპის მიხედვით **თ.** შეიძლება იყოს მ ფ ი ლ ტ რ ა ვ ი და მ ა ი ზ ო ლ ი რ ე ბ ე ლ ი.

თვითშველა - ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებენ სამთო მუშები *მიწისქვეშა ავარიის* დროს, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადასარჩენად. ეს ღონისძიებები ასახულია *ავარიის ლიკვიდაციის გეგმაში* და გულისხმობს მუშებისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარებას ავარიის შემთხვევაში მათი მოქმედების შესახებ, *თვითმაშველებით* მათ მომარაგებას, *კამერა-თავშესაფარების* მოშხადებას, აგრეთვე მიწის ზედაპირზე გამოსასვლელი უმოკლესი და ყველაზე უსაფრთხო გზების ჩვენებას.

o

ინდივიდუალური ჰაერმომარაგება - სამთო საწარმოებში დასაქმებულთა სასუნთქი ორგანოების *ინდივიდუალური დაცვა*, რომელიც ხორციელდება შეკუმშული ჰაერის ქსელიდან.

ინერტული მტვერი - არაწვადი მასალების (ჩვეულებრივ, თიხა-ფიქლების) მინერალური წვრილმარცვლოვანი მტვერი, რომელიც *მეთანისა* და ნახშირის მტვრის წვისა და აფეთქებისას ამცირებს გარემოს ტემპერატურას.

ინერციული მტვერსაცლელები - მტვერისაგან ჰაერის გამწმენდი აპარატები, რომელთა მოქმედება დაფუძნებულია ჰაერის ნაკადის მოძრაობის მიმართულების მკვეთრ ცვლილებებზე. ჰაერის ნაკადის მიმართულების ცვლილება ხორციელდება ჰაერის გადაადგილების გზაზე წინაღობათა (ტიხრების) მოთავსებით. მტვერის ეფექტური დაჭერისათვის აუცილებელია ჰაერი **ი.მ.**-ის შესასვლელში მოძრაობდეს მნიშვნელოვანი სიჩქარით, ხოლო მოსახვევის შემდეგ კარგავდეს სიჩქარეს. ჩვეულებრივ, გამოიყენება, როგორც ჰაერის გაწმენდის პირველი საფეხური, მტვერის მსხვილი და საშუალო სისხოს ნაწილაკების დასაჭერად.

ინვერსიული სქემა - კარიერების ბუნებრივი განიავების სქემა, რომლის მიხედვითაც ჰაერის მოძრაობა წარმოიქმნება კარიერის ბორტების ფერდობისა და მისი მიმდებარე ზედაპირების რადიაციული გაცივების ხარჯზე. ამ შემთხვევაში ჰაერის ნაკადების აეროდინამიკური რეჟიმი ლამინარული ან მასთან მიახლოებულია, ამიტომ *კარიერების განიავების* ასეთი სქემა ყველაზე არახელსაყრელია ბუნებრივი განიავების სქემებს შორის, ვინაიდან ამ დროს ხდება მავნე მინარევების დაგროვება, ხოლო მათი გამოტანა იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკარიერო სივრცე შეივსება ცივი ჰაერით.

ინტერფერომეტრი - გადასატანი აირგანმსაზღვრელი, რომლის მოქმედების პრინციპი დამყარებულია ხელსაწყოში გამავალ ჰაერში მეთანის შემცველობის პროპორციულად ინტერფერენციული სპექტრის გადაადგილებაზე.

იშვიათი აირები - ჰაერში შემავალი *აზოტის* აუცილებელი თანამგზავრი აირები: მ ს უ ბ უ ქ ი - ჰელიუმი (He) და ნეონი (Ne) და მ ძ ი მ ე - არგონი (Ar), კრიპტონი (Kr) და ქსენონი (Xe), - უფერო, უსუნო და უგემო აირები. *ბუნებრივ აირებში* გვხვდება მცირე რაოდენობით და, როგორც წესი, აზოტთან და ერთმანეთთან პროცენტული თანაფარდობით. ეს აირები ფაქტობრივად ტოქსიკურია, ვინაიდან მათი მომატებული პარციალური წნევის შემთხვევაში ცხოველურ ორგანიზმებში აღინიშნება მოწამვლის ნიშნები, მაგრამ სამთო სამუშაოების წარმოების პირობებში ეს გამორიცხულია.

3

კავშირგაბმულობა (სიგნალიზაცია) ამწევი ჭურჭლებისათვის (სარემონტო სიგნალიზაცია, სატელეფონო კავშირი გალთან) - *მალაროს ამწევი დანადგარების* ექსპლოატაციისას ჭაურების დათვალიერებისა და რემონტის დროს, ლოკალური კავშირი (სიგნალიზაცია) ამწევი ჭურჭლებში (გალებში, სკიპებში, ბადიებში) მყოფ პერსონალსა და ამწევი მანქანის მემანქანეს (მესახელურე-მესიგნალეს) შორის.

კავშირგაბმულობა (სიგნალიზაცია) საკონვეიერო ტრანსპორტზე - *ლოკალური კავშირი (სიგნალიზაცია) საკონვეიერო ხაზის სხვადასხვა პუნქტში მყოფ პერსონალს, აგრეთვე მათსა და საკონვეიერო ხაზის ოპერატორს შორის.*

კავშირგაბმულობა (სიგნალიზაცია) საწმენდ სამუშაოებზე (ამოსაღებ კომპლექსებზე) - *ლოკალური კავშირი (სიგნალიზაცია) საწმენდ სანგრევებში (კომპლექსებზე) მომუშავე პერსონალს, აგრეთვე მათსა და დამტვირთავი პუნქტის ან ამოსაღები კომპლექსის ოპერატორს შორის.*

კავშირგაბმულობა (სიგნალიზაცია) ჭაურების გაყვანისას - *ლოკალური კავშირი (სიგნალიზაცია) ჭაურის სხვადასხვა პუნქტში მყოფ პერსონალსა და ზედაპირზე მყოფ პერსონალს შორის.*

კათათერმომეტრი - ატმოსფეროს გამაგრილებელი ზემოქმედების განმსაზღვრელი ხელსაწყო. ატმოსფეროს გამაგრილებელი ზემოქმედება განისაზღვრება მცირე კალორიებში გამოსახული სითბოს რაოდენობით, რომელიც იკარგება კ-ის რეზერვუარის 1 სმ² ზედაპირიდან 1 წამის განმავლობაში.

კაპტაჟი - 1. ჭაბურღილებში, სპეციალურ გვირაბებსა ან აირშემკრებ მოწყობილობებში აირის დაჭერის პროცესი და შეკრებილი აირის მიღების საშუალებით ზედაპირზე ამოტანა ან *დიფუზორ-შემკრების* გავლით სავენტიალაციო გვირაბში გატანა; 2. ნაგებობა (ქვაყრილი, წყალშემკრები კამერა, ჭა, ტრანშეა), რომელიც გამოიყენება ზედაპირზე ამოყვანილი *მიწისქვეშა წყლების* მიტაცების, შეკრებისა და შემოღობვისათვის.

კარიერების ატმოსფეროს დამაბინძურებელი წყაროები - 1. შიგა წყაროები (კარიერში განლაგებული) - *ექსკავატორები*, საბურღი დაზგები, ფეთქებადი სამუშაოები, კარიერის შიგა გზები, ხანძრის დიდი კერები, კარიერის ბორტების გამოფიტვა და სხვ. 2. გარე წყაროები (კარიერის გარეთ მყოფი) - გარე გზები, ნიადაგის ეროზია. შიგა და გარე **კ.ა.დწ.** შეიძლება იყოს წერტილოვანი, ხაზობრივი და თანაბრად განაწილებული.

კარიერების ბუნებრივი განიავება (კარიერების აერაცია) - ქარისა და სითბოს ბუნებრივი სავენტიალაციო ძალების ხარჯზე კარიერულ სივრცეებში მიმდინარე ჰაერცვლა, რომლის დროსაც აღინიშნება კარიერიდან მავნე მინარევების გამოტანა და მასში სუფთა ჰაერის მიწოდება. იმის მიხედვით, ქარისა და სითბოს ბუნებრივი ძალები კარიერებში მოქმედებენ ცალ-ცალკე თუ ერთდროულად, შესაძლებელია **კ.ბ.გ.**-ის ოთხი, ხარისხობრივად და რაოდენობრივად განსხვავებული აეროდინამიკური სქემა - კონვექციური, ინვერსიული, პირდაპირდინებიითი და რეცირკულაციური.

კარიერის ადგილობრივი ვენტილაცია - განიავება, რომელიც უზრუნველყოფს ჰაერ-ცვლას *კარიერის* ცალკეულ, ცუდად განიავებულ და მდგრად ზონაში განლაგებულ იმ ადგილებში, რომლებშიც *კარიერის საერთო ვენტილაცია*, აირებისა და მტვრის ჩამხშობი საშუალებების კომპლექსთან ერთად, ვერ უზრუნველყოფს შრომისათვის ნორმალური ატმოსფერული პირობების შექმნას.

კარიერის ატმოსფეროს ადგილობრივი გაჭუჭყიანება - მავნე მინარევების მდგრადი დაგროვება ისეთი რაოდენობით, როდესაც ჰაერში ამ მავნე მინარევების კონცენტრაცია აღემატება სამუშაო ადგილზე მათ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

კარიერის ატმოსფეროს საერთო გაჭუჭყიანება - მავნე მინარევების მდგრადი დაგროვება ისეთი რაოდენობით, როდესაც ჰაერში ამ მავნე მინარევების კონცენტრაცია აღემატება კარიერის უმეტეს ნაწილში ან კარიერის მთელ სივრცეში მათ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

კარიერის განიავების პირდაპირდინებითი სქემა - *კარიერის ბუნებრივი განიავების* სქემა, რომლის დროსაც განიავება ხორციელდება პირველი რიგის ტურბულენტური ჭავლის საშუალებით.

კარიერის განიავების რეცირკულაციური სქემა - *კარიერის ბუნებრივი განიავების სქემა*, რომლის დროსაც მისი განიავება ხორციელდება ქარის ნაკადის მიერ შექმნილი პირველი და მეორე რიგის ტურბულენტური ჭავლების საშუალებით.

კარიერის საერთო ვენტილაცია - განიავება, რომელიც უზრუნველყოფს ჰაერცვლას კარიერის მთელ მოცულობაში.

კარიერის სეზონური მუშაობა - *კარიერის* მუშაობის რეჟიმის განმსაზღვრელი ფაქტორი კლიმატური პირობების გათვალისწინებით.

კარიერის ქარზურგა გვერდი (ბორტი) - კარიერის გვერდი, რომელიც თავისი ფერდოთი მიმართულია ქარის ქროლვის მხარეს და დაცულია მისი პირდაპირი ზემოქმედებისაგან. კარიერის პირდაპირი დინებით განიავების დროს ამ ბორტზე ჰაერის მოძრაობის მიმართულება ქარის მიმართულების თანხვედრილია, ხოლო უკუმიმართულებით მოძრავი ნაკადები წარმოიქმნება მხოლოდ საფეხურების ქვედა კიდეებთან და მათი მოქმედების რაიონი შემოსაზღვრულია მხოლოდ ამ უკანასკნელთა სიმაღლით. კარიერის რეცირკულაციური სქემით განიავებისას ჰაერის მოძრაობის მიმართულება კარიერის ქარზურგა ბორტზე ქარის მოძრაობის საწინააღმდეგოა. ამ გვერდის (ბორტის) ატმოსფეროს გაჭუჭყიანებაში მონაწილეობს, როგორც

ამ ბორტზე განლაგებული წყაროებიდან გამოყოფილი, ასევე კარიერის ქარპირა ბორტზე მოქმედი უკუნაკადების მოქმედების ზონასა და კარიერის ღრმა ნაწილში განლაგებული წყაროებიდან გამოყოფილი მავნე მინარევები.

კარიერის ქარზურგა მხარე - კარიერის ზედაპირის ნაწილი, რომელიც ეკვრის კარიერის ქარპირა ფერდოს. დაპროექტებისას კ.ქ.მ-ის განსაზღვრა ხდება კარიერის განლაგების რაიონში არსებული „ქართა ვარდის“ გამოყენებით, ქარის ქროლვის გაბატონებული მიმართულების საშუალებით.

კარიერის ქარპირა გვერდი (ბორტი) - კარიერის გვერდი, რომელიც თავისი ფერდოთი მიმართულია ქარის ქროლვის საწინააღმდეგო მხარეს. კარიერის პირდაპირი დინებით განიავების დროს კ.ქ.გ. განიცდის ქარით გამოწვეული ჰაერის ნაკადის პირდაპირ ზემოქმედებას, ხოლო კარიერის რეცირკულაციური სქემით გამოწვეული განიავებისას, ქარით გამოწვეული ჰაერის ნაკადის პირდაპირ ზემოქმედებას - მხოლოდ კარიერის გვერდის ზედა ნაწილი.

კარიერის ქარპირა მხარე - კარიერის ზედაპირის ნაწილი, რომელიც ეკვრის კარიერის ქარზურგა ფერდოს. ის განისაზღვრება კარიერის განლაგების რაიონის „ქართა ვარდის“ გამოყენებით, ქარის ქროლვის გაბატონებული მიმართულების საშუალებით.

კვამლიანი შახტი (კვამლიანი შტრეკი) - მიწისქვეშა გვირაბების ერთობლიობა ან მათი იმიტაცია, რომელიც განკუთვნილია გაზრდილი ტემპერატურისა და ტენიანობის დროს სუნთქვისათვის უვარგის ატმოსფეროში მერესპირატორეთა ვარჯიშისათვის. ჩვეულებრივ, კ.შ. მოიცავს ჰორიზონტალურ, დახრილ და ვერტიკალურ გვირაბებს, თბოაირვან კამერას, კამერას წინაღობებითა და საძრომებით.

კონდენსაციური ფილტრი - მტვერდამჭერი საშუალება, რომელშიც მტვრის ნაწილაკების დაჭერა ხდება გაზრდილი ტენიანობის მქონე ჰაერის ზემოქმედებითა და ნაწილაკების ზედაპირზე ტენის კონდენსაციით.

კონვექციური სქემა - კარიერის ბუნებრივი განიავების სქემა, რომლის დროსაც მასში ჰაერცვლა ხორციელდება თბური ნაკადის მიწოდების ხარჯზე წარმოქმნილი ჰაერის აღმავალი ნაკადებით. სითბოს წყაროა ინსოლაცია, აგრეთვე ხანძარი და ინტენსიური ჟანგვითი პროცესები, თუ ისინი მოიცავენ კარიერის დიდ ფართობს. განიავების ამ სქემის დროს ნაკადის აეროდინამიკური რეჟიმი არის შუალედური ლამინარულ და ტურბულენტურ რეჟიმებს შორის. კ.ს-ის დროს ძალიან მცირეა განიავების ეფექტურობა.

კრიტიკული ტემპერატურა (დაქუცმაცებული ნახშირის ან სულფიდური მადნის თვითთახურებად გროვაში) - ტემპერატურა, რომლის მიღწევის შემდეგ თვითთახურება შეიძლება სწრაფად გადავიდეს *ანთებაში*. ჩვეულებრივ, მიღებულია, რომ ნახშირის შახტებში *გამომუშავებული სივრცეებისა* და საწყობებში შტაბელებისათვის 60–70°C ტემპერატურის მიღწევისას აუცილებელია თვითანთების სალიკვიდაციო ზომების მიღება (დალამვა, შტაბელების დაშლა და ა.შ.).

ლ

ლამინარული მოძრაობა - აირის (სითხის) შრეული მოძრაობა, რომელიც, ჩვეულებრივ, წარმოიქმნება უმნიშვნელო სიჩქარით მოძრაობისას. *სამთო გვირაბებში ლ.მ.* აღინიშნება ჰაერის გაპარვისას მკვრივ ნაყარ ტიხრებში, თხელ შრედ დატკეპნილ წვრილმარცვლოვან ქანებსა ან *სავსებ მასალაში*.

ლიტომზომი - მტვრის სინჯების ასაღებად გამოყენებულ *ასპირაციულ ხელსაწყოებში* ჰაერის ხარჯის საზომი ხელსაწყო.

მ

მადნის რადიაქტიურობა - ზოგიერთი მადნის რადიაქტიური გამოსხივების უნარი; ამ მადნების შედგენილობაში ძირითადი ან თანმდევი კომპონენტია ურანის, თორიუმის, რადიუმის ან სხვა რადიაქტიური ელემენტების შემცველი *მინერალები*.

მასივში წყლის დასაჭირბნი მოწყობილობები - დანადგარებისა და ხელსაწყოების კომპლექტი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება *ნახშირის მასივის წინასწარი დატენიანება*; კომპლექტის შედგენილობაშია: *ჭაბურღილებისა და შპურების* ბურღვისათვის გამოყენებული *საბურღი დაზგები და ელექტრობურღები*, მაღალი წნევის სატუმბი დანადგარები, შპურებისა და ჭაბურღილების ჰერმეტიზატორები (ჰიდროჩამკეტები), მაღალი წნევის წყალ-მიმწოდებელი შლანგები და საკონტროლო-გამზომი აპარატურა.

მასივის წინასწარი დატენიანების პარამეტრები - მასივის დატენიანებისა და წნევის ქვეშ მასივში წყლის დაჭირბვნის რეჟიმების ტექნოლოგიურ სქემათა ძირითადი მონაცემები. ეს პარამეტრებია: შპურების (ჭაბურღილების) სიღრმე; მათი ჰერმეტიზაციის სიღრმე; დაჭირბნილი წყლის წნევა; დაჭირბვნის ტემპი (დროის ერთეულში დაჭირბნილი წყლის რაოდენობა); შპურიდან (ჭაბურღილიდან) წყლის გავრცელების საზღვრები; შპურებს (ჭაბურღილებს) შორის მანძილი; შპურში (ჭაბურღილში) მიწოდებული წყლის რაოდენობა; დაჭირბვნის დრო. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში (თითოეული ფენისა და უბნისათვის) დატენიანების პარამეტრები დგინდება ცდებით, საინსტრუქციო მასალების შესაბამისად.

მაღალი ძაბვის ხელთათმანები - რეზინისა და სხვა დენგაუმტარი მასალისაგან დამზადებული ხელთათმანები, რომლებიც გამოიყენება მაღალი ძაბვის ქსელში და მასში ჩართულ ელექტრომომხმარებლებთან სამუშაოდ.

მაღაროს აეროდინამიკა - მიწისქვეშა და ღია სამთო გვირაბებში ჰაერის ნაკადის მოძრაობის კანონები; მავნე მინარევების განწმენვა და გამოტანა; ჰაერგამტარი გვირაბების აეროდინამიკური წინაღობა; ჰაერის განაწილება გვირაბების ქსელში და ჩვეულებრივ და ავარიულ სიტუაციებში ამ განაწილების მართვა (ხანძარი, აირისა და მტვრის აფეთქება, აირის, ნახშირისა და ქანების უეცარი გამოტყორცნა და სხვ.).

მაღაროს აეროლოგია - სამთო მეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის ბუნებრივ პირობებში *სასარგებლო წიაღისეულის საბადოების* საზღვრებში აირებისა და სითბოს განაწილებას, ტექნოლოგიური *მაღაროს აირებისა* და მტვრის წარმოშობის პროცესებს, მიწისქვეშა და *ღია სამთო გვირაბებში* ჰაერის, აირების, სითბოსა და მტვრის მოძრაობის კანონებსა და გადაადგილების მართვას.

მაღაროს აირები - სასარგებლო წიაღისეულის ან მისი შემცველი ქანების თანმდევი ბუნებრივი და ტექნოლოგიური აირები. ამ უკანასკნელებს მიეკუთვნება ჰაერსა და სასარგებლო წიაღისეულს, მის შემცველ ქანებს, სამაგრს შორის მიმდინარე ქიმიური და ბიოქიმიური რეაქციების შედეგად წარმოქმნილი აირები, აგრეთვე აირები, რომლებიც ფეთქებადი და წვადი აირების წვის, ადამიანების სუნთქვის, მაღაროს ხანძრის, აირებისა და მტვრის აფეთქების პროდუქტებია.

მაღაროს ატმოსფეროს (ჰაერის) მტვრიანობა - მაღაროს ატმოსფეროს მახასიათებელი მასში შეწონილი მყარი ნაწილაკების მიხედვით. ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი „ჰაერის მტვრიანობა“.

მაღაროს ატმოსფეროში მტვრის დათვლითი შემცველობა - *მაღაროს ჰაერის* მოცულობის ერთეულში მტვრის ნაწილაკების რაოდენობა. მას სხვანაირად *მაღაროს მტვრის დათვლით კონცენტრაციას* უწოდებენ.

მაღაროს ატმოსფეროში მტვრის წონითი შემცველობა - მაღაროს ჰაერში მტვრის ნაწილაკების მასა ან წონა (მგ). მაღაროს ჰაერის მოცულობის ერთეულში მტვრის წონითი შედგენილობა არის *მაღაროს მტვრის წონითი კონცენტრაცია*.

მაღაროს ვენტილაცია - 1. შახტების (მაღაროების, კარიერების, გვირაბების) განიავება; 2. დისციპლინა, რომელიც განიხილავს სამთო გვირაბებში მოძრავი ჰაერის ფიზიკურ თვისებებსა და ჰაერის ფიზიკურ-მექანიკურ მდგომარეობას; მაღაროს აირების

თვისებებს, გამოყოფისა და წარმოშობის პროცესებს; მადაროს აეროლოგიის თეორიულ საფუძვლებს, თბოგაცვლისა და მტვერწარმოქმნის პროცესებს; მადაროს ატმოსფეროს კონდიციონების ხერხებსა და საშუალებებს, მის საინჟინრო გათვლებს.

მადაროს მტვერი - მინერალური წვრილდისპერსიული ნაწილაკების ერთობლიობა, რომლებიც *სამთო სამუშაოების* წარმოების პროცესში გამოიყოფიან *მადაროს ატმოსფეროში* და აქვს უნარი, მეტ-ნაკლები დროის განმავლობაში, იმყოფებოდეს ჰაერში შეტივტივებულ მდგომარეობაში.

მადაროს მტვრის დალექვის კანონები - მტვრის ნაწილაკების დალექვის სიჩქარის დამოკიდებულება ნაწილაკების ზომებსა და მათ სიმკვრივეზე, აგრეთვე გარემოს სიბლანტესა და სიმკვრივეზე.

მადაროს მტვრის დისპერსიული შედგენილობა (მტვრის ნაწილაკების განაწილება სი-სხოს მიხედვით) - *მადაროს მტვრის* შემადგენლობაში შემავალი ნაწილაკების სხვადასხვა ფრაქციის რაოდენობრივი თანაფარდობა. თანაფარდობა შესაძლებელია შედგეს ამ ფრაქციებში შემავალი ნაწილაკების ზედაპირის წონისა და რაოდენობის მიხედვით.

მადაროს მტვრის ნივთიერი შედგენილობა - ქიმიური ნაერთების, მინერალებისა და პეტროგრაფიული სახესხვაობების ერთობლიობა, რომლებიც შედიან მადაროს მტვრის შედგენილობაში. მტვრის შედგენილობაში ამა თუ იმ მინერალის მინარევების არსებობა, განსაკუთრებით თავისუფალი SiO₂-ისა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე მტვრის მავნე ზემოქმედების ხარისხზე.

მადაროს მტვრის წონითი კონცენტრაცია - მტვრის ნაწილაკების წონითი შედგენილობა ჰაერის ერთეულ მოცულობაში. ის განისაზღვრება ჰაერის მოცულობის ერთეულში მტვრის ნაწილაკების წონით, მისი განზომილებაა მგ/მ³.

მადაროს რესპირატორები - მადაროს მრავალსაათიანი მოქმედების აირწინაღები, რომლებიც საშუალებას იძლევიან, ადამიანმა შეასრულოს მძიმე ფიზიკური სამუშაოებისმიერი შედგენილობის გარემომცველ ატმოსფეროში. მოქმედების პრინციპის მიხედვით **მ.რ.** შეიძლება იყოს **მ ა ი ზ ო ლ ი რ ე ბ ე ლ ი**, **მ ფ ი ლ ტ რ ა ვ ი** და **შ ლ ა ნ გ ი ა ნ ი**; დანიშნულების მიხედვით - **მ უ შ ა რ ე ს პ ი რ ა ტ ო რ ე ბ ი** და **თ ვ ი თ მ ა შ ვ ე ლ ე ბ ი**.

მადაროს ხანძარი - უშუალოდ სამთო გვირაბებში (მიწისქვეშა ან ღია) გაჩენილი ხანძარი, ან ხანძარი, რომელიც სამთო გვირაბებს ემუქრება (მაგ.: შახტზედა შენო-

ბებში, *სასარგებლო წიაღისეულის* საწყობებში გაჩენილი ხანძარი, რომელიც შესაძლოა გავრცელდეს მიწისქვეშა გვირაბებში ან რომელსაც შეუძლიათ წვის აირადი პროდუქტებით მოწამლოს ამ გვირაბების ატმოსფერო). წარმოქმნის მიზეზების მიხედვით **მ.ხ.** შეიძლება იყოს: ენ დ ო გ ე ნ უ რ ი, რომელიც წარმოიქმნება სასარგებლო წიაღისეულის (ნახშირი, სულფიდური მადნები) *თვითანთებით*; ე გ ზ ო გ ე ნ უ რ ი, რომელიც წარმოიქმნება გარეგანი მიზეზებით (ელექტრომოწყობილობების გაუმართაობა, ხახუნი და ა.შ.).

მადაროს ხანძრის ქრობა - ხანძრის სალიკვიდაციო ტექნიკური ოპერაციების კომპლექსი, რომელშიც შედის უშუალოდ ხანძრის კერის ჩაქრობის ოპერაციები, აგრეთვე დამხმარე ოპერაციები. *ხანძრის კერის* ჩაქრობა ხდება მასში წვის ფიზიკური პირობების (კერის ტემპერატურის შემცირება და მასში ჰაერის ნაკადის შეულწევობის უზრუნველყოფა) შეცვლის ხარჯზე.

მადაროს ხანძრის იზოლაცია - სუფთა ჰაერის მიწოდების შეწყვეტის მიზნით ხანძრის კერის გამოყოფა მასთან მიმდებარე გვირაბებისაგან. ხანძრის უბნის ჰერმეტიზაციისათვის ხორციელდება: მაიზოლირებელი ტიხრების დადგმა; ხანძრის უბნის მიმდებარე გვირაბების ქანებსა და მთელანებში არსებული ნაპრალების დაღამვა; ზედაპირზე არსებული ჩამოქცევებისა და ნაპრალების ამოვსება.

მადაროს ჰაერი - 1. აირებისა და ორთქლის ნარევი, რომელიც ავსებს სამთო გვირაბს; 2. ატმოსფერული ჰაერი, რომელიც მიეწოდება მიწის ზედაპირიდან მიწისქვეშა გვირაბებს და გვირაბებში მოძრაობისას განიცდის შედგენილობის სხვადასხვა სახის ცვლილებას. ეს ცვლილებები თავს იჩენს ერთი მხრივ, მის შედგენილობაში ჟანგბადის რაოდენობის შემცირებით, ხოლო მეორე მხრივ - შედგენილობაში *ნახშირ-მჟავა აირის* რაოდენობის მომატებითა და ჰაერში მავნე აირებისა და ორთქლის, აგრეთვე მტვრისა და ჭვარტლის მიერთებით. გარდა ამისა, იცვლება ჰაერის ტენიანობა, ტემპერატურა, წნევა და კუთრი წონა. იმ შემთხვევაში, როდესაც მადაროს ჰაერის შედგენილობა არ განსხვავდება ან თითქმის არ განსხვავდება ჰაერის ნორმალური შედგენილობისაგან, მას ემახიან ს უ ფ თ ა, სხვა შემთხვევებში კი - ჭ უ ჭ ყ ი ა ნ (გადამუშავებულ) ჰაერს.

მადაროს ჰაერის გაცივება - არსებობს შახტში (მადაროში) ჰაერის ტემპერატურის შემცირების შემდეგი ღონისძიებები: 1. სამთო-ტექნოლოგიური - ღონისძიებები, რომლებიც თავიდან აგვაცილებს წმენდით სანგრევებამდე *მადაროს ჰაერის* მოძრაობისას მის გახურებასა და დატენიანებას; 2. სპეციალურ სამაცივრო დანადგარებში ჰაერის ხელოვნური გაცივება და გამომშრობა. მადაროებში გამოყენებული სამაცივრო დანადგარი შედგება გამაცივებელი მანქანისაგან, ჰაერგამაცივებელი მოწყობილობისა და მოწყობილობისაგან, რომელიც ართმევს სითბოს გამაცივებელი მანქანის

მაცივარაგენტს. განლაგების ადგილის მიხედვით სამაცივრო დანადგარი შეიძლება მოთავსებული იყოს მიწის ზედაპირზე ან მიწისქვეშა გვირაბში.

მდაროს ჰაერის გაუმტვრიანება - ჰაერის გაწმენდა მტვრისაგან სხვადასხვა სახის მტვერდამჭერის დახმარებით, მტვრის ნაკადის *მორწყვის* ან მტვრის წარმოქმნის წყაროებთან მტვრის ლოკალური შთანთქმის საშუალებებით.

მდაროს ჰაერის კონდიციონება - ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც საშუალებას იძლევა, შახტში (გვირაბში) შეეინარჩუნოთ ჰაერის შედგენილობა და მდგომარეობა, გარეშე (ამინდი, წლის დრო) და შიგა (ხალხის ყოფნა, აგრეთვე სითბოს, ტენის, სხვადასხვა აირის, მტვრისა და სხვ. გამომყოფი წყაროების) ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად.

მდაროს ჰაერში მეთანის დასაშვები შემცველობა - უსაფრთხოების წესების თანახმად, გვირაბში მისაწოდებელ ჰაერში მეთანის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,5%-ს, გვირაბიდან გამომავალ ჰაერის ჭავლში - 1,0%-ს, შახტიდან ამომავალ ჰაერის ჭავლში - 0,75%-ს, აფეთქებითი სამუშაოების წარმოებისას - 1%-მდე იყოს, ცალკეულ სამუშაო ადგილებზე (მოკლე დროის განმავლობაში) დასაშვებია 2%-მდე. 2% მეთანის შემცველობისას ყოველგვარი სამუშაოები გვირაბში წყდება და ხალხი გამოყვანილ უნდა იქნეს სუფთა ჰაერის ჭავლის მქონე გვირაბში.

მაცივებელი აგენტი - სამაცივრო დანადგარების მუშა ნივთიერება, რომელიც უზრუნველყოფს გასაცივებელი სხეულიდან სითბოს მოცილებასა და მის გადაცემას გამაცივებელ გარემოში.

მეთანი (CH₄) - უფერო, უსუნო, უგემო აირი. მისი კუთრი წონაა 0,555. ფიზიოლოგიურად ინერტული, ძლიერ წვადი და ფეთქებადია, ჰაერთან მისი ნარევის აფეთქების ზღვრებია 4,9 – 15,4%, აალების ტემპერატურაა 650 – 850° C. წყალში ძნელად იხსნება, 20°C ტემპერატურაზე ერთ მოცულობა წყალში იხსნება მ-ის 0,033 მოცულობა.

მეთანისა და მტვრის აფეთქებათა ქაფის გამოყენებით ლოკალიზაციის ხერხი - გვირაბში, რომელშიც ტარდება აფეთქებითი სამუშაოები ჰაერ-მექანიკური ქაფით სანგრევისპირა სივრცის ამოვსების გზით დამცავი გარემოს შექმნა. ე.წ. *ქაფის საცობის* სიგრძე არანაკლებ 10 მ-ია. ამ ხერხის დადებითი მხარეებია: გვირაბის სანგრევისპირა სივრციდან ქაფის საშუალებით გამოიდევენება *მდაროს ჰაერი* და მასთან ერთად *მეთანი*; ნახშირის მტვრის ნაწილაკების ურთიერთშეკავშირება; *აფეთქების* აირადი პროდუქტების ტემპერატურის შემცირება; აფეთქების საწყის სტადიაში აალებული მეთანჰაერის ნარევის ჩაქრობა.

მეთანის ავტომატური ინდიკატორი - სტაციონარული ხელსაწყო, რომელიც ახდენს გვირაბის ატმოსფეროში მეთანის შემცველობის ადგილობრივ განუწყვეტელ და დისტანციურ სიგნალიზაციას. ინდიკატორის ძირითადი ელემენტია გადამწოდი, რომელიც დგება სავენტილაციო შტრეკსა ან სხვა გვირაბში, რომელშიც სასურველია ჰაერში მეთანის შემცველობის განუწყვეტელი კონტროლი.

მეთანის დრენაჟი - დიდი მეთანშემცველობის მქონე ნახშირის ფენიდან სპეციალური სადრენაჟო ჭაბურღილით ან გვირაბით მეთანის გამოღების პროცესი. ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია ახლომდებარე ფენების წინასწარი დეგაზაციის დროს.

მეთანის ზონა - ქანების სიზრქეში მეტამორფული აირების, რომელთა შორის გაბატონებული კომპონენტია **მეთანი**, გავრცელების არეალი. ნახშირის საბადოებში სამთო გვირაბების მიახლოება **მ.ზ** -სთან იწვევს შახტის გადასვლას უგაზო კატეგორიიდან მეთანის მიხედვით I კატეგორიაში. გარდა ამისა, **მ.ზ**-ში გვირაბების ჩაღრმავებასთან ერთად ხდება ნახშირის ფენების ფარდობითი მეთანსიუხვის პროპორციული ზრდა. ამავე დროს სიღრმის ზრდასთან ერთად მეთანსიუხვის ზრდის ტემპი მცირდება.

მეთანმოპოვებადობა - მეთანის რაოდენობა, რომელიც შეიძლება ამოღებულ იქნეს *ნახშირის ფენიდან* მისი დეგაზაციისა და *აირის კაპტაჟის* დროს. მისი განზომილებაა მ³/ტ.

მეთანომეტრი - აირების ნარევიში *მეთანის* კონცენტრაციის განმსაზღვრელი ხელსაწყო. სადეგაზაციო დანადგარებში გამოიყენება აკუსტიკური, ოპტიკური, ინფრაწითელი, ალიანი და სხვ. მეთანომეტრები.

მენჯი - მოწყობილობა, რომელიც გამორიცხავს გამყვანი ბადის ბრუნვას მისი ზევით გადაადგილებისას. **მ.** ჩამოკიდებულია ამწევ ბაგირსა და ჩასაბმელ კაუჭს შორის.

მიკროკლიმატი - შახტებში, მაღაროებში, *კარიერებსა* და სხვა სახის საწარმოებში მეტეოროლოგიური პირობები. შახტებში (მაღაროებში) **მ.** ხასიათდება სხვადასხვა პუნქტში ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელოვანი ცვლილებით, სიღრმის ზრდასთან ერთად ტემპერატურის მატებით, ჰაერის მოძრაობის სიჩქარის უთანაბრობითა და მნიშვნელოვანი ტენიანობით.

მიკრომანომეტრი - წნევათა სხვაობის გამზომი ხელსაწყო, რომელიც მუშაობს ზიარ-ჭურჭლის პრინციპით. **მ.**-ით აღებული ანათვლების სიზუსტის გაზრდა მიიღწევა დახრილი გამზომი მილაკის საშუალებით. რაც უფრო მცირეა მოსალოდნელი

წნევათა სხვაობა, ვერტიკალურ მდგომარეობასთან შედარებით, მით უფრო დიდი უნდა იყოს გამზომი მილაკის დახრა.

მიწების რეკულტივაცია - სამთო-ტექნიკური, საინჟინრო-სამშენებლო, სამელიორაციო, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო სამუშაოების კომპლექსი, რომელიც მიმართულია სახალხო მეურნეობაში ადრე გამოყენებული და ღია სამთო სამუშაოებით დარღვეული მიწების ზედაპირის სრულად აღდგენისაკენ.

მიწისზედა (ზედაპირული) ბაზა - სამთომშველი ნაწილების ბაზა, რომელიც ეწეობა მიწის ზედაპირზე ხანგრძლივი სამთომშველი სამუშაოებისა და მათი მნიშვნელოვანი მოცულობის შემთხვევაში. მის ფუნქციებში შედის: ავარიის ლიკვიდაციაზე დასაქმებულთა სამთომშველი ტექნიკით, ჟანგბადის ბალონებით, სარეგენერაციო პატრონებით, ცეცხლმაქრებით, სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, სამედიცინო პუნქტისა და აირსაანალიზო ლაბორატორიის ორგანიზაცია, აგრეთვე რესპირატორებისა და სხვა სამთომშველი მოწყობილობების შემოწმება და რემონტი.

მიწისქვეშა ავარია - გვირაბების, მექანიზმებისა და მალაროს ატმოსფეროს ნორმალური მდგომარეობის უეცარი დარღვევა, რომლის შედეგად მიწისქვეშა სამუშაოებზე დასაქმებული ადამიანების სიცოცხლეს საშიშროება ექმნება.

მიწისქვეშა რადიოკავშირი - მიწისქვეშა კავშირგაბმულობა (სიგნალიზაცია) რადიოსაშუალებით სამთო ქანების ჩამოქცევების გავლით და სამთო გვირაბების საშუალებით მეტალური გამტარების გამოყენების გარეშე.

მიწისქვეშა (სამადაროე, საშახტო) კავშირი (სიგნალიზაცია) - მიწის ქვეშ და მიწის ზედაპირზე მყოფ პირებს შორის ინფორმაციის გადაცემა სიტყვიერი შეტყობინებების (სიგნალების) გაცვლის საშუალებით.

მიწისქვეშა სამთომშველი პუნქტი - განუწყვეტელი (მუდმივი) მორიგეობის განსახორციელებლად უშუალოდ შახტში განლაგებული პუნქტი. მ.ს.პ. ეწეობა მსხილ და ხანძრის მხრივ განსაკუთრებით საშიშ შახტებში (მადაროებში).

მიწისქვეშა წყლები - წყლები, რომლებიც მიწის ზედაპირისა და ზედაპირული წყალსაცავებისა და წყალსადინარების ფსკერის ქვემოთაა. მ.წ - ის გავრცელების ქვედა საზღვარი დაახლოებით 13 – 14 კმ-ია.

მიწისქვეშა ხანძარსაწინააღმდეგო მატარებელი - ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებისა და მასალების მოძრავი საწყობი, რომელიც ძლიერ გავრცობილი ამოსაღები უბნების შემთხვევაში გამოიყენება თვითანთებადი სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ შახტებში.

მიწისქვეშა ხანძარსაწინააღმდეგო საწყობი - ხანძარსაწინააღმდეგო მასალებისა და მოწყობილობების საწყობი, რომელიც განთავსებულია შახტის (მაღაროს) მოქმედი ჰორიზონტის ჩიხურ გვირაბში.

მიწისქვეშა ჰიდროდინამიკა (მიწისქვეშა ჰიდრაულიკა) - ფოროვან და ნაპრალოვან ქანებში წყლის, ნავთობისა და აირის მოძრაობის შესახებ სამეცნიერო დარგობრივი მიმართულება.

მკვდარი ჰაერი - მაღაროს ჰაერის ნაწილი, რომელიც შედგება აზოტისა და ნახშირმჟავა აირისაგან.

„მოკლე შერთვა“ - მთელი სავენტილაციო ჭავლის ან მისი ნაწილის დამოკლება სამთო გვირაბების ძირითადი ქსელის გვერდის ავლით, მაგალითად, ჰაერმიწოდებელი და სავენტილაციო ჭაურების შემადგენელი გვირაბში ჩადგმული სამმაგი სავენტილაციო კარის გაღებისას.

მორწყვა - რომელიმე ობიექტზე გაფრქვეული წყლის ჭავლის მიზანმიმართული მიწოდება. გაუმტვრიანებისას მ-ით ხდება დალექილ ან მონგრეულ სამთო მასაში არსებული მტვრის ნაწილაკების დატენიანება და ურთიერთშეკავშირება, აგრეთვე წყლის წვეთებით, ჰაერში შეწონილ მდგომარეობაში არსებული მტვრის ნაწილაკების დაჭერა და დალექვა. **მ.** ხორციელდება სპეციალური *სარწყავების (ფრქვევანების)* საშუალებით.

მორწყვის სქემა - 1. სამთო მანქანებსა და სხვა მტვერწარმომქმნელ წყაროებზე სარწყავების რაციონალური განლაგების ადგილები; 2. სარწყავი მოწყობილობის სქემატური გამოსახულება.

მტვერგამზომი ხელსაწყოები - მოწყობილობები და აპარატები, რომელთა საშუალებითაც ხდება ჰაერში მტვრის კონცენტრაციის განსაზღვრა.

მტვერგამტყორცნი მორტირა - ნახშირის მტვრის აფეთქების ლოკალიზაციისათვის განკუთვნილი 50 კგ წონის ინერტული მტვერის მუხტის გამზნევი აპარატი.

მტვერგაწოვა - სავენტილაციო ნაკადის (გაწოვის) ზემოქმედებით დალექილი მტვრის ნაწილაკების ჰაერში შეტივტივება და მოცილება, აგრეთვე ჰაერში შეტივტივებულ

მდგომარეობაში (დაუღეკავი მტვერი) არსებული მტვრის ნაწილაკების მოცილება ჰაერიდან. **მ.** წარმოებს ჰაერის გაწოვისას მილსადენების შემწოვ ხვრელებთან სიჩქარეთა ველის შექმნის ხარჯზე.

მტვერდამლექი - ასპირაციული დანადგარის ელემენტი, კერძოდ, შეწონილ (შეტვიტივებულ) მდგომარეობაში არსებული მტვრის მყარი ნაწილაკების ჰაერიდან გამომყოფი აპარატი. ზოგჯერ მ-ს უწოდებენ აპარატის ნაწილს, რომელშიც (ან რომელზეც) იღეკება დაჭერილი მტვერი, მაგალითად, დამლექი ელექტროდები *ელექტროფილტრებში*.

მტვერდამჭერები - მტვრისაგან ჰაერის გამწმენდი აპარატები. მათი მოქმედების პრინციპი შეიძლება იყოს: მექანიკური, სველი გაწმენდის, ჰაერის გაფილტვრის, ელექტრული ველის ზემოქმედებით, აკუსტიკური ზემოქმედებით, კონდენსაციური ფილტრების საშუალებით.

მტვერდაჭერა - 1. ჰაერიდან მყარი ნაწილაკების გამოყოფა; 2. გაწოვის გზით მტვერ-გამომყოფი ადგილებიდან მტვრის მოცილება და მტვერდამჭერებში შემდგომი დაღეკვა.

მტვერდაჭერის ეფექტურობა(მტვერჩახშობა) - ჰაერის მტვრიანობის ფარდობითი შემცირება (პროცენტებში).

მტვერთან, როგორც პროფესიულ მავნეობასთან ბრძოლა - ადამიანის მიერ ჩასუნთქული ჰაერის მტვრიანობის შესამცირებლად განხორციელებული ღონისძიებების კომპლექსი: 1. სამთო გვირაბებში მტვერწარმომქმნელი პროცესების შემცირების მიზნით ამ პროცესების შესრულებისას სილიკოზის მხრივ საშიში მტვრის წვრილ-დისპერსიული ფრაქციის გამოყოფის შემცირების ტექნოლოგიური ღონისძიებანი; 2. ჰიდროგამაუმტვრიანებელი ღონისძიებანი, რომლებიც იწვევენ მტვერის ნაწილაკების ურთიერთშეკავშირებას და მათ ჩახშობას უშუალოდ მტვერის გამომყოფი წყაროების სიახლოვეს; 3. ჰიდროგამაუმტვრიანებელი ღონისძიებანი და მტვერთან ბრძოლის მშრალი ხერხები, რომლებიც ახდენენ მადაროს ატმოსფეროში მოხვედრილი მტვრის ნაწილაკების დაჭერასა და ჩახშობას; 4. სავენტილაციო ჭავლის საშუალებით მტვრის გათხვეადება და გამოტანა; 5. დაღექილი მტვრის ნაწილაკების აწმენდა და ურთიერთშეკავშირება, რითაც ხდება დაღექილი ნაწილაკების ჰაერში განმეორებით მოხვედრის თავიდან აცილება; 6. სასუნთქი გზების მტვრისაგან დაცვის ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენება და ხალხის რაციონალური განლაგება მტვრის გამომყოფი წყაროებისა და ჰაერის მტვრიანი ნაკადების მიმართ.

მტვერთან ბრძოლის სველი ხერხები - წყლის გამოყენებასა და ამ გზით მტვერის ნაწილაკების დასველებისა და მათი ურთიერთშეკავშირების (ურთიერთბმის) თვისებებზე დამყარებული მტვრიანობის ჩახშობის ხერხები.

მტვერთან ქაფით ბრძოლის ხერხი - მტვერის ნაწილაკების იზოლაციის, დაჭერისა და ურთიერთშეკავშირების ხერხი, გარდა ამისა, დიდი რაოდენობის ქაფით მტვრიანი ჰაერის იზოლაციის ხერხი.

მტვერის აფეთქებასთან ბრძოლა - ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მოიცავს ბრძოლას ფეთქებადი მტვერის წარმოქმნასა და დაგროვებასთან, დაგროვილი მტვერის აალებასა და მტვერის აფეთქებათა გავრცელების თავიდან აცილებასთან.

მტვერის გამოცდა ფეთქებადობაზე - მტვერის ფეთქებადობის ხარისხის დადგენა, კერძოდ: 1. მტვერის ფეთქებადი კონცენტრაციის ქვედა ზღვარი; 2. *ინერტული მტვერის* დასამატებელი რაოდენობა, რათა მტვერი გახდეს პრაქტიკულად არაფეთქებადი; 3. მისი ფეთქებადობა მტვერის თვისებებზე დამოკიდებულებით.

მტვერის დალექვის ინტენსივობა - გვირაბში დალექილი მტვერის დაგროვების სიჩქარე, დაყვანილი ამ გვირაბში მყოფ ჰაერის მოცულობასთან (გ/მ³ დღე-ღამეში). **მ.დ.ი.** დამოკიდებულია მტვერწარმოქმნის პროცესის ინტენსივობაზე (ჰაერში *მტვერის კონცენტრაციაზე*), გვირაბში *მალაროს ჰაერის* მოძრაობის სიჩქარეზე, ატმოსფეროსა და *სასარგებლო წიაღისეულის* ტენიანობაზე. **მ.დ.ი.** განსაზღვრავს ფეთქებასაშიში რაოდენობით მტვერის დაგროვების დროსა და, შესაბამისად *გვირაბის მოფიქალების პერიოდულობას*.

მტვერის ფეთქებადობა - ზოგიერთი მასალის წვრილი ნაწილაკების თვისება, აფეთქდნენ განსაზღვრულ პირობებში. სამთო მრეწველობაში ფეთქებადობის უნარი ძირითადად აქვს ნახშირისა და სულფიდურ მადნებს.

მტვერის წარმოქმნის ინტენსივობა - *სამთო ქანების* მონგრევის პროცესში დროის ერთეულში წარმოქმნილი მტვერის რაოდენობა (გ/წთ). დამოკიდებულია სამუშაოების ინტენსივობაზე, მონგრევის მექანიზმსა და მოსანგრევი მასალის თვისებებზე.

მტვერკონცენტრატორი - მტვერისაგან ჰაერის გამწმენდი აპარატი. მასში სუფთა ჰაერის გამოყოფა ხდება სპეციალურ ინერციულ მტვერგამომყოფში, ხოლო დარჩენილი კონცენტრირებული *მტვრიანი ნაკადი* მიეწოდება ციკლონს, საიდანაც დაუჭერელი მტვერი კვლავ მიეწოდება აპარატის შესასვლელში და ა.შ. მტვრიანი ჰაერის გაწოვა და კონცენტრირებული ნაკადის მიწოდება აპარატის შესასვლელში ხორციელდება ან ცენტრიდანული ვენტილატორებით, ან *ჟექტორებით*.

მტვერმიმღები - მტვერშემწოვი დანადგარის ან ასპირაციული ხელსაწყოს შემავალი მოწყობილობა. ყველა დანადგარ-მოწყობილობას აქვს სხვადასხვა სახის **მ.**

მტვერსავენტილაციო სამსახური (შახტში ან მადაროში) - სამსახური, რომელსაც ევალება: 1. განიავების მდგომარეობის კონტროლი; 2. გვირაბისა და *მადაროს ჰაერის მტვრიანობის* მდგომარეობის კონტროლი; 3. მტვერსაწინალო რეჟიმის მოთხოვნების განხორციელების კონტროლი; 4. *პნევმოკონიოზის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური* ღონისძიებების შემუშავება და გამოყენება.

მტვერსაწინალო რესპირატორი - მტვრის ნაწილაკებისაგან სასუნთქი ჰაერის გამწმენდი ფილტრებით აღჭურვილი სპეციალური ნახევარნიღაბი. **მ.რ.** შეიძლება იყოს სარკველიანი - მრავალჯერადი გამოყენებისა და უსარკველო - ერთჯერადი გამოყენებისა.

მტვერსაწინალო სავენტილაციო რეჟიმი - განიავების პირობები, რომლებიც სხვა მტვერსაწინალო საინჟინრო ღონისძიებებთან ერთად უზრუნველყოფენ *სამთო გვირაბებში* ატმოსფეროს მტვრიანობას დასაშვები სანიტარიული ნორმების ფარგლებში.

მტვერშეკრება - გვირაბებში დალექილი მტვრის შეგროვების პროცესი.

მტვერშემკრები - სპეციალური ბუნკერი, კამერა ან გვირაბის ნაწილი, რომელიც მოწყობილია იმისათვის, რომ მასში, დროებით ან მუდმივად, დასაწყობდეს დამტვრიანებული ჰაერის ნაკადიდან გამოყოფილი მტვერი.

მტვერჩახშობა - სხვადასხვა ხერხისა და ტექნიკური საშუალების გამოყენებით გვირაბებში დალექილ მდგომარეობაში არსებული, ასევე ჰაერში შეწონილი და სხვადასხვა პროცესისას წარმოქმნილი მტვრის წყაროდან გამოყოფის პროცესშივე დაჭერა.

მტვერწარმოქმნის წყაროები - 1. პირველადი წყაროები - მანქანები, მექანიზმები და ოპერაციები, რომელთა მუშაობის დროსაც მტვრის გამოყოფა ხდება *სამთო ქანების მექანიკური მონგრევის* გამო კერძოდ, სასარგებლო წიაღისეულის მონგრევის, საბურღი და აფეთქებითი სამუშაოების, აგრეთვე *სამსხვრეველების* მუშაობის დროს. ნახშირის შახტებში მტვრის 70 – 85% წარმოიქმნება მომპოვებელი მანქანების მუშაობის შედეგად. 2. მეორეული წყაროები - წყაროები, რომლებიც *მადაროს ატმოსფეროში* შეატივტივებენ ადრე გამოყოფილ ან დალექილ მტვრის ნაწილაკებს. მათ ეკუთვნის: მონგრეული *სამთო მასის* დატვირთვა, ტრანსპორტირება, სკრეპრევა (სკრეპრით გადაადგილება) და გამოშვება, მექანიკური და პნევმატური ამოვსება,

ექსკავატორებისა და ბულდოზერების მუშაობა, ავტოტრანსპორტის მოძრაობა შიგა-საკარიერო გზებზე, აგრეთვე ჰაერის ნაკადის მიერ გვირაბების ზედაპირიდან და მონგრეული სამთო მასიდან მტვრის ნაწილაკების ჰაერში შეტივტივებით.

მტვრიანობის მაჩვენებლის ვარიაცია - რაიმე ხელსაწყოთი განსაზღვრული მტვრის კონცენტრაციის ცვალებადობა. **მ.მ.გ.** განპირობებულია ჰაერში მტვრის შემცველობის ცვალებადობითა და გაზომვის ცდომილებებით.

მტვრით დატვირთვა - მტვრიან ატმოსფეროში მყოფი ადამიანის სუნთქვის ორგანოებზე მტვრის ზემოქმედების ინტენსივობა.

მტვრის აეროგელი (მაღაროს) - *მაღაროს ჰაერიდან* დალექილი მტვრის ნაწილაკების ერთობლიობა.

მტვრის აეროზოლი - *დისპერსიული სისტემა*, რომელიც შექმნილია აირად გარემოში შეტივტივებული მტვრის (მყარი) ნაწილაკებით.

მტვრისაგან ინდივიდუალური დაცვა - სასუნთქი დამტვრიანებული ჰაერის წინასწარი გაფილტვრის გზით ადამიანის სუნთქვის ორგანოების დაცვა მათში მტვრის ნაწილაკების მოხვედრისაგან. **მ.ი.დ.** ხორციელდება სხვადასხვა სახის *მტვერსაწინაღო რესპირატორების* საშუალებით.

მტვრის აწმენდა - *სამთო გვირაბების* ზედაპირიდან მტვრის მოცილება. ის გამოიყენება იმ მიზნით, რომ შემცირდეს ჰაერის მტვრიანობა დალექილი მტვრის ნაწილაკების შესაძლო ამტვერების გამო და დალექილი ნახშირის მტვრის აფეთქების საფრთხე.

მტვრის დასველება - მყარი ნაწილაკის ზედაპირის სითხის (წყლის) ზედაპირთან ან წვეთთან მოლეკულური ურთიერთქმედების შედეგად მტვრის ნაწილაკების შეკავშირება.

მტვრის დატენიანება - დალექილი მტვრის ტენიანობის ხელოვნურად გაზრდა *მორწყვით* ან მტვრის დატენიანებულ ზედაპირზე დალექვით. **მ.ტ.** ხორციელდება ჰაერში მტვრის ნაწილაკების შეტივტივების თავიდან აცილებისა და მტვრის ფეთქებადობის შემცირების მიზნით.

მტვრის ინდივიდუალური შესწავლის მეთოდი - მტვრის ფიზიკური მახასიათებლების (ნაწილაკების ზომის, ფორმის, ნივთიერი შედგენილობის) განსაზღვრის მეთოდი მიკროსკოპის გამოყენებით.

მტვრის კონტროლი - სხვადასხვა *სამთო გვირაბში*, *მტვერწარმოქმნის წყაროებთან*, მუშაობის პროცესისას *მალაროს ატმოსფეროში* მტვრის შემცველობის სისტემატური განსაზღვრა; მტვრის ნივთიერი და დისპერსიული შედგენილობის პერიოდული განსაზღვრა.

მტვრის კონცენტრაცია - მტვრის ნაწილაკების შემცველობა ჰაერის მოცულობის ერთეულში. არჩევენ: წონით ან გრავიმეტრიულ **მ.კ-ს**, რომელიც განისაზღვრება მტვრის ნაწილაკების წონით ჰაერის ერთეულ მოცულობაში, გამოისახება მგ/მ³ და დათვლით ან კონიმეტრიულ **მ.კ-ს**, ის განისაზღვრება მტვრის ნაწილაკების რაოდენობით ჰაერის ერთეულ მოცულობაში, გამოისახება ცალი/სმ³. ხანდახან **მ.კ.** მოცემულია ზედაპირულ გამოსახულებაში ანუ ფარდობით ერთეულებში.

მტვრის მილაკი - იხ. ალონფი.

მტვრის მოსინჯვა - მტვრის სინჯების მიღება და მისი მახასიათებლების (კონცენტრაცია ჰაერში, მტვრის დისპერსიული და ნივთიერი შედგენილობა და სხვ.) განსაზღვრა.

მტვრის მშრალად დაჭერა - მტვრის გამოყოფის ადგილებიდან გაწოვის საშუალებით მტვრის ნაწილაკების მოცილება და მათი შემდგომი დალექვა *მშრალ მტვერდამჭერებში* წყლისა და სხვა სითხეების გამოყენების გარეშე.

მტვრის ნაკადი - ჰაერში შეტივტივებულ მდგომარეობაში არსებული მტვრის ნაწილაკების ნაკადი.

მტვრის ნაწილაკების აგრეგაცია - მტვრის ნაწილაკების გამსხვილება მათი ურთიერთშეჯახებისა და შეწებების შედეგად.

მტვრის ნაწილაკების კოაგულაცია - ნაწილაკების შეწებება მათი ერთმანეთთან შეხების დროს. ნაწილაკების დაახლოება შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ **ბროუნის** მოძრაობით ან ბროუნის მოძრაობას ემატება ჰიდროდინამიკური, ელექტრული, გრავიტაციული და სხვა ძალების ზემოქმედებით ნაწილაკების ერთმანეთისაკენ მოძრაობა.

მტვრის ნაწილაკის დიამეტრი - ცალკეული მტვრის ნაწილაკის განივი ზომა, რომელიც, ჩვეულებრივ, განისაზღვრება მიკროსკოპისა და მიკროსაპროექციო აპარატების გამოყენებით.

მტვრის პრეპარატი - საანალიზოდ გამზადებული მტვრის სინჯი.

მტვრის სანიტარიული ნორმა - მაღაროს ატმოსფეროში მტვრის ზღვრულად დასაშვები შემცველობა.

მტვრის სინჯების ანალიზი აეროდინამიკური წინაღობის მეთოდით - ფილტრზე დალექილი მტვრის რაოდენობის განსაზღვრის ხერხი, რომელიც დაფუძნებულია ფილტრზე დალექილი მტვრის რაოდენობის მიხედვით ფილტრში გამავალი ჰაერისადმი მისი წინაღობის ცვლილებაზე. ეს ხერხი გამოიყენება ზოგიერთ მტვერგამზომ ხელსაწყოში.

მტვრის სინჯი - მტვრის გარკვეული რაოდენობა, რომელიც დალექილია ფილტრზე ან/და რომელიმე საგანზე წინასწარ განსაზღვრულ სინჯის ასაღებ ადგილზე. მიიღება განსაზღვრული მოცულობის მტვრიანი ჰაერიდან; ის განკუთვნილია შემდგომი ანალიზისათვის.

მტვრის ფაქტორი - მაღაროს მტვერის ძირითადი მახასიათებლების კომპლექსი, რომელიც მოიცავს მტვერის კონცენტრაციას, ნივთიერ და დისპერსიულ შემადგენლობას.

მტვრის ჩამორეცხვა - წყლის ჭავლის ან წვეთების ნაკადის საშუალებით გვირაბის კედლებიდან დალექილი მტვრის მოწყვეტა და მოცილება.

მტვრის წონითი სინჯი - მტვრის სინჯი, რომელიც აღებულია მტვრის კონცენტრაციის წონითი მეთოდით დასადგენად. ამ დროს ფილტრზე დალექილი (დაჭერილი) მტვრის წონა უნდა იყოს არანაკლები 2 – 4 მგ-ისა; იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია ნაწილაკების სისხოს სედიმენტაციური (სალექი) ანალიზისა და მტვრის ნივთიერი შედგენილობის ქიმიური ანალიზის ჩატარება, საჭიროა ფილტრზე უფრო მეტი წონის მტვრის ნაწილაკების დალექვა; ზოგიერთ შემთხვევაში **მ.წ.ს.** შესაძლებელია დამუშავდეს მიკროსკოპით მისი დისპერსიული და ნივთიერი ანალიზის ჩასატარებლად.

მტვრის ხვედრითი გამოსავალი - ჰაერში გამოყოფილი მტვრის რაოდენობა, დავანილი მონგრეული ან დატვირთული *სამთო მასის* წონის ერთეულზე (გ/ტ).

მტვრის კუთრი ზედაპირი - მტვრის ნაწილაკების ჯამური ზედაპირის ფართობის ფარდობა ნაწილაკების წონასთან. **მ.ხ.ზ.** მტვრის დისპერსიულობისა და მისი ჰიგენური თვისებების ხარისხის მაჩვენებელია.

მტყუნებული მუხტი (მტყუნება) - მოსამზადებელი სანგრევის შპურში მოთავსებული აუფეთქებელი მუხტი.

მტყუნებელი მუხტების ლიკვიდაცია - ფეთქებად ნივთიერებათა აუფეთქებელი მუხტების განადგურება. ლიკვიდაციის ხერხები დამოკიდებულია აფეთქებითი სამუშაოების წარმართვის მეთოდზე და მოცემულია აფეთქებითი სამუშაოების ჩატარების უსაფრთხოების წესებში.

მუდმივი სიგნალები (ნიშნები) - მაჩვენებლების, წარწერების, ნახატების, ან ტაბლოების სახით შექმნილი და მიწისქვეშა გვირაბებსა და მიწის ზედაპირზე განთავსებული სასიგნალო მოწყობილობები, რომლებიც ატყობინებენ მომუშავეებს ადგილობრივი პირობების გავლენას სამუშაოთა ტექნოლოგიასა ან უსაფრთხოებაზე.

მუშა სიგნალი - იხ. საჭაურე სიგნალიზაცია.

მფილტრავი მოქმედების მტვერგამზომი ხელსაწყოები - მტვერგამზომი ხელსაწყო, რომელშიც სინჯის აღება ხორციელდება ფიქსირებული მოცულობის მტვრიანი ჰაერის სხვადასხვა სახის ფილტრში გატარებით, ამ სინჯების შემდგომი ანალიზის საშუალებით.

მფილტრავ-სავენტილაციო დანადგარი - მოწყობილობა, რომლითაც აღჭურვილია კამერა-თავშესაფარი მასში მავნე მინარევებისაგან გასუფთავებული ჰაერის მისაწოდებლად; შედგება ხელისამძრავიანი ვენტილატორისა და მშთანთქმელი ფილტრისაგან, რომელიც ასუფთავებს ჰაერს ნახშირბადის ოქსიდის, ნახშირმჟავა აირის, კვამლისა და სხვა მავნე მინარევებისაგან.

მშრალი მტვერდამჭერები - მტვერდამჭერები, რომლებშიც ჰაერიდან მტვრის ნაწილაკების დალექვა ხორციელდება წყლისა და სხვა სითხეების გამოყენების გარეშე.

მძიმე ნახშირწყალბადები - ნ ა ჯ ე რ ი - ეთანი, პროპანი, ბუტანი, პენტანი, ჰექსანი; უ ჯ ე რ ი - აცეტილენი, ეთილენი, პროპილენი და ბუტილენი.

მხუთავი ატმოსფერო - მიწისქვეშა ავარიის დროს სამთო გვირაბებში წარმოქმნილი სუნთქვისათვის უვარგისი აირებისა და კვამლის ნარევი. ჩვეულებრივ, მ.ა -ს შედგენილობა დამოკიდებულია მიწისქვეშა ავარიის ადგილსა და ხასიათზე, აგრეთვე სავენტილაციო ჭავლის სიჩქარესა და მის მიერ გადატანილ ჰაერის რაოდენობაზე.

6

ნავთობაირგამოვლინებები - სამთო გვირაბებში თხევადი და ორთქლის, აგრეთვე აირადი სახის მძიმე ნახშირწყალბადების გამოყოფა, თუ წვად აირებში ამ უკანასკნელთა შემცველობა მთლიანი მოცულობის 10%-ს აღემატება.

ნაკადის ცოცხალი კვეთი - ნაკადის ან მისი ნაწილის განივი კვეთი, რომელიც მართობულია მისი მოძრაობის მიმართულებისა; იზომება ფართობის ერთეულებში.

ნალაპარაკებისა და სიგნალების რეგისტრაცია - სატელეფონო საუბრებისა და სიგნალების ავტომატური ჩანაწერი, რომელიც შემდგომში გამოიყენება გადაცემისა და შესრულების სისწორის შესამოწმებლად. სამთო საწარმოებში გამოიყენება *საჭაურე სიგნალიზაციაში, ავარიულ ხმამაღლამოლაპარაკე გამაფრთხილებელ* და სადისპეტჩერო კონტროლისა და მართვის სისტემებში.

ნახერხის ფილტრი - მტვრისაგან ჰაერის გასაწმენდი აპარატი, რომელშიც მტვრის მსხვილი ნაწილაკების დაჭერა ხდება *ნახერხის შრეში* მტვრიანი ჰაერის გატარებით.

ნახშირბადის ოქსიდი (CO) (მზუთავი აირი) - ნახშირბადის ჟანგვის საწყისი პროდუქტი, რომელიც ბუნებრივ აირებში პრაქტიკულად არ შედის. სამთო გვირაბებში **ნ.ო.**-ის წარმოქმნის წყაროებია: *მალაროს ხანძრები*, ფეთქებადი ნივთიერებებისა და საწვავის წვა, ნახშირის მტვრისა და *მეთანის*, აგრეთვე ნახშიწყალბადების აფეთქება, ნახშირის ჟანგვა.

ნახშირისა და აირის უეცარი გამოტყორცნა - გვირაბის სანგრევთან ახლოს ნახშირის ფენის ნაწილის მყისიერი თვითნებური დაშლა, რასაც თან სდევს ნახშირის გამოყრა და აირგამოყოფის გაძლიერება. ამ მოვლენის ძირითადი მიზეზია აირით (მეთანით, ნახშირმჟავა აირით ან მათი ნარევით) გაჟღენთილი ნახშირის ფენის დაძაბული მდგომარეობის უეცარი ცვლილება. ეს უკანასკნელი შეიძლება გამოიწვიოს გვირაბის გაყვანის გამო ნახშირის ფენის უეცარმა გაშიშვლებამ ან გვირაბის არაერთგვაროვანი სიმაგრისა და მდგრადობის ფენებში გაყვანამ, კერძოდ, გეოლოგიური აშლილობის სიახლოვეს.

ნახშირისა და აირის უეცარი გამოტყორცნის წინასწარი ნიშნები - *ნახშირისა და აირის უეცარი გამოტყორცნის* გარეგანი წინმსწრები პროცესები: *ნახშირის მასივში* ყრუ დარტყმები, ტკაცუნა; ნახშირის გამოშლა და გამოწნეხა; სანგრევიდან ნახშირისა და ფუჭი ქანის ნატეხების ატყეხა და გამოყრა; აირგამოყოფის მომატება ან მოკლე დროით შემცირება, სამაგრზე დაწოლის გაზრდა; ნახშირის ფერისა და ბზინვარების შეცვლა.

ნახშირის აქტივაცია - ნახშირის სორბციული აქტივაციის გაზრდა ანუ აირებისა და ორთქლის შთანთქმისა და დაჭერის უნარის გაზრდა. ხელოვნურად **ნ.ა.** ხორციელდება ნახშირის გახურებისა და იმავდროულად მასში წყლის ორთქლის, ნახშირის დიოქსიდისა და სხვ. აირების გატარებით.

ნახშირის მასივის წყლით წინასწარი გაყენთა - ნახშირის ტენიანობის მომატება მის გამოღებამდე ტექნიკური საშუალებებით, გაბურღული შპურებით ან ჭაბურღილებით მასივში წყლის წნევით დაჭირხვნით. ეს არის მტვრის წარმოქმნის თავიდან აცილების ეფექტური საშუალება ყველა ხერხით ნახშირის მონგრევის დროს.

ნახშირის მტვრის ნეიტრალიზაცია - დალექილი ნახშირის მტვრისთვის ისეთი თვისებების მიცემა, რომლითაც მტვერი კარგავს აალებისა და აფეთქების უნარს. ეს მიიღწევა *ინერტული მტვრის* დამატებით, დამასველებელი ხსნარებით დატენიანებით, მარილის ხსნარებით, ჰიგროსკოპული მარილითა და პასტებით შეკავშირებით.

ნახშირის ჟანგვადი აქტივაცია - ნახშირის ნელი ჟანგვის პროცესი, როდესაც წარმოქმნილი *ჟანგვის სითბო* კი არ აკუმულირდება გროვაში, არამედ იფანტება გარემოში. შესაძლოა, ნელმა დაჟანგვამ ნახშირი მიიყვანოს ისეთ მდგომარეობამდე, რომ მან დაკარგოს თვითანთების უნარი.

ნახშირის ფენიდან აირგამოყოფის გამოღვის პერიოდი - დროის მონაკვეთი, რომლის გასვლის შემდეგ გვირაბში ან *ჭაბურღილში ნახშირის ფენის* გამომვლელი ზედაპირიდან პრაქტიკულად წყდება აირის გამოყოფა. დროის ეს მონაკვეთი დამოკიდებულია სხვადასხვა ბუნებრივ და სამთო-ტექნიკურ ფაქტორებზე მაგრამ, ჩვეულებრივ არ აღემატება 6 – 7 თვეს, სქელ ფენებში 10 – 12 თვემდე, ზოგჯერ კი 24 თვემდეა.

ნახშირის ფენებისა და ქანების დეგაზაცია - მაღალი აირშემცველობის ნახშირის საბადოების დამუშავებისას *ნახშირის ფენებიდან ან სამთო ქანებიდან* აირის მოცილების პროცესი.

ნახშირის შახტების მეთანსიუხვის გრადიენტი - სამთო სამუშაოების მეთანშემცველობის ზონაში გადასვლის დროს ნახშირის შახტების საშუალო ფარდობითი მეთანსიუხვის ნამატი; მისი განზომილებაა მ³/ტ, სამთო სამუშაოების 1 მ ან 100 მ-ით ჩაღრმავებისას. **ნ.შ.მ.გ.** მუდმივია მეთანშემცველობის ზონის ზედა საზღვრიდან 500 – 900 მ სიღრმეზე, უფრო ქვემოთ, სამთო სამუშაოების წარმართვის სიღრმის ზრდასთან ერთად გრადიენტი თანდათან მცირდება.

ნახშირის შახტების მეთანსიუხვის პროგნოზი - დაპროექტების სტადიაში ან ჩაღრმავების პროცესში მყოფი ნახშირის შახტების სავარაუდო მეთანსიუხვის განსაზღვრა.

ნახშირის შახტების მეთანსიუხვის ხარისხი - *ნახშირის შახტების მეთანსიუხვის გრადიენტის* შებრუნებული სიდიდე, რომელიც ახასიათებს *სამთო სამუშაოების*

ჩადრმავებას *მეთანშემცველ ზონაში*, რომლის დროსაც გვირაბების საშუალო ფარდობითი მეთანსიუხვე იზრდება 1 მ³/ტ სიდიდით.

ნახშირმჟავა აირი (CO₂) - ბუნებრივ აირებში საკმაოდ გავრცელებული მდგრადი ქიმიური შენაერთი. არის უფერო, მომჟავო გემოსა და სუნის მქონე აირი, ნახშირბადის დაჟანგვის საბოლოო პროდუქტი. **ნ.ა.** ყოველთვის არსებობს *მალაროს ატმოსფეროში*, ვინაიდან დიდი რაოდენობით წარმოიქმნება *სამთო გვირაბებში* მიმდინარე ბიოქიმიური და ქიმიური ჟანგვის რეაქციების შედეგად.

ნისლწარმომქმნელი - იხ. სარწყავი.

პ

პნევმოკონიოზი - ფილტვების პროფესიული დაავადება, რომელიც გამოწვეულია მტვრიანი ჰაერის ხანგრძლივად (წლების განმავლობაში) ჩასუნთქვით.

პნევმოკონიოზის პროფილაქტიკა - *პნევმოკონიოზით* დაავადების თავიდან ასაცილებელი საინჟინრო-ტექნიკური, სანიტარიულ-ჰიგიენური და სამედიცინო ღონისძიებების კომპლექსი.

პორტატიული ექვტორული მტვერშემკრები - იხ. მტვერგამზომი ხელსაწყოები.

პროპანი (C₃H₈) - ნავთობისა და ოზოკერიტული წიაღისეულის უცვლელი თანამგზავრი აირი, რომელიც ნახშირის ფენების აირთა შედგენილობაში უმნიშვნელო რაოდენობითაა.

პროპილენი (C₃H₆) - *ბუნებრივი აირის* შედგენილობაში იშვიათად და უმნიშვნელო რაოდენობით შემცველი აირი. ნახშირის შახტებში შესაძლებელია წარმოიქმნას ხანძრის შედეგად ქვანახშირის თერმული დაშლის დროს.

ჟ

ჟანგვის ინჰიბიტორები - ნივთიერებები, რომლებიც ანელებენ ნახშირებისა და სულფიდების დაჟანგვის პროცესს. მათი მოქმედების მექანიზმი შეიძლება იყოს სხვადასხვა: ზოგიერთი ამცირებს მჟანგავი მასალის *ქიმიურ აქტივობას* ან ახდენს ჟანგვითი რეაქციის განვითარების შეწყვეტას; სხვები ხელს უშლიან მასალაში ნაპრალების მომატებას, მაგალითად, ნავთობის ზეთები ნახშირზე ზემოქმედებისას.

ჟანგბადი (O₂) - უფერო, უგემო და უსუნო აირი; არ იწვის, მაგრამ წვას ხელს უწყობს; ნორმალურ პირობებში სუფთა ატმოსფერულ ჰაერში მისი შემცველობაა 20,95%. ის ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი აირია. *უსაფრთხოების წესების* მიხედვით ადამიანის ნორმალურად სუნთქვისათვის აუცილებელია ჟ-ის შემცველობა ჰაერში იყოს არანაკლებ 20%.

რ

რბი - 1. ორი მაიზოლირებული ტიხრით, სამრომითა და ლითონის კარით აღჭურვილი ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია *სამთომაშველი ნაწილის* მერეს-პირატორეების გადასასვლელად ნორმალური ატმოსფეროს მქონე გვირაბიდან ტიხრებით იზოლირებულ სივრცეში. გამოიყენება იზოლირებული *ხანძრის კერისა* და მასთან ახლომდებარე *სამთო გვირაბების* დასაზვერად. 2. ს ა ვ ე ნ ტ ი ლ ა ც ი ო რ . - ორი, ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილით მოშორებული *სავენტილაციო კარის* მქონე ნაგებობა; მისი დანიშნულებაა ვენტილაციის ნორმალური რეჟიმის დარღვევის გარეშე ხალხისა და ტვირთის გატარება.

რადიაციული სისქეშოში - *სამთო გვირაბების* იატაკზე დალექილი ნახშირის მტვრის რაოდენობის გამზომი ხელსაწყო.

რადონი (Rn) - უფერო აირი, არა აქვს სუნი და გემო; კარგად იხსნება ნავთობში, სუსტად - წყალში; გამოიყოფა რადიაქტიური მადნებიდან.

რეინოლდსის კრიტერიუმი (რეინოლდსის რიცხვი Re) - უგანზომილებო სიდიდე, რომელიც ახასიათებს ბლანტი უკუმშველი სითხის ან აირის მოძრაობას.

რეომეტრი - ხელსაწყო, რომელიც გამოიყენება გამავალი აირის ან აირების ნარევის ხარჯის გასაზომად.

რესპირაბელური მტვერი - მტვრის ნაწილაკები, რომლებიც ჩასუნთქვისას ხვდებიან ადამიანის ფილტვებში. მინერალური მტვრისათვის დასაშვებია 5 მკ და უფრო ნაკლები, ქვანახშირის მტვერისათვის - 7 მკ და უფრო ნაკლები.

რესპირატორული (სუნთქვის) კოეფიციენტი - ადამიანის მიერ ამოსუნთქული ნახ-შირორჟანგის მოცულობის ფარდობა მის მიერ ჩასუნთქული ჟანგბადის მოცულო-ბასთან. ჩვეულებრივ ადამიანის რ.კ. 0,8 – 0,9 - ია. თუ ადამიანი ასრულებს მძიმე ფიზიკურ სამუშაოს, შესაძლებელია ეს კოეფიციენტი რამდენადმე აღემატებოდეს 1 - ს. მთლიანად შახტის რ.კ. არის შახტში გამოყოფილი ნახშირორჟანგის მოცულო-ბის ფარდობა შახტში შთანთქმული ჟანგბადის მოცულობასთან.

ს

საგუბარო - მიწისქვეშა წყალგაუმტარი ფარდა (კაშხალი, შპუნტური გადამღობი), რომელიც ეწყობა *მიწისქვეშა წყლებისაგან* სამთო გვირაბების დასაცავად.

სადეგაზაციო დანადგარის ფეთქებასაწინააღმდეგობა - აირის შესაძლო აფეთქების წყაროების წინ მოთავსებული სპეციალური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება სადეგაზაციო დანადგარზე აფეთქების დამანგრეველი მოქმედების გავრცელების თავიდან აცილება.

სადეგაზაციო ჭაბურღილის ეფექტურობა - დროის ერთეულში *ჭაბურღილიდან* გამოწოვილი მეთანის რაოდენობა (ლ/წმ, მ³/წთ).

სადრენაჟო ჭაბურღილი - *ჭაბურღილი*, რომელიც გაბურღულია აირის ან წყლის მოსაცილებლად.

სადრენაჟო ჭაბურღილის ზემოქმედების რადიუსი - 1. დეგაზაციის დროს - *ჭაბურღილის* ცენტრიდან იმ ადგილებამდე მაქსიმალური მანძილი, სადაც შეინიშნება *ქანების* (ნახშირის ფენის) *აირსიუხვის* შემცირება ან გამოიხატება ნახშირისა და აირის უეცარი გამოტყორცნისაგან დამცავი მოქმედება; 2. *საბადოების ამოშრობისას* - მეტრებში გამოსახული მაქსიმალური მანძილი ჭაბურღილის ღერძსა (ჭის და სხვა სამთო გვირაბის) და დეპრესიული ძაბრის გარეთა საზღვარს შორის, სადაც წყლის დონე პირვანდელი (*მიწისქვეშა წყლების სტატიკური ჰორიზონტის*) დონის ტოლია.

სადრენაჟო კომპლექსი - ნაგებობებისა და დანადგარების ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაჭერისა და მოცილებისათვის. **ს.კ.**-ში შედის სამთო გვირაბები (*შტრეკები, ჭაბურღილები, ჭები, შურფები, არხები და სხვ.*), ამოშრობის ტექნიკური და *წყალამოღვრის* საშუალებები.

სავენტილაციო აფრა - მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ჰაერის გადაადგილების შესაზღუდავად იმ გვირაბებში, სადაც ხდება ხალხისა და ტვირთის ინტენსიური მოძრაობა. **ს.ა.** ბრეზენტის ან *საკონვეიერო ლენტის* ნაჭერია, რომელიც დამაგრებულია სამაგრი ჩარჩოს უღელზე და თავისუფლადაა ჩამოკიდებული გვირაბის გარდიგარდმოდ.

სავენტილაციო ბუფეტი - ნაგებობა, რომელიც გამორიცხავს საზიდი შტრეკიდან ჰაერის შეღწევას ბრემსბერგში. სავენტილაციო ბუფეტი ეწყობა კ ე დ ლ ი ს, ნ ა ხ შ ი რ ი ს მ თ ე ლ ა ნ ი ს და ფ უ ჭ ი ქ ა ნ ი ს სახით. ორივე სახის **ს.ბ.**-ში ჰაერის გაპარვისა და დანაკარგების თავიდან ასაცილებლად ეწყობა ბუფეტის ბრემსბერგის მიმართ ორივე მხარეს ორ-ორი სავენტილაციო კარი.

სავენტილაციო საზომი სადღური - არანაკლებ 4 მ სიგრძის, პერიმეტრზე გლუვი კედლების მქონე *სამთო გვირაბი*, რომელიც განკუთვნილია მასში გამავალი ჰაერის რაოდენობის გაზომვისათვის.

სავენტილაციო გვირაბები - გვირაბები, რომლებშიც წმენდითი და მოსამზადებელი სანგრეების განიავების შემდეგ, სხვადასხვა მინარევებით გაჭუჭყიანებული ჰაერის ნაკადი მოძრაობს მიწის ზედაპირზე ამოსასვლელად.

სავენტილაციო კარი - კარი ზღუდართან ერთად, რომელშიც ეს კარია ჩადგმული, ის განკუთვნილია ზოგიერთ გვირაბში ჰაერის გადაადგილების სრულად ან ნაწილობრივ შეზღუდვისათვის. არსებობს ერთფრთიანი და ორთფრთიანი **ს.კ.** ისინი მზადდება ხისგან ან მეტალისგან. მეტალის სავენტილაციო კარი ეწყობა ჰაერმიმჭოდებული და ჰაერმომცილებელი (სავენტილაციო) ჭაურების შემაერთებელ გვირაბში, აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც შეიძლება მოხდეს ე.წ. „მოკლე შერთვები“.

სავენტილაციო მილები - მილები, რომელთა საშუალებითაც ხდება სუფთა ჰაერის ტრანსპორტირება სანგრევისაკენ, ან გაჭუჭყიანებული ჰაერისა სანგრევიდან. **ს.მ.** მზადდება მეტალისაგან, მორეზინებული ქსოვილისა და სხვადასხვა ხელოვნური მასალისაგან.

სავენტილაციო მოწყობილობები - მოწყობილობები, რომელთა საშუალებით ხორციელდება სამთო გვირაბების ქსელში ჰაერის საჭირო რაოდენობით განაწილება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი განიავება. **ს.მ.** იყოფა ორ ჯგუფად, პირველში გაერთიანებულია ის მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია სავენტილაციო ჭავლის გადასაკეტად. ესენია: საშახტო ტიხრები, სავენტილაციო კარები, საშახტო სარქვლები, რაბები, სავენტილაციო ბუფეტები და სავენტილაციო საშახტო ჭაურების ჭაურზედა შენობები; მეორე ჯგუფში შედის ჰაერის მისაწოდებელი და ჰაერის ნაკადის მოძრაობის მიმართულების შესაცვლელი მოწყობილობები: საჰაერო ხიდები (კროსინგები), სავენტილაციო მილები და ვენტილატორის არხები.

სავენტილაციო ფანჯარა - *სავენტილაციო კარსა* ან ზღუდარში მოწყობილი ფანჯარა, რომელიც კეთდება ჰაერის მოძრაობისადმი დამატებითი წინაღობის შესაქმნელად. მისი დანიშნულებაა ცალკეულ გვირაბში მიწოდებული ჰაერის რეგულირება.

სავენტილაციო შტრეკი - შტრეკი, რომელიც განლაგებულია ამოსაღები იარუსის ან სართულის (ქვესართულის) ზემოთ; გამოიყენება წმენდითი სანგრევიდან ამომავალი ჰაერის ნაკადის მოსაცილებლად.

სავენტილაციო ჭავლის რევერსია (გადაყირავება) - სამთო გვირაბებში ჰაერის მოძრაობის მიმართულების ხელოვნურად შეცვლა არსებულის საწინააღმდეგო მიმართულებით. მას მიმართავენ გვირაბებში ხანძრისა და აფეთქების შემთხვევაში ხალხის გადასარჩენად, აგრეთვე ხანძრის ჩაქრობის სამუშაოების ჩატარებისას. ამ ოპერაციის ჩასატარებლად მთავარი განიავების ყველა სავენტილაციო დანადგარს აქვს *სარევერსიო მოწყობილობა*.

სავენტილაციო ჭაური - ჭაური, რომელიც ძირითადად განკუთვნილია სამთო გვირაბების გასანიაველად ჰაერის გატარებისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში **ს.ჭ.** გამოიყენება სხვა მიზნითაც (ხალხის ჩაშვება-ამოყვანა, სავსები და სხვა მასალების ჩაშვება, ფუჭი ქანის ამოტანა).

სავენტილაციო ჰორიზონტი - ერთ დონეზე განლაგებული მიწისქვეშა სამთო გვირაბების ერთობლიობა, რომლებშიც მოძრაობს გადამუშავებული (გაჭუჭყიანებული) ჰაერი მიწის ზედაპირზე გამოსასვლელად.

საკიბე განყოფილება - ვერტიკალური ან დახრილი გვირაბის ნაწილი, სადაც ხალხის გადასაადგილებლად მოწყობილია კიბე.

სალამზე მეურნეობა - სათავსების, სანათების, ნათურების, მოწყობილობებისა და მასალების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენებიან მადაროს ინდივიდუალური განათების მომსახურებისა და ექსპლუატაციისათვის.

სამარშრუტე გამოკვლევები (მადაროს თერმოდინამიკაში) - სავენტილაციო ჭავლის მოძრაობის მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვან ადგილებში (პუნქტებში) ჰაერის პარამეტრების (ტენიანობისა და ტემპერატურის) ცვლილების შესწავლის მეთოდი. **ს.გ.**-ის დროს დამატებით ხდება ბარომეტრული წნევისა და ჰაერის მოძრაობის სიჩქარის გაზომვა.

სამატარებლო კავშირგაბმულობა (სიგნალიზაცია) - მოწყობილობათა კომპლექსი, რომელიც საშუალებას იძლევა, მადაროს ვაგონეტებში ან სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრავე შემადგენლობაში მყოფ ადამიანებსა და ლოკომოტივის მემანქანეს ან მატარებლის გამყოლს შორის მოხდეს ინფორმაციის გაცვლა როგორც გაჩერების, ასევე მოძრაობის დროსაც.

სამთო გვირაბების მტვერფეთქებასაშიშროება - სამთო გვირაბების ფეთქებასაშიშროების მახასიათებელი, რომელიც ძირითადად განისაზღვრება ამ გვირაბების დამტვრიანებისა და მტვრის ფეთქებადობის ხარისხით, ვინაიდან დალექილი ფეთქე-

ბადი მტვერი განსაზღვრულ პირობებში (*მეთანის ან ფეთქებადი მასალების* აფეთქება) შესაძლებელია ჰაერში გადავიდეს შეტივტივებულ მდგომარეობაში, მიაღწიოს ფეთქებასაშიშ კონცენტრაციას და იქცეს აფეთქების კერად.

სამთო დარტყმა - სამთო გვირაბის უშუალო სიახლოვეს მდებარე ნახშირის ფენის (ქანის) ზღვრულად დამაბული ნაწილის მყიფე დაშლა, რაც აღინიშნება მამინ, როდესაც გვირაბის ამ ნაწილში დამაბული მდგომარეობის ცვლილების სიჩქარე აღემატება მასში დამაბულობის რელაქსაციის სიჩქარის ზღვრულ მნიშვნელობას. **ს.დ.**-ის ენერჯის ბალანსი დარტყმის კერაში ფენის დრეკადი შეკუმშვის პოტენციური ენერჯისა და გვერდითი ქანების დრეკად დეფორმაციათა ენერჯის ჯამია.

სამთო ზედამხედველობა - სახელმწიფო კონტროლის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს სამთო და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების წარმართვის, *სასარგებლო წიაღისეულის* საბადოთა ექსპლუატაციისა და *სამთო საწარმოთა* მშენებლობის მართებულობაზე.

სამთომშველი კავშირგაბმულობა (სიგნალიზაცია) - ავარიების ლიკვიდაციისა და ხალხის გადარჩენისას ჩამოქცევებში ან თავშესაფრებში მყოფ ადამიანებსა და სამთომშველებს, აგრეთვე სამთომშველებს (სამთომშველ ქვედანაყოფებს) შორის სიტყვიერი შეტყობინებების (სიგნალების) გაცვლითი ინფორმაციის გადაცემა.

სამთომშველი ლაბორატორია - სამთომშველი სადგურების შედგენილობაში შემავალი ლაბორატორია, რომელიც ახორციელებს: მადაროს ჰაერის სინჯების ანალიზს და მასში ძირითადად *მეთანის, ნახშირის ოქსიდის, ნახშირმჟავა აირის, ჟანგბადის*, იშვიათად გოგირდწყალბადის, გოგირდოვანი აირის, ეთილენის, ეთანის, *მძიმე ნახშირწყალბადების* და წყალბადის რაოდენობის განსაზღვრას; იზოლირებულ სახანძრო უბნებში ჰაერის შედგენილობის ანალიზის ჩატარებას; გვირაბებში ჰაერის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრასა და მაიზოლირებელ ტიხრებში ჰაერის ფილტრაციის დადგენას; ჰაერის ტემპერატურის, ტენიანობისა და წნევის განსაზღვრას; აგრეთვე სავენტილაციო ჭავლის დეპრესიის, გვირაბების ჰაერის დამტვრიანების, ნახშირისა და ინერტული მტვრის ნარევის შედგენილობისა და მშთანთქმელების შემოწმებას და *სამახტო რესპირატორებში* გამოყენებული ჟანგბადის სისუფთავის შემოწმებას.

სამთომშველი მოწყობილობანი - ხალხის გადასარჩენი და *მიწისქვეშა ავარიების* ლიკვიდაციისათვის განკუთვნილი *სამთომშველი ნაწილების* აღჭურვილობა. **ს.მ.**-ში შედის: *მადაროს რეკვირატორები*, თბური დაცვის პირადი საშუალებები, *მადაროს ხანძრის* ქრობის ტექნიკური საშუალებები, მიწისზედა და მიწისქვეშა ტრანსპორტი, აგრეთვე მიწის ზედაპირზე ხალხის ამოსაყვანი მოწყობილობანი, მიწისქვეშა გვირაბებში კავშირგაბმულობისა და მართვის საშუალებები.

სამთომავშელი ნაწილი - მერესპირატორების ოპერატიული ქვედანაყოფი, რომელშიც შედიან ხალხის გადარჩენის სამუშაოების ჩასატარებლად და *მიწისქვეშა გვირაბების* რთულ პირობებსა და *სუნთქვისათვის უვარგის ატმოსფეროში* მუშაობისათვის კარგად მომზადებული და გამოცდილი მუშაკები.

სამთომავშელი სადგური - *სამთომავშელი ნაწილის* განთავსებისათვის განკუთვნილი სასამსახურო და საცხოვრებელი სათავსების კომპლექსი. მასში განლაგებულია: რესპირატორების შესანახი და შესამოწმებელი სააპარატო, საჟანგბადო-საკომპრესორო სათავსი, აკუმულატორული სანათების დასამუხტი ოთახი, აირის ანალიზური ლაბორატორია, ოპერატიული და სამეურნეო დანიშნულების მანქანათა ფარები, სამედიცინო პუნქტი, მებრძოლების სავარჯიშო დარბაზი, მებრძოლების დასასვენებელი ოთახი, სასწავლო კვამლიანი გვირაბები, სპორტული მოედანი, საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო ნაგებობანი. **ს.ს-** უნდა ჰქონდეს მისი მომსახურების სფეროში არსებულ შახტებამდე მისასვლელი კარგი გზები და ამ შახტებთან პირდაპირი სატელეფონო კავშირი.

სამთომავშელი სამუშაოები - ხალხის გადასარჩენი და მიწისქვეშა ავარიების სალიკვიდაციო სამუშაოები.

სამთომავშელი საქმე - სამთო საქმის დარგი, რომელიც მოიცავს ხალხის გადასარჩენ და *მიწისქვეშა ავარიების* სალიკვიდაციო და პროფილაქტიკური სამუშაოების ტექნიკას, ორგანიზაციასა და მეცნიერულ საფუძვლებს.

სამთო ქანების თბოფიზიკური პარამეტრები - მათ მიეკუთვნება კუთრი თბოგამტარობა, კუთრი თბოშემცველობა, ტემპერატურაგამტარობა, ხაზობრივი და მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტები, თბოგაცემა, გალღობადობა, აორთქლებადობა - ყველა ეს პარამეტრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქანების თერმულ და ელექტროფიზიკურ დანგრევაში.

სამთო ქანის აირგამტარობა - ქანის (ნახშირის) უნარი, განსაზღვრული წნევათა სხვაობის დროს გაატაროს აირი.

სამთო ქანის აირიანობა (აირნაჯერობა) - სამთო ქანის წონის ან მოცულობის ერთეულში შემცველი თავისუფალი და სორბირებული აირების რაოდენობა. მისი განზომილებაა მ³/ტ ან მ³/მ³.

სამთო ქანის აირშემცველობა (აირგაჯერებულობა) - აირის რაოდენობა, რომელსაც თავისუფალი და სორბირებული აირების სახით შეიცავს სამთო *მასის* წონის ან მოცულობის ერთეული. მისი საზომი ერთეულია მ³/ტ ან მ³/მ³. **ს.ქ.ა.** შეიძლება იყოს:

პოტენციური - შესაძლო აირშემცველობა განსაზღვრულ თერმოდინამიკურ (ტემპერატურა, აირის წნევა, ფორიანობა და ა.შ.) პირობებში; **ბუნებრივი** - აირშემცველობა ბუნებრივ პირობებში; **ნარჩენი** - *სამთო სამუშაოების* შედეგად ნაწილობრივ დეგაზირებული *სამთო ქანის* აირშემცველობა.

სამთო ქანის აირშეღწევა - ქანის (ნახშირის) უნარი, გარკვეული წნევათა სხვაობის დროს გაატაროს აირი.

სამუშაო ადგილის კლიმატური პირობები - სამუშაო ადგილის ზონაში ჰაერის ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა და ჰაერის მოძრაობის სიჩქარე.

სამუხრუჭე მანძილი - საწყისი სიჩქარიდან სრულ გაჩერებამდე მატარებლის მიერ გავლილი მანძილი მთლიანი დამუხრუჭების შემთხვევაში.

სამუხრუჭე მოწყობილობა - თითოეული ამწევი მანქანა, აღჭურვილი მოწყობილობით, რომელიც განკუთვნილია ამწევი ჭურჭლების მოძრაობის სიჩქარის მდოვრედ შემცირებისათვის ნულამდე (მიმღებ მოედანზე გაჩერება). აწევებს შორის პაუზის დროს **ს.მ.** ხელს უშლის (თავიდან გვაცილებს) ამწევი მანქანის დოლის ან ხახუნის შკივის ბრუნვას.

სანგრევის მტვერდამჭერები - უშუალოდ *სანგრევში*, პერფორატორებისა და ბურ-ღებების სიახლოვეს ან მათგან ცოტა მოშორებით განლაგებული დანადგარები, რომლებიც განკუთვნილია მტვრის ნაწილაკების დაჭერისათვის მშრალი ბურღვის დროს. **ს.მ.** შედეგმა მტვერმიმღები ხუფის ან ქუროსაგან (შეწოვის ხერხის მიხედვით), მტვერგამტარი მორეზინებული ქსოვილის სახელოსაგან, მტვერდამჭერი აპარატისა და გაწოვის აღმძვრელისაგან (ეჟექტორი ან ვაკუუმტუმბო).

საპარაშუტე მოწყობილობები - ამწევი ბაგირის გაწყვეტის შემთხვევაში, საშახტო გაღებისა (ვერტიკალური აწევის დროს) და ვაგონეტების (დახრილი აწევის დროს) დაჭერის, მდოვრე გაჩერებისა და შემდგომი შეკავების ავტომატურად მოქმედი მოწყობილობა.

სარეგენერაციო მოწყობილობა - მიწისქვეშა *კამერა-თავშესაფრებში* ჰაერის შედგენილობის სარეგენერაციო (აღმდგენი) მოწყობილობა. მასში ხდება ხალხის სუნთქვისას წარმოქმნილი ნახშირმჟავა აირის შთანთქმა, ჰაერში შემადგენლობაში ჟანგბადის დამატება და ჟანგბადის ბალონთან მიერთებული ხელის ვენტილატორის ან ეჟექტორის გამოყენებით კამერაში ჰაერის არევა.

სარევერსიო მოწყობილობა - ვენტილატორის მოწყობილობა, რომლის მეშვეობით შეიძლება შეიცვალოს (მოახდინოს რევერსირება) სავენტილაციო ჭავლის მიმართულება. *უსაფრთხოების წესების* თანახმად, **ს.მ.**-ის კონსტრუქცია საშუალებას უნდა იძლეოდეს სავენტილაციო ჭავლის მიმართულება შეიცვალოს 10 წთ-ის განმავლობაში, თანაც რევერსირების შემდეგ ვენტილატორის მწარმოებლურობა მისი ნორმალური მწარმოებლურობის არანაკლებ 60% იყოს. *სავენტილაციო ჭავლის გადაყირავება*, ჩვეულებრივ ხდება შემომვლელი არხის, შიბერებისა და საშახტო სარქვლების დახმარებით.

სარეზერვო ქვედანაყოფი - სამთომაშველი ქვედანაყოფი, რომელიც სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მორიგეობს მიწისქვეშა ბაზაში ან *სამთომაშველი სამუშაოების* ადგილის სიახლოვეს, სუფთა ჰაერის ჭავლში და მზადაა, დახმარება აღმოუჩინოს ძირითად ქვედანაყოფს, რომელიც მუშაობს *სუნთქვისათვის უვარგის ატმოსფეროში*.

სარემონტო სიგნალიზაცია - **იხ. კავშირგაბმულობა (სიგნალიზაცია) აშწევი ჭურჭლებისათვის.**

სარეხი (თიხოვანი) ხსნარი - თიხითა და წყლით მიღებული სუსპენზია, რომელიც გამოიყენება ჭაბურღილებისა და საშახტო ჭაურების ბურღვისას მათი სანგრევების ნაბურღი ქანებისაგან გამორეცხვისა და საძიებო ჭაბურღილების კედლების ცემენტაციისათვის. **ს.ხ.** მზადდება თიხის დამუშავებისა და მისი განსაზღვრულ კონსისტენციამდე წყალში გახსნის გზით.

სარწყავი (ნისლწარმომქმნელი, ფრქვევანა) - მტვრის ჩახშობის მიზნით სამთო პრაქტიკაში გამოყენებული წყლის გამაფრქვეველი მოწყობილობა. ფორმის მიხედვით **ს.** შეიძლება იყოს **ს ა ც მ ი** (კომპაქტური ჭავლი), **ქ ო ლ გ ი ს ე ბ რ ი** (ღრუ კონუსი), **კ ო ნ უ ს უ რ ი** (მთლიანი კონუსი), **ბ რ ტ ყ ე ლ ჭ ა ვ ლ უ რ ი** (ბრტყელი მარაო). სარწყავის თითოეული ტიპი გამოყენება მიზნობრივი დანიშნულებით.

სარწყავი მოწყობილობა - მორწყვის განსახორციელებლად გამოყენებული მოწყობილობების, არმატურის, კონტროლისა და მართვის კომპლექტი, რომელიც დაყენებულია სამთო მანქანებისა და დანადგარების *მტვერწარმომქმნელ წყაროებზე*. **ს.მ.**-ები ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ *სარწყავის* ტიპითა და მათი რაოდენობით.

საშახტო განათება - *სამთო სამუშაოების* წარმოების დროს შრომისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად სინათლის ენერჯის მიღების, განაწილებისა და გამოყენების მეთოდების ერთობლიობა.

საშახტო ვენტილატორები - სამთო გვირაბების ქსელში ჰაერის, აირებისა და მტვრის გადაადგილებისათვის განკუთვნილი მანქანები. მოქმედების პრინციპის მიხედვით **ს.ვ.** შეიძლება იყოს ცენტრი და ნული და დერძული, დანიშნულების მიხედვით - მთავარი განიავებისა, დამხმარე და ნაწილობრივი განიავებისა.

საშახტო სავენტილატორო დანადგარი - დანადგარი, რომელიც განკუთვნილია სამთო გვირაბებში იმ რაოდენობის ჰაერის მისაწოდებლად, რომელიც უზრუნველყოფს გვირაბებში უსაფრთხოების მოთხოვნებით გათვალისწინებული ჰაერის სისუფთავის ნორმების დაცვას. თავისი დანიშნულების მიხედვით **ს.ს.დ.** შეიძლება იყოს: მთავარი განიავებისა - ემსახურება მთლიანად შახტს ან მის ცალკეულ ფრთებს, დამხმარე განიავებისა - ემსახურება განიავების საერთო სქემაში ჩართულ ცალკეულ უბნებს და ადგილობრივი განიავებისა - ემსახურება მოსამზადებელი გვირაბების სანგრევეებს.

საშახტო სანათი (ლამპარი) - მიწისქვეშ გამანათებელი ხელსაწყო. გამოყენების პირობების მიხედვით **ს.ს.** აქვს შესრულების შემდეგი სახეები: საშახტო ნორმალური შესრულების, საშახტო გაზრდილი საიმედობის შესრულების, საშახტო ფეთქებაუსაფრთხო შესრულების.

საშახტო ტიხრები - სამთო გვირაბებში მოწყობილი ხელოვნური ნაგებობები, რომელთა დანიშნულებაა სავენტილაციო ნაკადების რეგულირება, გვირაბებში აირების, წყლისა და ხანძრის გავრცელების თავიდან აცილება, სავსები და დასალამი მასალების შეკავება, აგრეთვე აფეთქების დარტყმითი ტალღის დამანგრეველი მოქმედების თავიდან აცილება. დანიშნულების მიხედვით **ს.ტ.** შეიძლება იყოს სავენტილაციო, ხანძარსაწინაღო, წყალშემკავებელი, საფილტრაციო, აფეთქებაშემდეგი და ბუფერული.

საჭაურე სიგნალიზაცია - *ლოკალური სიგნალიზაცია* მეჭაურეს, მესახელურ-მესიგნალესა და ამწევი დანადგარის მემანქანეს შორის. დანიშნულების მიხედვით სიგნალი შეიძლება იყოს: მუშა, ნებართვის მიმცემი, შეკითხვითი და ავარიული.

სახანძრო აქტები - სამთო გვირაბებში ხანძრის წარმოქმნისა და ლიკვიდაციისას შედგენილი ოფიციალური დოკუმენტები.

სახანძრო დაცვა - სახანძრო, გასამხედროებული და სადარაჯო გაერთიანებული რაზმები, რომლებიც *სამთო საწარმოებში* ახორციელებენ საწარმოო ქონების დაცვას, სახანძრო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, *მდაროს ხანძრის ჩაქრობას*, მიწისქვეშა ავარიისა და სტიქიური უბედურების დროს ხალხისა და ქონების გადარჩენას, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობის კონტროლს.

სახიფათო ზონა - უბანი, რომლის საზღვრებში *სამთო სამუშაოების* წარმოება ან ადამიანის ყოფნა დაკავშირებულია ავარიის შესაძლებლობასთან. ამ ზონის წარმოქმნა განპირობებულია ბუნებრივი ან სამთო-ტექნიკური ფაქტორებით.

საჰაერო დარტყმა - საჰაერო ტალღის მექანიკური ზემოქმედება, რომელიც აღინიშნება სამთო გვირაბების დიდ ფართობზე უეცარი ჩამოქცევის ან *სამთო დარტყმის* შედეგად.

საჰაერო ხიდი (კროსინგი) - სავენტილაციო ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია ჰაერის ურთიერთგადამკვეთი ნაკადების განცალკევებისათვის. **ს.ხ.** კონსტრუქციის მიხედვით შეიძლება იყოს მილისებური - გადასასვლელი ხიდის ტიპისა და შემომვლელი გვირაბის ტიპისა, ხოლო დანიშნულების მიხედვით - კაპიტალური და საუბნე დანიშნულებისა.

სედიმენტაცია - სითხის ან აირად გარემოში შეწონილ მდგომარეობაში მყოფი ნაწილაკების დალექვის პროცესი.

სედიმენტაციური (დალექვის) მეთოდი - *დისპერსიულ სისტემებში* მტვრის ნაწილაკების ზომისა და მათი თავისუფალი ვარდნის სიჩქარის მიხედვით ფარდობითი შემცველობის განსაზღვრის ხერხების ერთობლიობა. **ს.მ.**-ის უმეტესობის საფუძველია ს ტ ო ქ ს ი ს კ ა ნ ო ნ ი.

სელენური წყალბადი (H₂Se) - უფერო აირი ძლიერი მკვეთრი სუნით, რომელიც ჰგავს გოგირდწყალბადის სუნს, ძლიერ მომწამლაავია, იწვის ჰაერში. ბუნებრივ აირებში მისი კონცენტრაცია ძალიან მცირეა და ამ თვალსაზრისით არ ქმნის საფრთხეს. გამოიყოფა უმნიშვნელო რაოდენობით გოგირდისა და ზოგიერთი სულფიდური მადნების საბადოთა დამუშავებისას.

სველი ბურღვა - წყლით გამორეცხვის გამოყენებით შპურებისა და ჭაბურღილების ბურღვა.

სველი მტვერდაჭერა - *მტვერდაჭერა* წყლისა და სხვა სითხეების გამოყენებით.

სველი მტვერდამჭერები - *მტვერდამჭერები*, რომელთა მოქმედების პრინციპი დამყარებულია წყლისა და სხვა სითხეების ადჰეზიური თვისებების გამოყენებასა და ნაწილაკების თვისებებზე, იყვანენ გადამეტნაჯერი ორთქლის კონდენსაციის ბირთვები.

სიგნალების გადაცემის ტრანსლაციის მეთოდი (საჭაურე სიგნალიზაციაში) - მუშა სიგნალების გადაცემა ორ ხერხად (ორ ეტაპად); ჯერ მეჭაურისგან მესახელურე-

მესიგნალესკენ, ხოლო შემდეგ - მესახელურე-მესიგნალესგან *ამწვევი მანქანის* მემანქანისკენ.

სიგნალიზაცია შიშველი გამტარების გამოყენებით - ნიშნების გადაცემა ცალმხრივი ელექტრონული სიგნალიზაციის სისტემის გამოყენებით, რომლებშიც კავშირგაბმულობის ხაზად და იმავდრულად გადამწოდად გამოიყენება მიწისაგან იზოლირებული შიშველი გამტარები.

სითბოს გაცემის კოეფიციენტი - სიდიდე, რომელიც ახასიათებს სითბოს გაცემის ინტენსივობას. ის დამოკიდებულია სითბოს წარმომქმნელი ზედაპირის ფორმაზე, ზომასა და ტემპერატურაზე, აგრეთვე სითხის (აირის) მოძრაობის სიჩქარეზე, ტემპერატურასა და ფიზიკურ პარამეტრებზე, სითბოგამტარობის კოეფიციენტზე, თბოტევადობაზე, სიმკვრივეზე, სიბლანტესა და სხვა ფაქტორებზე.

სითხის თანაბარი მოძრაობა - სითხის მოძრაობა, რომლის დროსაც ნაკადის ნებისმიერ ცოცხალ კვეთში სიჩქარის სიდიდე თანაბარია.

სიცივის გადამტანი (მატარებელი) - ნივთიერება, რომელიც იყინება დაბალ უარყოფით ტემპერატურაზე, გამოიყენება *გამყინავი სადგურიდან* გამოყენების ადგილამდე სიცივის გადატანისათვის. **ს.გ.**-ებად გამოიყენება ქლორიდთა მარილების (კალიუმის, ნატრიუმის, მაგნიუმის) ხსნარები, აგრეთვე ზოგიერთი ორგანული ნივთიერება (მეთილისა და ეთილის სპირტები, მათი წყალთან ნარევი).

სორბენტი (შთანთქმელი) - ნივთიერება, რომელიც გამოიყენება აირწინაღებსა და *მადაროს რესპირატორებში* გამავალი ჰაერიდან მავნე მინარევების შთანთქმისათვის.

სპეციალური სარეცხი სითხეები - სითხეები, რომელთა გართულეებულ პირობებში *ბურღვისას* გამოიყენება თავიდან აგვაცილებს თიხის ხსნარის შთანთქმას, გარდა ამისა, *ჭაბურღილებში* ჩამოქცევებსა და აირის გამოყოფას.

სპეცტანსაცმლის გაუმტვრიანება - სამთო მუშების სპეციალური ტანსაცმლიდან მტვრის ნაწილაკების მოცილება სპეციალური მანქანებისა და დანადგარების მეშვეობით. **ს.გ.** საყოფაცხოვრებო კომბინატების სათავსებში ჰაერის დამტვრიანებასთან ბრძოლის აუცილებელი ღონისძიებაა, რადგან სპეცტანსაცმელი არის მტვრის ძირითადი წყარო.

სრული დეპრესია - ვენტულატორის მიერ განვითარებული წნევათა სხვაობა, რომელიც იხარჯება ქსელის (შახტის) წინაღობის გადალახვაზე, თვით სავენტილატორო დანადგარის (ვენტილატორის ბორბლის გარეშე) წინაღობის გადალახვასა და ატმოსფეროში ჰაერის გამოსასვლელზე ს ი ჩ ქ ა რ ი თ ი (დინამიური) დაწნევის შექმნაზე.

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სტატისტიკურ დეპრესიას, ანუ სრულ დეპრესიას და სიჩქარით დაწნევას შორის სხვაობას.

სუნთქვისადმი წინაღობა - რესპირატორის სისტემის მიერ ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვისადმი გაწეული წინაღობა, რომლის დაძლევა უხდება რესპირატორში ჩართული ადამიანის ფილტვებს.

სუფთა ჰაერის ჭავლი - ჰაერის ჭავლი, რომელიც მიეწოდება მიწის ზედაპირიდან სამთო გვირაბების ქსელში მათი განიავების მიზნით.

სუფლიარი - აირის გამოყოფა ნაპრალებიდან ან აირგამტარი ნაპრალების გამხსნელი შპურებიდან და ჭაბურღილებიდან, როდესაც 20 მეტრზე ნაკლები გვირაბის უბანზე აირის დებიტი 1 მ³/წთ და უფრო მეტია.

ტ

ტემპერატურის ინვერსია - ატმოსფეროს მდგომარეობა, რომლის დროსაც ჩვეულებრივი შემცირების ნაცვლად ჰაერის ტემპერატურა სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება.

ტემპერატურული კოეფიციენტი - ტემპერატურის მატებისას სორბციის (შთანთქმის) სიჩქარის აჩქარება.

ტენიანობა - 1. სამთო ქანის ტ. არის ამ ქანის წყლით გაჟღენთის ხარისხი; 2. ჰაერისა და სხვა აირების ტენიანობა არის მათში წყლის ორთქლის შემცველობა; არჩევენ: **აბსოლუტურ ტ**-ს რომელიც გვიჩვენებს 1 მ³ აირში წყლის ორთქლის აბსოლუტურ შემცველობას, გამოსახულს მილიგრამებში ან გრამებში, და **ფარდობით ტ**-ს - რომელიც გამოისახება პროცენტებში და გვიჩვენებს წყლის ორთქლის აბსოლუტური რაოდენობის შეფარდებას მის მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობასთან მოცემული ტემპერატურის დროს. მაღაროს ჰაერის ტ. იცვლება დიდ ფარგლებში.

ტენშემცველობა - სამთო ქანების თვისება, შთანთქმის და თავის თავში შეაკავოს ტენი.

ტოქსიკური აირები - სამთო გვირაბებში გამოყოფილი ან წარმოქმნილი აირები, რომლებსაც აქვს მომწამლავი თვისებები, კერძოდ, ეს აირებია: *ამიაკი, აზოტი*

ოქსიდები, ნახშირბადის ოქსიდი, რადონი, გოგირდოვანი აირი, გოგირდწყალბადი, ნახშირმჟავა აირი.

ტრავმატიზმი სამთო მრეწველობაში - სამთო მრეწველობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებებით, კერძოდ, სამთო წნევების გამოვლენით, გვირაბებში სამუშაო არის შეზღუდულობით, სამთო მანქანებისა და სამუშაო ადგილების გადაადგილებით, ფეთქებადი სამუშაოების წარმოებითა და ა.შ. განპირობებული ტრავმატიზმი.

ტურბულენტური მოძრაობა - აირის (სითხის) მოძრაობა, რომლის დროსაც დენადი ელემენტები გადაადგილდება მოუწყვსრიგებლად, ასრულებს დაუმყარებელ მოძრაობებს რთული ტრაექტორიებით. ტ.მ-ის უზრუნველყოფა ხორციელდება მაშინ, როდესაც გვირაბში ჰაერის მოძრაობის მინიმალური სიჩქარეა 1,8 მ/წმ. ტ.მ. სამთო გვირაბებში ჰაერის მოძრაობის ძირითად სახეა.

ტურბულენტური ნაკადები - გრიგალური ნაკადები, რომლებშიც სიჩქარეთა ველის ფორმირებისას სიბლანტე აშკარად კი არ ვლინდება, არამედ გასაშუალებული ველის კანონზომიერებათა ფორმირებაში მონაწილეობს ძალზე უმნიშვნელო მასშტაბით.

ტყვიის აზიდი - აზოტოვანწყალბადმჟავა ტყვიის მარილის უფერო კრისტალები - მაინიცირებელი მაღალბრიზანტული ფეთქებადი მასალები, რომელთა მგრძნობიარობა სითბოსა და დარტყმების მიმართ მცირეა, ხოლო მაინიცირებელი მოქმედება და ქიმიური მდგრადობა უფრო მაღალია, ვიდრე მგრგვინავ ვერცხლისწყალს აქვს. ტ.ა. ტენის არსებობისას არ კარგავს ფეთქებად თვისებებსა და მაღალ მგრძნობიარობას, ის გამოიყენება დეტონატორებში (კაფსულ-დეტონატორებში, ელექტროდეტონატორებში) ფეთქებადი ნივთიერებების პირველადი ინიცირების საშუალებად.

უ

უზნის უკუდაბრუნებითი განიაგების სქემა - ამოსაღები უზნის განიაგების ყველაზე გავრცელებული სქემა, რომლის დროსაც წმენდით სანგრევში სუფთა ჰაერი მიეწოდება საზიდი შტრეკიდან და ფენის პირდაპირი ხერხით დამუშავების შემთხვევაში გადის სავენტოილაციო შტრეკზე წმენდითი სანგრევის უკან, ხოლო წმენდითი სანგრევის წინ - ფენის უკუსვლით დამუშავების შემთხვევაში.

უსაფრთხოების ტექნიკა - მეცნიერებისა და ტექნიკის არე, რომელიც შეისწავლის საწარმოებში უბედურ შემთხვევებს და უზრუნველყოფს აუცილებელი ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების შემუშავებასა და პრაქტიკულად განხორციელებას.

უსაფრთხოების წესები - სამთო სამუშაოების უსაფრთხოდ წარმართვის ძირითადი დებულებები, რომლებსაც აქვთ კანონის ძალა.

უსაფრთხო მანძილი - ასაფეთქებელი მუხტებიდან ის მინიმალური დაშორება, რომელზეც აფეთქების ზემოქმედება ადამიანებისათვის, მანქანა-მექანიზმებისა და შენობა-ნაგებობებისათვის უსაფრთხოა. **უ.მ.** რეგლამენტირებულია აფეთქებითი სამუშაოების განხორციელების ერთიანი უსაფრთხოების წესებით. აფეთქების სახიფათო ზემოქმედების სახის მიხედვით **უ.მ.** განისაზღვრება: 1. საჭაერო ტალღის ზემოქმედების მიხედვით - მანძილით, რომელზეც ჰაერის ტალღა კარგავს მოცემული ინტენსივობით დაზიანების მიყენების შესაძლებლობას; 2. დეტონაციის გადაცემის მიხედვით - მანძილით, რომელზეც შეუძლებელია ერთი მუხტიდან მეორეზე დეტონაციის გადაცემა; 3. ნამსხვრევების დამაზიანებელი მოქმედების მიხედვით - მანძილით, რომელზეც გამორიცხულია ნამსხვრევებით დაშავების შესაძლებლობა; 4. აფეთქების სეისმური მოქმედების მიხედვით - მანძილით, რომელზეც აფეთქებით გამოწვეული გრუნტის რყევები უსაფრთხო ხდება შენობა-ნაგებობებისათვის.

უწყვეტობის განტოლება - სამთო გვირაბებში ჰაერის მოძრაობის ძირითადი კანონი, რომლის თანახმადაც ჰაერგამტარის ან სამთო გვირაბების სხვადასხვა განივკვეთში გამავალი ჰაერის მასური ხარჯი მუდმივია ჰაერის გაპარვის არარსებობის დროს.

ფ

ფეთქებადი აირები - წვადი აირები, რომლებსაც უნარი აქვთ, ჰაერთან შერევისას წარმოქმნან ფეთქებადი ნარევი. მალაროს ატმოსფეროში შესაძლებელია შედიოდეს შემდეგი **ფ.ა.:** ბუტანი, წყალბადი, მეთანი, ნახშირის ჭანგი, პროპანი, გოგირდწყალბადი, ეთანი, ეთილენი და სხვა ნახშირწყალბადოვანი აირები და ორთქლი.

ფეთქებადი მასალები - მასალები, რომელშიც შედის სახალხო მეურნეობაში გამოყენებული ფეთქებადი ნივთიერებები და აფეთქების საშუალებები.

ფეთქებადი მასალების საწყობი - შემოღობილ და დაცულ ტერიტორიაზე განლაგებული ფეთქებადი მასალების ერთი ან რამდენიმე საცავი თავისი დამხმარე ნაგებობებით; მიწისქვეშა **ფ.მ.ს.** - ფეთქებადი მასალების შესანახი კამერები, უჯრედები და დამხმარე კამერები საწყობთან დამაკავშირებელი თავისი გვირაბებით.

ფეთქებადი ნივთიერებები (ფ.ნ.) - ქიმიური სისტემები, რომელთაც უნარი აქვთ, გარკვეული გარეგანი საწყისი იმპულსის ზემოქმედებით ძალიან სწრაფად გარდაიქმნან სხვა სისტემებად ან ნივთიერებებად. ამ პროცესს თან სდევს დიდი რაოდენობით

სითბური ენერჯის გამოყოფა და მნიშვნელოვანი მოცულობის აირადი პროდუქტების წარმოქმნა.

ფეთქებადი ნივთიერების ამოწვა (დეფლაგრაცია) - ფეთქებადი ნივთიერების დეტონაციის გადასვლა წვაში. აირის ან მტვრის მხრივ საშიშ შესატყვისში მცველი ფეთქებადი ნივთიერებების ამოწვა იწვევს ნახშირის მტვრის აალებას ან ჰაერმეთანის ნარევის აფეთქებას, რაც შესაძლოა, გახდეს ავარიის მიზეზი.

ფეთქებამდეგი ზღუდარი - მადაროს აირების ან მტვრის აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ტალღით გამოწვეული ნგრევის თავიდან აცილების მიზნით გვირაბებში მოწყობილი საშახტო ზღუდარი. სხვა ტიხრებისაგან განსხვავდებით მას აქვს გაზრდილი წინაღობა დარტყმითი ტალღის გავრცელებისადმი.

ფეთქებასაშიში აირები - იხ. ფეთქებადი აირები.

ფენის წინასწარი დეგაზაცია - დეგაზაციის ხერხი, როდესაც აირის გამოტანა ხდება წმენდითი სანგრევის წინ ნახშირის ფენაში გაბურღული *კაბურღილებით*. **ფ.წ.დ.** შეიძლება ხორციელდებოდეს *მოსამზადებელი გვირაბებით*.

ფენის წწევა - წწევა, რომელიც მოქმედებს აირსა ან სითხეზე *ნახშირის ფენასა ან სამთო ქანებში*.

ფილტვის ავტომატი - სარქველი, რომელიც დაკავშირებულია მადაროს მაიზოლირებელი რესპირატორის სასუნთქ ტომარასთან. ტომარა იხსნება მისი მნიშვნელოვანი დაცლისას. **ფ.ა-**ის საშუალებით რესპირატორში სუნთქვისას ავტომატურად ხდება ჟანგბადის ხარჯის აღდგენა.

ფილტრები მტვრის კონტროლისათვის - ბოჭკოვანი, ფოროვანი ან თხევადი არეები, რომლებიც იჭერენ მტვრის ნაწილაკებს მათში მტვრიანი ჰაერის გატარებისას შემდგომში მათი ანალიზის ჩასატარებლად. *მტვრის კონტროლისათვის* პრაქტიკაში გამოიყენება *ბამბის, ქსოვილის, კერამიკული, მემბრანული, ქაღალდის, კრისტალური და თხევადი* ფილტრები.

ფილტრის ვაზნა - იხ. ალონჯი.

ფინიშტრი - მადაროს მაიზოლირებელი რესპირატორის ჟანგბადის ბალონთან მიერთებული მანათობელციფერბლატიანი მანომეტრი ბალონში ჟანგბადის წნევის სარეგისტრაციოდ, რათა შეფასდეს რესპირატორის მუშაობის დარჩენილი დრო.

ფიქლიანი და წყლის საფარები - ინერტული მტვრით (ფიქლიანი საფარებით) ან წყლით სავსე ჭურჭლებით (წყლის საფარებით) აღჭურვილი ადვილად ამოსაყრავებელი თაროების რიგი, რომელიც განლაგებულია გვირაბის გარდიგარდმო, მის ზედა ნაწილში. მათი დანიშნულებაა წინააღმდეგობა გაუწიოს გვირაბში აფეთქებისა და ცეცხლის ალის გავრცელებას ინერტული მტვრის ღრუბლისა და წყლის ფარდის წარმოქმნით, ამ თაროების გადაყრავებისას აფეთქების ტალღის ან სპეციალური მოწყობილობის დახმარებით. დანიშნულების მიხედვით საფარი შეიძლება იყოს **პირველადი ან ძირითადი**. პირველადი საფარი გამოიყენება მოსამზადებელი გვირაბების სანგრევისპირა უბანში, ხოლო ძირითადის დანიშნულებაა ნახშირის მტვრისა და აირის აფეთქების ლოკალიზაცია გვირაბების ქსელში, რის გამოც ძირითადი საფარები გამოიყენება ცალკეული ფენების, საშახტო ველის ფრთების, ფრთაზე ახლომდებარე ამოსაღები უბნების, აგრეთვე მოსამზადებელი და დამჭრელი გვირაბების ცალკეული სანგრევების შემთხვევაში.

ფონომეტრი - ხმაურის დონის განმსაზღვრელი ხელსაწყო. მისი მოქმედების პრინციპი დამყარებულია გამოსაკვლევი ხმაურის ხმამაღლობის შედარებაზე ხელსაწყოს მიერ გამოცემული სტანდარტული ხმის სიმაღლესთან.

ფორიანობა - სამთო ქანში შემცველი ფორების ჯამური ფარდობითი მოცულობა.

ფორმალდეჰიდი (HCHO) (ჰიანჭველას ალდეჰიდი, მეთანალი) - მძაფრი სუნის მქონე, მხუთავი მომწამლავი აირი, რომელიც კარგად იხსნება წყალში. მცირე კონცენტრაციით შედის შიგაწვის მრავების მუშაობისას გამოზოლოქვილ აირებში.

ფოსფოროვანი წყალბადი (PH₃) - უფერო, ძლიერ მომწამლავი აირი, აქვს დამპალი თევზის მძაფრი სუნი. იშვიათად გამოიყოფა *სამთო გვირაბებში*, მისი მიკროკონცენტრაცია შეინიშნება ოზოკერიტის შახტების ჰაერში.

ფოტოელექტრული მტვერმზომი - სინათლის ნაკადის ფოტოელექტრული ხერხით გამზომი ოპტიკური მტვერმზომი ხელსაწყო.

ფსიქრომეტრი - ჰაერის ფარდობითი ტენიანობის გასაზომი ხელსაწყო.

ფთორწყალბადი(HF) - უფერო, ძლიერ მომწამლავი აირი.

ქანებისა და აირების გამოტყორცნის თავიდან აცილება - ისეთი პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება, როგორცაა: ძირითადი გვირაბის გაყვანის წინსწრებით მცირე განივკვეთის გვირაბის გაყვანა; სანგრევისპირა სივრცის განტვირთვისათვის ქანების მასივში, გვირაბის პერიმეტრის ზედა ნაწილში ხვრელის გაჭრა; ამფეთქი შპურების განლაგება მხოლოდ გვირაბის სანგრევის ქვედა ნაწილში; გადამღობი ტიხრების მოწყობა.

ქანების წყალსიუხვე - ქანების მიერ გაცემული წყლის რაოდენობა. წყალსიუხვის ხარისხის მიხედვით ქანი შეიძლება იყოს ძლიერ წყალსიუხვი, რომლის ჰაზურდილის დებიტი აღემატება 10 ლ/წმ-ს, წყალსიუხვი - 1 - 10 ლ/წმ, სუსტად წყალსიუხვი - 0,1 - 1 ლ/წმ, ძლიერ ნაკლებად წყალსიუხველი - 0,01 - 0,1 ლ/წმ და წყალგამძლე.

ქანების წყლით გაჯერება - ვაკუუმის საშუალებით წინასწარ ჰაერგამოცლილი ქანის ნიმუშში არსებული ყველა ნაპრალის, ბზარისა და სიცარიელის 150 კგ/სმ²-მდე წნევით დაჭირხნილი წყალით ამოვსება. რაოდენობრივად **ქ.წ.გ.** გამოისახება შთანთქმული წყლის რაოდენობის ფარდობით მშრალი ქანის წონასთან.

ქანისა და აირის გამოტყორცნა (გამოსროლა) - ქანების აფეთქებით მონგრევისას გაანგარიშებულთან შედარებით ქანებისა და აირების მომატებული გამოყოფა. ამ მოვლენის მიზეზია ქანის დრეკადობის აღდგენა მისი დამსხვრევისას და ქანის ნაპრალებსა და ფორებში მომწყვდეული აირის (მეთანის, ნახშირმჟავა აირის, აზოტის ან მათი ნარევის) გაფართოება.

ქაფი - დისპერსიული სისტემა, რომელიც შედგება აირით (ჩვეულებრივ ჰაერით) შევსებული და ერთმანეთისაგან ძალიან თხელი, თხევადი ან მყარი აფსკებით გამოყოფილი უჯრედებისაგან. ქაფი გამოიყენება მტვერთან საბრძოლველად და ხანძრის ქრობისას.

ქაფგენერატორი - მაღალი და საშუალო ჯერადობის ქაფის მისაღები მოწყობილობა. ის შედგება ჰაერის დასაჭირხნი ცილინდრული შემრევი კამერისა და ქაფწარმომქმნელი ხსნარის გამფრქვევისაგან. **ქ.** გამოიყენება მტვერდამჭერ მოწყობილობებში *მტვრის წარმომქმნელ წყაროებთან.*

ქაფის სახელო - დაბალი ჯერადობის ქაფის წარმომქმნელი მოწყობილობა, რომელიც შედგება *ქაფწარმომქმნელი* ხსნარის მიმწოდებელი ინჟექტორისა და შემრევი კამერისაგან. გამოიყენება კომბაინებზე მტვერთან საბრძოლველ მოწყობილობებში.

ქაფსითხიანი ფილტრი (ქაფიანი აირგამომრეცხი) - წყალში ჰაერის გატარების შედეგად წარმოქმნილ ქაფის შრეში მტვრისაგან ჰაერის გამწმენდი აპარატი. გამოიყენება

მადარობსა და *მამდიდრებელ ფაბრიკებში*, ასპირაციული სისტემებიდან მიწოდებული ჰაერის გასაწმენდად.

ქაფწარმომქმნელი სითხე - სპეციალური ქაფწარმომქმნელის ან ზედაპირულ-აქტიური ქაფწარმომქმნელი ნივთიერების ჩვეულებრივი წყალხსნარი. დაბალი ჯერადობის ქაფის მისაღებად ქაფწარმომქმნელების კონცენტრაცია **ქ.ს.**-ში შეადგენს 2 – 3 %-ს, ხოლო 3 – 4 % -მაღალი ჯერადობის ქაფის მისაღებად. **ქ.ს.** გამოიყენება ქაფის საშუალებით მტვერთან ბრძოლის შემთხვევაში.

ქიმიური აქტივობა - ნახშირის, სულფიდური მადნებისა და ნახშიროვანი ქანების ბუნებრივი თვისება, რომელიც მათი თვითანთებისადმი მიდრეკილების ფარდობითი მაჩვენებელია. **ქ.ა.**-ის მიხედვით ნახშირი შეიძლება იყოს მაღალაქტიური (მურა ნახშირები), ზომიერად აქტიური (ქვანახშირები) და მცირედ აქტიური (ანთრაციტები).

ქსოვილის ფილტრები - მტვერდამჭერი მოწყობილობები, რომელთა მოქმედება დამყარებულია მტვრიანი ჰაერის გაფილტვრაზე სხვადასხვა სახის ქსოვილში (შალის, ბამბეული ან სინთეტიკური), აგრეთვე უქსოვად ქსოვილში გატარების მემვობით.

ღ

ღრმა კარიერი - 100 მ-ზე მეტი სიღრმის კარიერი (100 მ-ზე მეტი სიღრმისას ძლიერ მატულობს ტრანსპორტირების, განიავების, კარიერის ბორტების მართვისა და სხვა სიძნელეები).

ჟ

შახტების დეგაზაცია - სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც ტარდება საშახტო გვირაბებიდან და გამონამუშევრებიდან მაღალი შემცველობის აირებისა და აირების ჰაერთან ნარევის კაპტაჟისათვის (მიწის ზედაპირზე ამოყვანისათვის). კაპტაჟი ხორციელდება ნახშირის ფენებში ან ქანებში ჭაბურღილების ბურღვით, სპეციალური აირშემკრები გვირაბების გაყვანით, გამომუშავებული სივრცეებიდან აირისა და ჰაერის ნარევის გამოწოვით. კაპტირებული აირების იზოლირებული ამოტანა მიწის ზედაპირზე ხდება მილსადენებით, აირგამომყვანი მაგისტრალური ჭაბურღილებით ან სპეციალური, ხალხისათვის მიუწვდომელი გვირაბებით ვაკუუმ-სატუმბი დანადგარების გამოყენებით. **შ.დ.** გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც უსაფრთხოების მოთხოვნებით, აგრეთვე სანიტარიულ-ჰიგიენური და ტექნიკურ-ეკონო-

მიკური თვალსაზრისით, ვენტილაციის საშუალებებით აირუხვი შახტების მიწის-ქვეშა ატმოსფეროში მეთანის შემცველობის შემცირება, ტექნიკურად შეუძლებელია ან ძნელად მისაღწევია უსაფრთხოების წესებით დადგენილ ნორმებამდე.

შახტების (მადაროების) თბური რეჟიმის დარეგულირება - ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება, რომელიც მიმართულია გვირაბების ქსელში გადაადგილებისას მადაროს ჰაერის გათბობის თავიდან აცილებისაკენ. მოიცავს: 1. თბური რეჟიმის თვალსაზრისით რაციონალური განიავების სქემებისა და შახტის ველების გამომუშავების რეგითობის დადგენას; 2. სამთო გვირაბებში სავენტილაციო ნაკადის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის შერჩევასა და განიავებისათვის აუცილებელი ჰაერის რაოდენობის დადგენას; 3. თბური პირობების თვალსაზრისით წმენდითი სანგრევების ოპტიმალური პარამეტრების შერჩევას; 4. სამთო გვირაბებში ჟანგვითი პროცესებისა და სითბოს ადგილობრივი წყაროების ზემოქმედების შემცირებას თბურ რეჟიმზე; 5. ჭაურმიმდებარე ეზოებიდან წმენდით სანგრევებამდე ჰაერის გადაადგილებისას ჰაერის მავნე გაჟონვების წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას.

შახტების (მადაროების, კარიერების) განიავება - სამთო საწარმოების საწმენდ, მოსამზადებელ და, საერთოდ, ყველა მოქმედ გვირაბსა და დამხმარე კამერაში, ატმოსფეროს შედგენილობის სისუფთავის მდგრადი უზრუნველყოფა სანიტარიული ნორმების მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე შრომის სიმძიმის შესაბამისი თბური ეფექტურობის უზრუნველყოფა. განასხვავებენ სამთო საწარმოების **ბუნებრივ და ხელოვნურ განიავებას**. ბუნებრივი განიავებისას გვირაბებში ჰაერის წვევა (მოძრაობა) ხორციელდება მიწის ზედაპირზე და მიწისქვეშა გვირაბებში ჰაერის ტემპერატურებს შორის სხვაობის ხარჯზე, ხოლო ხელოვნური განიავებისას ჰაერის მოძრაობა ხორციელდება ვენტილატორებით, სამთო საწარმოში სუფთა ჰაერის დაჭირხვნის ან გვირაბებიდან ჭუჭყიანი ჰაერის გაწოვის გზით.

შახტების (მადაროების) კატეგორია აირის მიხედვით - ნახშირის შახტების დაყოფა მეთანის (ნახშირმჟავა აირის) მიხედვით საშიშროების ხარისხის შესაბამისად. საშიშროების ხარისხი დგინდება გვირაბების, ამოსაღები უბნებისა და მთლიანდ შახტების (მადაროების) აირსიუხვის მიხედვით.

შახტის (მადაროს) აიროვანი ტემპერამენტი - გვირაბების საერთო აირსიუხვე დროსა და სივრცეში აირგამოყოფის უთანაბრობასთან, აგრეთვე აირის უჩვეულო გამოყოფის არსებობასა და ინტენსივობასთან ერთობლიობაში. **შ.ა.ტ.** ხასიათდება აირის დებიტით: გვირაბების სისტემაში საშუალო მნიშვნელობით აირის პიკური გამოყოფისას; მიწისქვეშა გვირაბებში აირის უჩვეულო გამოყოფისას; აირგამოყოფის ადგილობრივი (ლოკალური) მომატებისას.

შახტის ბუნებრივი განიავება - განიავება, როდესაც გვირაბებში ჰაერი გადაადგილდება მიწის ზედაპირზე და მიწისქვეშა გვირაბებში ჰაერის ტემპერატურებს შორის სხვაობის ხარჯზე.

შახტის (მაღაროს, გვირაბის) თბური ბალანსი - შახტში (მაღაროში, გვირაბში) გამოყოფილი სითბოს განაწილება სხვადასხვა წყაროზე. თითოეულ შახტს (მაღაროს, გვირაბს) აქვს თავისი **თბური ბალანსი**. შახტებში (მაღაროებში, გვირაბებში) ჰაერის ტემპერატურაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს სამთო ქანებთან სითბოს გაცვლა, ამიტომ წმენდით სანგრევებში, რომლებიც მნიშვნელოვანი მანძილითაა მოშორებული ჰაერმიწოდებელი ჭაურებიდან, ჰაერის ტემპერატურა ძალზე მიახლოებულია ქანების ტემპერატურასთან.

შახტის (მაღაროს, გვირაბის) თბური რეჟიმი - 1. გვირაბებში სითბოს გადაცემის პროცესების ჩატარების შედეგად მათში დამყარებული თბური მდგომარეობა; 2. ჰაერის წმენდით სანგრევამდე გადაადგილებისას, მასზე გარემოს, გვირაბებში გამოყოფილი სითბოსა და ტენიანობის ზემოქმედების შედეგად დამყარებული ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა.

შახტის (მაღაროს, გვირაბის) თბური რეჟიმის რეგულირება - ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია გვირაბების ქსელში *მაღაროს ჰაერის* გადაადგილების გზაზე მისი გათბობის თავიდან აცილებისაკენ.

შახტის (მაღაროს, ქსელის, გვირაბის) მახასიათებელი - მრუდი, **h** (დეპრესია) და **Q** (ჰაერის დებიტი) კოორდინატთა ღერძებით, რომელიც პასუხობს განტოლებას $h = RQ^2$, სადაც **R** - შახტის (მაღაროს, ქსელის, გვირაბის) აეროდინამიკური წინაღობაა.

შახტის მტვრის რეჟიმი - შახტის გვირაბებში წარმოქმნილი და დალექილი მტვრის რაოდენობა და თვისებები (ნივთიერი, დისპერსიული შედგენილობა და სხვ.). **შ.მ.რ.** დამოკიდებულია ფენის ჩაწოლის ბუნებრივ პირობებზე, ნახშირის თვისებებსა და, განსაკუთრებით დამუშავების გამოყენებულ სისტემასა და ნახშირის მოპოვების ხერხზე.

შახტის სალამპე - შახტის (მაღაროს) ზედაპირზე განლაგებული მაღაროს ინდივიდუალური სანათი მოწყობილობების შესანახი, დასატენი და სარემონტო სათავსი. მოწყობილობების ტიპისა და მუშაობის ორგანიზაციის პრინციპის მიხედვით **შ.ს.** შეიძლება იყოს თვითმომსახურებაზე მომუშავე ან არათვითმომსახურებადი სალამპე.

შახტის სარქველი - ერთი სავენტილაციო ნაკადის მეორე ნაკადისგან განმაცალკევებელი და ვერტიკალურ და დახრილ გვირაბებში, ბრმა ჭაურებში, შურფებსა და აღმავლებში ჰაერის შეღწევისაგან დამცავი მოწყობილობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილებში, მაგალითად, სავენტილაციო შურფის ზემოთ ეწყობა შახტის ორმაგი სარქველი, რომელიც ქმნის რაბს.

შახტოფონი - ფეთქებაუსაფრთხო სატელეფონო-კოდური აპარატი, რომელიც განკუთვნილია ორმხრივი კავშირისათვის სუნთქვისათვის უვარგის ატმოსფეროში მომუშავე *მერესპირატორე სამთომშველ ქვედანაყოფსა* და სუფთა ჰაერის ჭავლში განლაგებულ მიწისქვეშა ბაზას შორის.

შახტში მისაწოდებელი ჰაერის დამუშავება - შახტის ცალკეულ სამუშაო ადგილებზე ნორმალური კლიმატური პირობების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება; კერძოდ, წლის ცხელ პერიოდში მისაწოდებელი ჰაერის გაცივება და ზოგჯერ (ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობის დროს) მისი გაშრობა. რაც შეეხება წლის ცივ პერიოდს, აუცილებელია შახტში მისაწოდებელი ჰაერის გათბობა და ხშირად (დაბალი ფარდობითი ტენიანობის დროს) - დანამვა.

შემწოვი მილსადენი - მილსადენი, რომლითაც ჰაერი შეიწოვება ვენტილატორის არხში.

შპურების ჰიდროდაცობა - *ფეთქებადი სამუშაოების* ჩატარებისას მტვერთან ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი. **შ.ჰ**-ის არსი მდგომარეობს შემდეგში: შპურში ფეთქებადი ნივთიერების მუხტის თიხოვანი დაცობა იცვლება პოლიეთილენის ამპულებში მოთავსებული წყლით, რომელიც *აფეთქების* დროს ფეთქებადი ნივთიერების ბრიზანტული მოქმედების ზონაში გაიფრქვევა და ასველებს მტვერსა და ძლიერ დაფხვნილ *სამთო ქანებს*. **შ.ჰ**-ის გამოყენებისას ჰაერის მტვრიანობის შემცირება დამოკიდებულია წყლის ხვედრით ხარჯზე, რომელიც განისაზღვრება *ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების პასპორტის* გათვალისწინებით.

შრომის კომფორტული პირობები (მიწისქვეშა გვირაბებში) - ტემპერატურის, ტენიანობისა და ჰაერის მოძრაობის სიჩქარის გარკვეული ერთობლიობა, რომლის დროსაც მომუშავისათვის შექმნილია ნორმალური პირობები.

შუბლური წინაღობა - მოძრავი ჰაერის ნაკადში მოთავსებული სხეულის წინაღობა, რომელიც შედგება ხახუნის წინაღობისა და სხეულის ფორმის წინაღობისაგან. ეს უკანასკნელი არის გარსშემოდენილი სხეულის ზედაპირიდან ნაკადის მოწყვეტის შედეგი და ამ სხეულის უკან წარმოქმნილი მნიშვნელოვანი გრიგალური ზონა. **შ.წ**-ის

სიდიდე დამოკიდებულია სხეულის კონფიგურაციასა და ჰაერის ნაკადში მის მდებარეობაზე, აგრეთვე სხეულის ზედაპირის მდგომარეობასა (ფარდობით სიმქისეზე) და რეინოლდსის (Re) რიცხვზე. **შ.წ.**-ს განიცდის გვირაბის შუაში დაყენებული ბიგები და საშახტო ჭაურში განლაგებული გამბჯენები.

შუბლური წინაღობის კოეფიციენტი - უგანზომილებო კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია ნაკადში არსებული სხეულის ფორმაზე და განისაზღვრება ექსპერიმენტულად. რეინოლდსის რიცხვის მაღალი მნიშვნელობებისათვის **შ.წ.კ.**-ის სიდიდე აღარ არის დამოკიდებული ნაკადის მოძრაობის სიჩქარეზე და მუდმივი სიდიდეა.

ჩ

ჩამოსაკიდი თარო - გვარლზე ჩამოკიდებული ფოლადის ორ ან სამსართულიანი კონსტრუქცია, რომელზეც მონტაჟდება ვერტიკალური ჭაურის გასაყვანი ყველა აუცილებელი მოწყობილობა. **ჩ.თ.**-ს რამდენიმე სართულის (იარუსის) არსებობა საშუალებას იძლევა, ერთდროულად ჩატარდეს ბურღვითი, სანგრევის გასამაგრებელი და ჭაურის არმირების სამუშაოები. **ჩამოსაკიდი თარო** აგრეთვე ჭაურის სანგრევში მომუშავეებსაც იცავს.

ჩაჩქანი - დაზიანებისაგან თავის დამცავი ინდივიდუალური საშუალება.

ც

ცეცხლმაქრები - აპარატები, რომლებიც წარმოქმნიან ქიმიურ ქაფს, ეს ქაფი ესხმება *ხანძრის კერას*, რათა მოხდეს ამ კერის იზოლაცია ჰაერში შემცველი ჟანგბადისაგან და მათი ტემპერატურის შემცირება. ზომებისა და დანიშნულების მიხედვით **ც.** შეიძლება იყოს: მცირელიტრაჟიანი - 5 ლ-მდე მოცულობისა; სამრეწველო დანიშნულებისა, ხელით გადასატანი - 10 ლ-მდე; სამრეწველო დანიშნულების გადასაადგილებელი და სტაციონარული - 15 ლ-ზე მეტი მოცულობისა.

წ

წვის კერა - დაწვრილმანებული და გაფხვიერებული წვადი მასალის (ნახშირი, სულფიდური მადნები და ა.შ.) გროვა, რომელშიც მიდის მაღალტემპერატურული ჟანგვის პროცესი.

წიალის დაცვა - მიწის წიალიდან *სასარგებლო წიაღისეულის* რაც შეიძლება სრულად (კომპლექსურად) ამოღების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ამასთან ერთად უზრუნველყოფს წიაღისეულის დამუშავებისას დანაკარგების მაქსიმალურად შესაძლო და ეკონომიკურად მიზანშეწონილ შემცირებას.

წ.დ. უნდა ხორციელდებოდეს სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დაძიებისა და სამრეწველო ათვისების ყველა სტადიაში.

წინასწარი დეგაზაცია - დეგაზაციის ხერხი, რომლის დროსაც მოცემული *ამონაღები უბნის* ფარგლებში *ნახშირის ფენის* დეგაზაცია ხდება წინასწარ, მის დამუშავებამდე.

წინასწარი წყალდაწვევა (წინასწარი ამომრობა) - შახტის ჭაურების, შესავალი და დამკრელი ტრანშეისა და სხვა სამთო გვირაბების გაყვანის დაწყებამდე *მიწისქვეშა წყლებისაგან* დაცვის ხერხი *წყალდამწვევი ჭაბურღილების* საშუალებით.

წინაღობის კანონი (მაღაროს აეროდინამიკაში) - სამთო გვირაბებში (სავენტილაციო მილსადენებში) ჰაერის მოძრაობისას ჰაერის წნევის დანაკარგსა და ჰაერის რაოდენობას ან მისი მოძრაობის სიჩქარეს შორის დამოკიდებულება.

წინმსწრები ამორთვა - სამთო ელექტროდანადგარების ფეთქებაუსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალება. ელექტრული წრედის ან იზოლაციის დაზიანების ადგილზე სახიფათო ელექტრული რკალის წარმოქმნის თავიდან აცილება წრედის დაზიანებული უბნის ან ელექტრული დანადგარების სწრაფი ამორთვით *მეთანის* სახიფათო კონცენტრაციის წარმოქმნის დროს; ამავე დროს ის გამოიყენება *მაღაროს სანათებისა* და ძალოვანი ელექტროდანადგარების ფეთქებაუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

წინმსწრები სადრენაჟო გვირაბები - *მაღალი წნევის ქვეშე მყოფი წყლების* შემცველი ქანების, გაწყლოვანებული უბნების, ფენების (ბუდობების) მიმართულებით გაყვანილი გვირაბები (ჭაბურღილები, შტრეკები); მათი დანიშნულებაა მოსამზადებელ და წმენდით გვირაბებში წყლის კატასტროფული გარღვევების თავიდან აცილება, გარდა ამისა, *სამთო სამუშაოების* ფრონტის წინ ჩაწოლილი *სამთო ქანების წინასწარი დრენაჟი* (ამომრობა).

წინმსწრები ქვედამუშავება (ზედამუშავება) - ნახშირის ან აირის უეცარი გამოტყორცნისა და *სამთო დარტყმების* მხრივ საშიში ფენების, ქანების წნევისაგან ნაწილობრივ განტვირთვის, დეგაზაციისა და მათი აირგამტარობის გაზრდის მიზნით, ახლომდებარე, შედარებით უსაფრთხო ქვედა (ზედა) ფენების წინასწარი დამუშავება.

წინმსწრები ჭაბურღილი - *ნახშირის ფენასა ან ფუჭ ქანში* გვირაბის გაყვანის დროს სანგრევის წინ გასაბურღი ჭაბურღილი, ფენის ან ქანის დეგაზაციისა და სამთო წნევებისაგან ნაწილობრივი განტვირთვის მიზნით, რათა გამოირიცხოს ან შემცირდეს *ნახშირისა და აირის უეცარი გამოტყორცნის* საფრთხე.

წნევის რედუქტორი (სარედუქციო სარქველი) - მაღაროს მაიზოლირებული რესპირატორის ჟანგბადის ბალონის დროსელოური სარქველი, რომლის გახსნის ხარისხი ავტომატურად, უკუპროპორციული დამოკიდებულებით ახდენს რედუცირებული წნევის შენარჩუნებას. ამის გამო უზრუნველყოფილია რესპირატორის სისტემაში ჟანგბადის მიწოდების მუდმივობა, ჩვეულებრივ 1,2 ლ/წთ მოცულობით.

წყალბადი (Hz) - უფერო, უსუნო და უგემო აირი. ფეთქებადი აირია, მისი ჰაერთან ნარევის აფეთქების საზღვრებია 4,1 – 75,0%. *ბუნებრივ აირებში წ.* ხშირად გვხვდება, მაგრამ მცირე რაოდენობით. სამთო გვირაბებში გამოიყოფა უმნიშვნელო რაოდენობით. წყალბადით ყველაზე მდიდარია კალიუმის მარილები; ნახშირის ფენებში გვხვდება ძალიან იშვიათად. წყალბადი გამოიყოფა აკუმულატორული ბატარეების დამუხტვისას, ამიტომ უსაფრთხოების მოთხოვნების თანახმად, აუცილებელია, *დასამუხტი კამერები* ნიავედებოდეს განცალკევებული ჰაერის ჭავლით.

წყალდამწევი ჭაბურღილი - *ჭაბურღილი*, რომლის საშუალებითაც ხორციელდება წყალშემცველი ჰორიზონტებიდან, სიღრმული ტუმბოებით მიწის ზედაპირზე წყლის ამოტუმბვა.

წყალმომცილებელი ნაგებობა - ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია სამთო გვირაბებიდან წყლის ტრანსპორტირებისათვის საშახტო წყალქვევის ზემოქმედების ზონის გარეთ. ის შეიძლება იყოს ღია (ღარები, არხები) ან დახურული (მილები, გვირაბები) სახის ხელოვნური კალაპოტების სახისა.

წყალშთანთქმელი ჭაბურღილი - ჭაბურღილი, რომლის საშუალებითაც შახტის წყალი ზედა ჰორიზონტებიდან გადაეცემა ქვედა ჰორიზონტებს.

წყალსაქცევი ჭაბურღილი - ჭაბურღილი, რომელიც გამოიყენება შახტიდან მიწის ზედაპირზე ტუმბოების საშუალებით წყლის ამოსატუმბად.

წყალშემკრები - წყლის შესაგროვებელი სამთო გვირაბი. არსებობს ს ა უ ბ ნ ო - რომელიც ემსახურება ცალკეული უბნის წყლის შეკრებას, და ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი - განკუთვნილი შახტის (მაღაროს, კარიერის) ყველა გვირაბიდან გამოყოფილი წყლის შეკრებისათვის, საიდანაც წყალმიმღები ჭების გავლით ტუმბოების საშუალებით ხდება წყლის ამოტუმბვა მიწის ზედაპირზე.

წყალქცევა - ქვაბულიდან, კარიერიდან, ჭაურიდან, შტოლნიდან და სხვა სამთო გვირაბიდან მიწისქვეშა ან ზედაპირული წყლების მოცილების პროცესი. მაღაროს წ-ის სისტემაში შედის მიწისქვეშა წყლების ჩამონადენების რეგულირებისა და მათი ცენტრალურ წყალშემკრებში ან წყალსაქცევ ჭაურებში შემკრები მოწყობილობები,

საიდანაც წყალი მაღალი მაღალი წნევის ტუმბოების საშუალებით ამოიტუმბება მიწის ზედაპირზე. წ-ის სისტემა დანიშნულების მიხედვით არის: 1. დამხმარე - განკუთვნილი წყლის გადასაცემად შახტის ცალკეული უბნებიდან წყალქცევის მთავარი წყალშემკრებისაკენ; 2. მთავარი - განკუთვნილი მთელი შახტის შეკრებილი წყლის ჯამური რაოდენობის ამოსატუმბად; 3. ცენტრალური, რომელიც ემსახურება რამდენიმე შახტს ან მაღაროს; 4. რეგიონული - ემსახურება მთელი რაიონის ყველა შახტს ან მაღაროს.

წყალშემცველი ქანები - *სამთო ქანები*, რომლებშიც ნაპრალები, ბზარები და სხვა სი-ცარიელები შეესებულება გრავიტაციული წყლებით.

წყალ-ჰაერის ექვტორი - 1. ექვტორი, რომელშიც წევის აღმძვრელია წყალი; 2. მტვრიანი ჰაერის შემწოვი და მტვრის დამჭერი მოწყობილობა, რომელიც შედგება მილისა და თანადერძულად განლაგებული მფრქვევანებისაგან. ისინი წევის აღმძვრელი და *მტვერდამჭერი* საშუალებებია.

წყლის გაფრქვევა აფეთქებით (წყალგაფრქვეული ფარდები, შპურების ჰიდრო-დაცობა) - წყლით სავსე პოლიეთილენის ტომრებში მოთავსებული აფეთქებადი ნივთიერებების მცირეგაბარიტიანი ვაზნების ან ელექტროდეტონატორების საშუა-ლებით სანგრევში ძირითადი აფეთქების მილიწამების წინსწრებით, წყლიანი ტომრების აფეთქებით სანგრევის წინ *წყლის ფარდების მოწყობა*. ის *აფეთქებითი სამუშაოების* დროს ნახშირის მტვრის აფეთქების თავიდან აცილებისა და *მეთანისა* და მტვერის აფეთქების ლოკალიზაციის ეფექტური საშუალებაა.

წყლის საცდელი დაჭირვნა - მტკიცე კლდოვანი ქანების წყალშელწევადობისა და ნაპრალიანობის ხარისხის განსაზღვრის ხერხი.

წყლის ფარდები - მტვრიანი ჰაერის გადაადგილებისა და მეთანისა და აირის აფეთ-ქების ტალღის, აგრეთვე ცეცხლის ალის შესაძლო გაფრცელების გზაზე ფრქვე-ვანებითა და ნისლწარმომქმნელებით წყლის წვეთებით შექმნილი მკვრივი ზონა.

წყლის ქიმრეაგენტული დამუშავება - მყარი მინერალური ნაწილაკების დასველე-ბის უნარის შეცვლა წყლისთვის ქიმიური რეაგენტების მცირე რაოდენობის დამატებით.

წყლის კუთრი ხარჯი (მტვერთან ბრძოლის სველი ხერხის გამოყენებისას) - *ჰიდრო-გაუმტვრიანების* დროს 1 ტ *სამთო მასაზე* დახარჯული სითხის რაოდენობა (ლ). ჩვეულებრივ, **წ.კ.ხ.** განსაზღვრავს მტვერთან ბრძოლის პროცესის ეფექტურობას.

ჭაბურღილების პირის ჰერმეტიზაცია - ჭაბურღილების ღრუს გარემოსაგან იზოლაცია ნახშირის ფენებში აირის წნევების გაზომვისა და ჭაბურღილიდან აირების იზოლირებული გამოყვანის დროს. სადეგაზაციო **ჭ.პ.პ.** ჩვეულებრივ, სადეგაზაციო **ჭ.პ.პ.** ხორციელდება სამაგრი მილების ცემენტაციით ჭაბურღილის პირიდან 5 - 7 მ სიღრმეზე. *ნახშირის ფენებში* ან ქანებში აირის წნევის გაზომვისას ჭაბურღილის ცემენტაცია ხორციელდება მის მთელ სიღრმეზე, გამზომი კამერის გამოკლებით. ნახშირის ფენებში წყლის დაჭირხვნისას გამოიყენება სპეციალური ჰიდროჩამკეტები.

ჭაბურღილების ფილტრები - მოწყობილობები, რომლებიც გამოყენებიან *სადრე-ნაყო გვირაბების* გამოგნისაგან (დანავიანებისაგან) დასაცავად ქვიშის წვრილი ფრაქციების გამოტანისას.

ჭაურის სარქველი (სავენტილაციო სარქველი) - გამარტივებული სარაბო მოწყობილობა, რომელიც საშუალებას იძლევა, სავენტილაციო რეჟიმის დარღვევის გარეშე, ე.ი. ვენტილატორსა და ატმოსფეროს შორის „მოკლე შერთვის“ გარეშე, მოხდეს ხალხისა და ტვირთის აწევა და ჩაშვება. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სავენტილაციო ჭაურის შახტზედა შენობას არ გააჩნია სავენტილაციო საჭერ-მეტიზაციო რაბები.

ჭაურმიმდებარე დამცავი მთელანა - მიწისქვეშა სამთო სამუშაოების ზემოქმედებისაგან *საშახტე ჭაურების* დამცავი მთელანა. თუ ჭაური ვერტიკალურია, მაშინ ეს მთელანა იცავს არამარტო ჭაურს, არამედ *ურნალს, ჭაურზედა შენობასა და ამწევი მანქანის შენობას.*

ხანგრძლივი მაალეხელი დენი - მუდმივი დენის მინიმალური სიდიდე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გადის *ელექტრომაალეხელში* (ელექტროდეტონატორში) და იწვევს მის აალეხას. **ხ.მ.დ**-ის სიდიდის მიხედვით შესაძლებელია შევავასოთ ელექტრული დენის მიმართ *ელექტროდეტონატორების* მგრძნობიარობა.

ხანძარსაწინალო აირადი პროფილაქტიკა - *სასარგებლო წიაღისეულის* (ნახშირის, სულფიდური მადნების) *თვითანთების* თავიდან ასაცილებელი ღონისძიებების განხორციელება. მათ ეკუთვნის მაღაროს ჰაერის განზავება ინერტული აირებით, რაც შეანელებს სასარგებლო წიაღისეულის ჟანგვის პროცესს.

ხანძარსაწინალო პროფილაქტიკა - მიწისქვეშა ხანძრის წარმოქმნის თავიდან ასაცილებელ ღონისძიებათა კომპლექსი.

ხანძარსაწინააღმდეგო საკონტროლო-დაკვირვებითი სამსახური - სამსახური, რომლის ფუნქციაა *სამთო საწარმოებში ხანძარსაშიშროების* მდგომარეობაზე სისტემატური დაკვირვება და ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება.

ხანძარსაშიშროება - ბუნებრივი და სამთო-ტექნიკური ფაქტორების კომპლექსი, რომელიც განსაზღვრავს *სამთო გვირაბებსა* და საწყობებში ხანძრის წარმოქმნის შესაძლებლობას.

ხანძრის ქრობის საშუალებები - მოწყობილობათა კომპლექტი, რომელშიც შედის დგუმიანი და ცენტრიდანული წყლის ტუმბოები, ჰიდრომონიტორები, სამარჯვები საშახტო წყალსადენის გამოყენებისათვის, ჰაერ-ქაფიანი *ცეცხლმაქრები*, ჰაერ-ქაფის მიმწოდებელი სახელოები, *აირ-ბალონების ბატარეები*. ყველა ეს მოწყობილობა შედის *სამთომამუშელო ნაწილების* აღჭურვილობაში. მათ იყენებენ მალაროს ხანძრების ჩასაქრობად.

ხანძრის აღმოჩენის მეთოდები - 1. ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი უ რ ი მეთოდი - ხანძრის აღმოჩენა გარეგანი ნიშნებით. ამ დროს ხდება *ეგზოგენური* და *ენდოგენური* ხანძრების აღმოჩენა იმ სტადიაში, როდესაც გამოჩნდება გარეგანი ნიშნები; 2. ა ი რ ა ნ ა ლ ი ზ უ რ ი - მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია მალაროს აირის სინჯების ანალიზზე.

ხანძრის გარეგანი ნიშნები - სპეციალური ხელსაწყოებითა და აპარატების გამოყენების გარეშე ადამიანის შეგრძნების ორგანოებით აღქმული ხანძრის გამოვლინებანი. გარეგანი ნიშნებით ხანძრის აღმოჩენის მეთოდებს ეწოდება ფიზიოლოგიური მეთოდები.

ხანძრის კერა - ხანძრის ადგილი, რომელიც განპირობებულია ანთების გამომწვევი სითბოს წყაროსა და ჰაერის ნაკადის არსებობით. ხანძრის ქრობისას კერა წარმოადგენს შეტევის მთავარ ობიექტს.

ხანძრის კერების ლოკალიზაცია - ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამთო გვირაბებში წვის პროცესისა და სახანძრო აირების გავრცელების პროცესის შეზღუდვას, აგრეთვე ხელს უწყობენ *ხანძრის კერის* ჩაქრობას. გვირაბებში წვის ლოკალიზება შესაძლებელია წყლის ფარდებისა და ისეთი ზონების მოწყობით, სადაც წვადი მასალები მოცილებული იქნება ან დაიფარება ცეცხლდამცავი აფსკით.

ხანძრის კერის ალყაში მოქცევა - მალაროს ხანძრის ქრობის ხერხი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ხანძრის კერის ყველა მისასვლელ გზაზე (გვირაბში), სადაც შესაძლებელია ხანძრის გავრცელება, ცეცხლის ქრობის საშუალებები და ძალები გან-

ლაგდება წრიულად, შემდგომში ხანძრის კერის შევიწროების, ბოლოს კი მისი სრული ლიკვიდაციის მიზნით. ამისთვის გამოიყენება ხანძრის კერისკენ მიმავალი ყველა გვირაბი. გარდა ამისა, აუცილებლობის შემთხვევაში ხდება დამატებითი გვირაბების გაყვანა. **ხ.კ.ა.მ** -ში იგულისხმება ხანძრის კერისკენ მიმავალ ყველა გზაზე თიხით შელესილი ტიხრებისა და სხვა ჰაერგაუმტარი მოწყობილობების აგება.

ხანძრის ნიშნები - ნიშნები, რომელთა საშუალებითაც ხდება *ხანძრის კერის* აღმოჩენა, როდესაც უშუალოდ ხანძრის კერასთან მისვლა და მისი გამოკვლევა შეუძლებელია. მაღაროს ხანძრის შემთხვევათა 90% -ის აღმოჩენა ხდება მათი აშკარა გამოვლინებების - კვამლის, ღია ცეცხლის გაჩენისას. ზოგჯერ ხანძრის აღმოჩენა ხდება ირიბი (არაპირდაპირი) ნიშნებით: სპეციფიკური, ხანძრის სუნის გამოვლენით; გვირაბებში ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის მომატებით, რასაც ხშირად თან სდევს ნისლისა და გვირაბის კედლებზე ნამის წვეთების გაჩენა, სამთო მასივიდან გამონადენი წყლის ტემპერატურისა და მჟავიანობის მომატება; ჰაერის შედგენილობის შეცვლა, მასში ნახშირბადის ოქსიდის მდგრადი და თანაც მატებადი რაოდენობით გაჩენა.

ხვედრითი აირგამოყოფა - დროის ერთეულში გამოყოფილი აირის რაოდენობა, დაყვანილი *გვირაბში ან ჭაბურღილში ღია ზედაპირის* ფართობის ერთეულზე ($\text{მ}^3/\text{მ}^2 \cdot \text{წთ}$); *გამომუშავებული სივრცისათვის* - მისი ფართობის ერთეულიდან გამოყოფილი აირის რაოდენობა დროის ერთეულში.

ხმაური - ადამიანის ყურის მიერ აღქმული ბგერითი რხევები, რომლებიც ხასიათდებიან სიხშირით, ბგერის ძალით, ხმამაღლობითა და ტონის სიმაღლით. ბგერის ძალა იზომება დეციბელებში. **ხ.** შეიძლება იყოს დაბალსიხშირული (ნაკლები 300 ჰც-ზე), საშუალოსიხშირული (300 – 800 ჰც) და მაღალსიხშირული (800 ჰც - ზე მეტი).

ხმაურზომი - *ხმაურის* ძალის გამზომი ხელსაწყო, რომელსაც აქვს ადამიანის ყურისთვის დამახასიათებელ მგრძნობიარობასთან მიახლოებული მგრძნობიარობა სხვადასხვა სიხშირის ბგერებისადმი.

ხსნარის ჩატუმბვა ტამპონირებისას - სატამპონაჟო სამუშაოების კომპლექსის ერთ-ერთი ოპერაცია, რომელიც გულისხმობს *სამთო ქანების* ნაპრალებსა და სიცარიელებში სატამპონაჟო ხსნარის ჩატუმბვას. ჩატუმბვა ხორციელდება საცემენტაციო ტუმბოებითა და ხსნარ-სატუმბებით.

ჰაერგამაცივებელი - ჰაერის გაცივებისათვის გამოყენებული დანადგარი, რომელიც არის: ს ვ ე ლ ი, რომელშიც ჰაერი უშუალოდ ეხება *სიცივის* თხევად *მატარებელს*. მას ამზადებენ კამერების სახით, რომლებშიც გასაცივებელი ჰაერი გადის გაფრქვეულ წყლის ფარდაში; ან მ შ რ ა ლ ი - რომელშიც თბოგაცვლა ხდება გლუვ ან წიბოვან კედლებში.

ჰაერის ადგილობრივი გაპარვები - *სამთო გვირაბების* ქსელში გარკვეულ ადგილთან დაკავშირებული ჰაერის დანაკარგები. **ჰ.ა.გ.**-ის სიდიდე დამოკიდებულია მოწყობილობის კონსტრუქციაზე, ზომებსა და მის ჰაერშედწევადობაზე, აგრეთვე მის ორივე მხარეს შორის არსებულ წნევათა სხვაობაზე. **ჰ.ა.გ.** აღინიშნება: საშახტო ტიხრებში, *სავენტილაციო კარებში*, საჰაერო ხიდებში (*კროსინგებში*), *ჭაურმიმდებარე ეზოებში* არსებულ *სავენტილაციო მოწყობილობებში*, არაჰერმეტიულ ჭაურზედა შენობებში, სავენტილაციო ჭაურების პირთან და ვენტილატორის არხში დაყენებულ *საშახტო სარქველებში*.

ჰაერის გაპარვა (დანაკარგი) - ჰაერის დანაკარგი სამთო გვირაბების ქსელში მისი მოძრაობისას, ჰაერმიწოდებელი ჭაურის პირიდან სამუშაო ადგილებამდე და სავენტილაციო მილსადენებში. შახტებში **ჰ.გ.** შეიძლება იყოს: ადგილობრივი და უწყვეტად განაწილებულები, აგრეთვე შიგა და გარე დანაკარგები.

ჰაერის მარაგის (რეზერვის) კოეფიციენტი - შახტში მიწოდებული ჰაერის რაოდენობის ფარდობა განიავებისათვის გამოყენებული ჰაერის ფაქტობრივ რაოდენობასთან. **ჰ.მ.კ** -ის საშუალებით *შახტის (მალაროს) განიავების* ანგარიშისას იქმნება რეზერვი ჰაერის გაპარვის, აირგამოყოფის უთანაბრობის, სარეზერვო სანგრევებისა და სასამსახურო კამერების განიავების კომპენსაციისათვის.

ჰაერის მოძრაობის დასაშვები სიჩქარე - გვირაბებში ჰაერის მოძრაობის საშუალო სიჩქარე, რომლის დროსაც დამყარებულია სავენტილაციო ჭავლის მოძრაობის ტურბულენტური რეჟიმი და უზრუნველყოფილია შრომის ხელსაყრელი (კომფორტული) პირობები. სიჩქარე შეიძლება იყოს მაქსიმალური დასაშვები და მინიმალური დასაშვები. პირველი დგინდება ტემპერატურული და მტვრიანობის ფაქტორებით, ხოლო მეორე - სავენტილაციო ჭავლის ტურბულენტური მოძრაობის შექმნის პირობებით.

ჰაერის მტვრიანობის გაზომვის დათვლითი მეთოდი - ჰაერის ერთეულ მოცულობაში (სმ³) შემცველი მტვრის ნაწილაკების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდი. მეთოდი ძირითადად გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებისას.

ჰაერის მტვრიანობის გაზომვის ელექტრული (ან ელექტრომეტრიული) მეთოდები - მტვრიანი აეროზოლის კონცენტრაციის განსაზღვრის ხერხები, რომლებიც განპირობებულია მტვრის ელექტრული დამუხტვით და ეფუძნება დამუხტული ნაწილაკების ჰაერის ერთეულ მოცულობაში დათვლას ან ამ ნაწილაკების ჯამური მუხტის განსაზღვრას.

ჰაერის მტვრიანობის გაზომვის კომბინირებული მეთოდები - ჰაერის მტვრიანობის დადგენის მეთოდები, რომელთა მეშვეობით მიიღება მტვრიანობის რამდენიმე მაჩვენებელი (წონითი და დათვლითი, ზედაპირული და წონითი, ზედაპირული და დათვლითი და სხვ.).

ჰაერის მტვრიანობის გაზომვის მეთოდები - ჰაერის დამტვერიანების ხარისხის განსაზღვრის საშუალებები და წესები, აგრეთვე მტვრის კონცენტრაციის გაზომვის ხერხები. დადგენილია, რომ მტვრის ნაწილაკების მასა და რაოდენობა განსაზღვრავს მტვრის მავნეობას ადამიანის ორგანიზმზე. ამიტომ მტვრიანობის კონტროლის პრაქტიკაში განასხვავებენ მტვრიანობის დადგენის ორ ძირითად მეთოდს: წონითსა (გრავიმეტრულს) და დათვლითს (კონიმეტრიულს).

ჰაერის მტვრიანობის გაზომვის ოპტიკური მეთოდები - მალაროს ჰაერის მტვრიანობის შეფასების ხერხები, ან შთანთქმული ან გაფანტული სინათლის ნაკადის სიდიდის მიხედვით, რომელიც მტვრის კონცენტრაციის პროპორციულია; ჰაერის ნაკადში მოძრავი ან შეწონილ მდგომარეობაში მყოფი განათებული მტვრის ნაწილაკებისაგან მიღებული სინათლითი სიგნალებით. პირველი ხერხით ჰაერის მტვრიანობის გაზომვისათვის გამოიყენება *ფოტომტვერმზომები, ტინდალომეტრები, დენსიმეტრები*, ხოლო მეორეთი - *ულტრა-მიკროსკოპები*.

ჰაერის მტვრიანობის დადგენის წონითი მეთოდი - ჰაერის ერთეულ მოცულობაში მტვრის ნაწილაკების მასის (წონის) განსაზღვრის წესებისა და მეთოდების ერთობლიობა. მისი არსი მდგომარეობს მტვრიანი ჰაერის განსაზღვრული მოცულობიდან მტვრის ნაწილაკების გამოყოფაზე, მათ ფილტრზე დაჭერასა და შემდეგ დაჭერილი ნაწილაკების წონის დადგენაზე.

ჰაერის მტვრიანობის დონე - *სამთო გვირაბების (მტვერგამომყოფ წყაროებთან) ატმოსფეროს მტვრიანობის ხარისხის მნიშვნელობა*, რომელიც დამყარებულია დროის რომელიმე პერიოდის განმავლობაში.

ჰაერის მტვრიანობის ზღვრულად დასაშვები ნორმები - ჰაერის დამტვერიანების ხარისხის ზედა ზღვარი, რომლის დროსაც ასეთ ჰაერში ადამიანის ხანგრძლივად ყოფნა უსაფრთხოა. ეს ნორმები გამოისახება წონით მაჩვენებლებში. არამომწამლავი

მტვრის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია დამოკიდებულია მტვერში თავისუფალი SiO₂-ის შემცველობაზე.

ჰაერის ნარჩენი მტვრიანობა - ჰაერის მტვრიანობა (ნარჩენი) მტვერთან ბრძოლის საშუალებებისა და ხერხების გამოყენების შემდეგ.

ჰაერის რაოდენობის რეგულირება - შახტში (მაღაროში, ცალკეულ უბნებზე, ამოსადებ ბლოკებსა და გვირაბებში) მიწოდებული ჰაერის რაოდენობის შეცვლა ან გადანაწილება;

ჰაერის რეცირკულაცია - ძირითადი სავენტილაციო ჭავლის მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგო მხარეს მიმართული ჰაერის მოძრაობა. **ჰ.რ.** წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ადგილობრივი განიავების ვენტილატორი არასწორადაა დაყენებული ანუ ვენტილატორის მწარმოებლურობა აღემატება ვენტილატორთან მიყვანილი ჰაერის რაოდენობას.

ჰაერის სიჩქარე (ჰაერის ნაკადის სიჩქარე) - ჰაერის მიერ დროის ერთეულში გვირაბში გავლილი მანძილი. **ჰ.ს.** სამთო გვირაბებში ცვალებადობს რამდენიმე სანტიმეტრიდან 10 – 15 მ/წმ-მდე და უფრო მეტად.

ჰაერის უწყვეტად განაწილებული გაპარვა - ჰაერის უწყვეტი დანაკარგები *სამთო გვირაბებში* ან მილსადენებში ჰაერის გადაადგილების გზაზე. მათ ეკუთვნის ჰაერის გაპარვები საზიდ შტრეკსა და სავენტილაციო შტრეკს შორის არსებულ *გამომუშავებულ სივრცეებსა და საყორე ზოლებში* ან დამცავ მთელანებში; პარალელურ გვირაბებსა და სავენტილაციო მილების შეერთების ადგილებში.

ჰაერის კუთრი ხარჯი - თავისუფალი ჰაერის რაოდენობა, რომელიც იხარჯება პნევმატური ტრანსპორტის სისტემაში 1 მ³ მასალის გადაადგილებისათვის.

ჰაერმზერავი - *ასპირაციული ხელსაწყო*, რომელიც, როგორც წესი, არის ელექტროძრავიანი როტაციული მოქმედების ტუმბო. მისი დანიშნულებაა ჰაერის სინჯების აღება მტვრიანობისა და მათში სხვადასხვა აირის შემცველობის საანალიზოდ.

ჰაერმზომი მილაკი - გამზომი ხელსაწყოებისათვის (მანომეტრები, დეპრესიომეტრები) ჰაერის წნევის გადასაცემად გამოყენებული დამხმარე მოწყობილობა. **ჰ.მ.** ისეა მოწყობილი, რომ საშუალებას იძლევა, გაიზომოს სტატიკური დეპრესია, სიჩქარითი დაწნევა და მთლიანი (სრული) დეპრესია, რომელიც სტატიკური და სიჩქარითი დაწნევის ალგებრული ჯამის ტოლია. არსებობს დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი **ჰ.მ.**, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სიდიდეს ზომავს, და ს ტ ა ტ ი კ უ რ ი, რომელიც ზომავს მხოლოდ სტატიკურ დეპრესიას.

ჰაერშეღწევადობის კოეფიციენტი - 1 მმ წყ. სვ. დეპრესიის დროს 1 სმ სისქის *სავენტილაციო მოწყობილობის* 1 მ² ფართობში გაჟონილი ჰაერის რაოდენობა (მ³/წმ).
ჰ.კ.-ის მნიშვნელობა დამოკიდებულია ჰაერის მოძრაობის აეროდინამიკურ რეჟიმზე იმ მასალაში, რომლისგანაც დამზადებულია სავენტილაციო მოწყობილობა.

ჰაერში მტერის გამოყოფის ინტენსიურობა - *სამთო ქანების მონგრევის* პროცესში ჰაერში დროის ერთეულში გამოყოფილი მტერის რაოდენობა (გ/წთ), რომელიც *მტვერწარმოქმნის ინტენსიურობის პროპორციულია*, ყოველთვის ნაკლებია მასზე და დამოკიდებულია ჰაერში მტერის შეწონილ მდგომარეობაში გადასვლაზე (ძირითადად ჰაერის ნაკადის სიჩქარესა და ნაწილაკების შეღწევადობაზე).

ჰაერცვლის ჯერადობის კოეფიციენტი - დროის ერთეულში გვირაბში მიწოდებული ან გვირაბიდან გამოდენილი ჰაერის მოცულობის ფარდობა გვირაბის მოცულობასთან.

ჰიგროსკოპულობა - ნივთიერების თვისება, ჰაერიდან თვითნებურად შთანთქმის წყლის ორთქლი. **ჰ.** მოიცავს წყლის ორთქლის ადსორბციასა და მის კაპილარულ კონდენსაციას.

ჰიდრაულიკური გამოწნევა - *ნახშირისა და აირის უეცარი გამოტყორცნის* თავიდან აცილების საშუალება. ის დაფუძნებულია ჰაბურდილის საშუალებით *ნახშირის ფენაში* წნევით წყლის დაჭირხვნაზე, რაც იწვევს სანგრევისპირა ნაწილში ფენის გაფხვიერებასა და გამოწნეხას (სანგრევის მხარეს გადაწევას). ამასთან, ფენა 3 მ-მდე სიღრმეზე განიტვირთება სამთო წნევებისაგან, გაზრდილი დაძაბულობის არე გადაადგილდება ფენის სიღრმეში, მოხდება გამოწნეხილი ნაწილის ნაწილობრივი დეგაზაცია, იზრდება ზღვრულად დაძაბული მდგომარეობის ზონის სიგანე და ეწინააღმდეგება ფენაში ძაბვების უეცარ თვითნებურ შეცვლასა და უეცარ გამოტყორცნას.

ჰიდრაულიკური დარტყმა - მოვლენა, რომელიც ხდება სადაწნეო მილსადენის ბოლოში ჩამკეტის სწრაფი გახსნის ან დაკეტვის შედეგად. ამ დროს აღინიშნება წნევის მკვეთრი მომატება ან შემცირება, რაც გამოწვეულია მილსადენში მოძრავი წყლის მასის ინერციით.

ჰიდროგაუმტვრიანება - ჰაერში მტერის შემცველობის შემცირება სხვადასხვა სველი ხერხის გამოყენებით; ამ ხერხით შეიძლება შემცირდეს ჰაერში შეწონილი, დალექილი, მაგრამ ჰაერში შეტივტივების საშიშროების უნარის მქონე, აგრეთვე *სამთო ქანების მონგრევისა და ტრანსპორტირების პროცესში წარმოქმნილი მტვერი*. **ჰ.** გამოიყენება *სასარგებლო წიაღისეულის* მოპოვების თითქმის ყველა პროცესის დროს და ყველანაირ კლიმატურ პირობებში, უარყოფითი ტემპერატურის დროსაც.

ჰიდროსაკეტი - 1. *ჭაბურღილის* ან შპურის საჰერმეტიზაციო მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ქანების მასივში წყლის დაჭირხვნისას. მისი დანიშნულებაა: მტვერწარმოქმნის შემცირება, მასივის შესუსტება, აირგამოყოფის მართვა, უცარი გამოტყორცნის თავიდან აცილება; 2. ჰიდროაფეთქებითი ხერხით ნახშირის მონგრევისას და *ჭაბურღილის* პირის ჰერმეტიზაციის დროს *ჭაბურღილში* წყლის დაჭირხვნის დროს გამოყენებული მოწყობილობა.

რედაქტორი მ. ლუღუშაური

გადაეცა წარმოებას 12.10.2021. ხელმოწერილია დასაბეჭდად
01.12.2021. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5.
№3437.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“,
თბილისი, კოსტავას 77



Verba volant,
scripta manent